ქართული ორიენტალისტური სკოლა კი ცნობილი და აღიარებულია მსოფლიოში და ქართველი აღმოსავლეთმცოდნეები დღესაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ სამეცნიერო წრეებში. აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის სათავეებთან მდგომ დიდ ქართველ მეცნიერებს კარგად ჰქონდათ გააზრებული ამ სკოლის განვითარების გამორჩეული როლი. აღმოსავლეთთან მეზობლობა და მჭიდრო ურთიერთობა ბუნებრივად მოითხოვს ჩვენი ქვეყნისგან სათანადო პრობლემემატიკისა და ცოდნის ფლობას, რაც აღმოსავლეთმცოდნეობას საქართველოსათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან დარგად აქცევს.

### სწავლის შედეგები:

- აღმოსავლეთმცოდნეობის, როგორც კომპლექსური მეცნიერების ძირითადი მიმართულებებისა და დარგების შესახებ საბაზისო ცოდნა; წარმოდგენა ზოგადად სემიტოლოგიაზე და კერძოდ არაბისტიკაზე და სემიტოლოგიური სკოლის ტრადიციებზე საქართველოში, ასევე სემიტოლოგიის განვითარების მნიშვნელობაზე ქართველოლოგიისა და ქართული კულტურის ისტორიის კვლევისთვის.
- სემიტურ ენათა სტრუქტურაში (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი), აგრეთვე ლექსიკოლოგიის ზოგად მახასიათებლებში გარკვევა, საერთო ნიშნების ცოდნა (აქცენტირება არაბულ ენაზე). ლინგვისტური კომპარატივისტიკის დაწყებითი უნარების შეძენა.
- არაბული ენის ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სინტაქსური სისტემების პრაქტიკული ფლობა; არაბული ენის საბაზისო ლექსიკური მარაგის შეძენა; არაბულად კითხვის, თარგმნის, აზრის გამოხატვის და მსჯელობის უნარი. ელემენტარული ლინგვისტური ანალიზის ჩვევების გამომუშავება.
- არაბული ლიტერატურის ისტორიის ზოგადი კურსის ათვისება ისლამამდელი ე.წ. „ჯაჰილიის“ პერიოდიდან მოყოლებული თანამედროვე არაბული ლიტერატურის ჩათვლით. არაბული ფოლკლორის ჟანრული კლასიფიკაცია და ფოლკლორული ნიმუშების გაცნობა. ფოლკლორისა და შუა საუკუნეების არაბული ლიტერატურის ზოგად მახასიათებლებსა და თავისებურებებში გარკვევა; არაბული ლიტერატურული ნიმუშების ორიგინალში კითხვა-თარგმნისა და მათ ენობრივ სირთულეებში გარკვევის უნარ-ჩვევების გამომუშავება.
- თარგმანის თეორიის ზოგად პრინციპებზე წარმოდგენა. არაბულიდან ქართულად და ქართულიდან არაბულად წერილობითი და ზეპირი თარგმანის სპეციფიკაში გარკვევა, სხვადასხვა სფეროში სათარჯიმნო პრაქტიკისთვის მომზადება.
- არაბულ-ქართული კონტაქტების ძირითად ასპექტთა (პოლიტიკური ფონი, კულტურული ურთიერთგაცვლა, ენობრივი ნასესხობანი და სხვ.) გაცნობა, ასევე არაბული კულტურისა და მეცნიერების ქართულ კულტურაზე ზეგავლენის შესახებ საბაზისო ცოდნა.

- ენათა ინტერფერენციის პრობლემებზე და ლექსიკური სესხების პროცესებზე ზოგადი წარმოდგენა; ქართულში არაბიზმების დამკვიდრების შესახებ ძირითადი ინფორმაცია; ქართულში არაბული ლექსიკური ნასესხობების ფონეტიკური და სემანტიკური ტრანსფორმაციების შესახებ საბაზისო ცოდნა, მათი თვისებრივი მაჩვენებლების გამოყოფა. ეტიმოლოგიური კვლევის მეთოდებზე ზოგადი წარმოდგენა.
- ისლამის როგორც რელიგიის და სოციალური ინსტიტუტის ისტორიის ზოგადი კურსის შესწავლა. ისლამში რელიგიურ ვალდებულებებისა და თეოლოგიური დოქტრინების, შუა საუკუნეების და თანამედროვე ისლამის ისტორიის საბაზისო ცოდნა. ზოგადი წარმოდგენა ისლამური სახელმწიფოს კონცეფციასა და ისლამურ მოძრაობებზე.
- არაბ-საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ისტორიული ურთიერთობების საბაზისო ცოდნა; ისლამური ფაქტორის გათვალისწინება ამ ურთიერთობებში; საქართველოს შესახებ არაბული წყაროების (ისტორიული, გეოგრაფიული ხასიათის) გაცნობა.
- არაბული ენის პრაქტიკული გამოყენება მთელი რიგი წერილობითი კორესპოდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, საუბრის წარმართვის უნარ-ჩვევები.
- არაბულ ენაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი.
- პროფესიულ სფეროებში ადაპტაციის უნარი. კონკრეტული, ვიწროდარგობლივი მონაცემების გააზრება როგორც ლინგვისტური, ისე ლიტერატურის თეორიისა და ისტორიულ-კულტუროლოგიური მონაცემების კონტექსტში.
- სათარჯიმნო ბიუროების ტიპური დოკუმენტაციის და საქმიანი ქაღალდების არაბულიდან ქართულად და პირუკუ თარგმნის უნარი; საქმიანი საუბრების არაბულიდან ქართულად და პირუკუ სათარჯიმნო პრაქტიკის უნარ-ჩვევები.

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:** 240 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერითი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX

0-40	ჩაიჭრა	F
------	--------	---

**საკონტაქტო პირი:**

სრული პროფესორი აპოლონ სილაგაძე, ტელ. 877 41 43 41, ელ. ფოსტა [apolon.silagadze@tsu.ge](mailto:apolon.silagadze@tsu.ge)  
; კონსულტაციების გაწევის დრო: ყოველი სამუშაო დღე 16–18 საათი.



## საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება: ირანისტიკა

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი

**პროგრამის მიზნები:** თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულება მიმდინარე საბაკალავრო პროგრამით მოამზადებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის აღმოსავლეთმცოდნე ირანისტის სპეციალობით. პროგრამის ფარგლებში ბაკალავრი აითვისებს ქართული ირანისტიკის ყველა ძირითად სამეცნიერო მიღწევას და მომზადდება ამ ტრადიციების გასაგრძელებლად. ქართველური სამყაროს ისტორიულად ღრმა კავშირები ჰქონდა ირანულ გარემოსთან, რაც განაპირობებს თავად პროგრამაში ქართულ–ირანული ურთიერთობებისთვის ყველა ძირითად სასპეციალიზაციო დისციპლინებში განსაკუთრებული ადგილის დათმობას ირანის ისტორიის, ირანულ ენათა სტრუქტურისა და ირანული ლიტერატურის ისტორიის კურსებთან ერთად.

### სწავლის შედეგები:

- აღმოსავლეთმცოდნეობის, როგორც კომპლექსური მეცნიერების ძირითადი მიმართულებებისა და დარგების შესახებ საბაზისო ცოდნა; წარმოდგენა ზოგადად ირანისტიკასა და ამ სკოლის ტრადიციებზე საქართველოში, ასევე ირანისტიკის განვითარების მნიშვნელობაზე ქართველოლოგიისა და ქართული კულტურის ისტორიის კვლევისთვის.
- ირანულ ენათა სტრუქტურაში (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი), აგრეთვე ლექსიკოლოგიის ზოგად მახასიათებლებში გარკვევა, საერთო ნიშნების ცოდნა (აქცენტირება სპარსულ ენაზე). ლინგვისტური კომპარატივისტიკის დაწყებითი უნარების შეძენა.
- სპარსული ენის ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სინტაქსური სისტემების პრაქტიკული ფლობა; სპარსული ენის საბაზისო ლექსიკური მარაგის შეძენა; სპარსულად კითხვის, თარგმნის, აზრის გამოხატვის და მსჯელობის უნარი. ელემენტარული ლინგვისტური ანალიზის ჩვევების გამომუშავება.
- სპარსული ლიტერატურის ისტორიის ზოგადი კურსის ათვისება ისლამამდელი ძვ. და საშუალო ირანული ენობრივი ეპოქის ძეგლებიდან მოყოლებული თანამედროვე სპარსული ლიტერატურის ჩათვლით. სპარსული ფოლკლორის ჟანრული კლასიფიკაცია და ფოლკლორული ნიმუშების გაცნობა. ფოლკლორისა და შუა საუკუნეების სპარსული ლიტერატურის ზოგად მახასიათებლებსა და თავისებურებებში გარკვევა; სპარსული ლიტერატურული ნიმუშების ორიგინალში კითხვა-თარგმნისა და მათ ენობრივ სირთულეებში გარკვევის უნარ-ჩვევების გამომუშავება.
- თარგმანის თეორიის ზოგად პრინციპებზე წარმოდგენა. სპარსულიდან ქართულად და ქართულიდან სპარსულად წერილობითი და ზეპირი თარგმანის სპეციფიკაში გარკვევა, სხვადასხვა სფეროში სათარჯიმნო პრაქტიკისთვის მომზადება.
- სპარსული ენის პრაქტიკული გამოყენება მთელი რიგი წერილობითი კორესპოდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, საუბრის წარმართვის უნარ-ჩვევები.
- სპარსულ ენაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი.
- სპარსული ენის სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების, მათ შორის ეტიმოლოგიური ლექსიკონების, გამოყენების უნარი.

- სათარჯიმნო ბიუროების ტიპიური დოკუმენტაციის და საქმიანი ქაღალდების სპარსულიდან ქართულად და პირუკუ თარგმნის უნარი; საქმიანი საუბრების სპარსულიდან ქართულად და პირუკუ სათარჯიმნო პრაქტიკის უნარ-ჩვევები.

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:** 240 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერითი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

**საკონტაქტო პირი:**

სრული პროფესორი ლილი ჟორჯოლიანი, ტელ. 39 66 82, ელ.ფოსტა [lili.zhorzholiani@tsu.ge](mailto:lili.zhorzholiani@tsu.ge) ;  
კონსულტაციების გაწევის დრო: ყოველი სამუშაო დღე 16–18 საათი.

## საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება: თურქოლოგია

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი

**პროგრამის მიზნები:** თურქეთისა და თურქული ენის წარსულისა და თანამედროვე მდგომარების კვლევა მრავალმხრივ საინტერესოა დღევანდელ პირობებში როგორც გეოპოლიტიკური, ისე კულტურულ–ისტორიული და ლინგვისტურ–ეთნოგრაფიული თვალსაზრისით. ეს ინტერესი განსაკუთრებულია ქართველურ სამყაროში, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი პოლიტიკური და ენობრივ–კულტურული ურთიერთობა ჰქონდა თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე ისტორიულად და ახლა მცხოვრებ ხალხებთან. სწორედ ეს განაპირობებს თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანს: დამწყებ თურქოლოგს მისცეს საბაზისო ცოდნა თურქეთის ისტორიის, თურქული ენობრივი სისტემებისა და ლიტერატურის ისტორიის; აზიაროს იგი ქართული თურქოლოგიური სკოლის ძირითად მიღწევებს და მოამზადოს ამ სახელოვანი ტრადიციების გასაგრძელებლად. პროგრამა მიზნად ისახავს, მიეცეს სტუდენტს თანამიმდევრული, სისტემური ცოდნა როგორც ძირითად საუნივერსიტეტო, ასევე თურქოლოგიის ზოგადთეორიულსა თუ პრაქტიკულ დისციპლინებში იმ მოცულობით, რაც აუცილებელია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის კვალიფიკაციის მისაღებად და მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად.

### სწავლის შედეგები:

- აღმოსავლეთმცოდნეობის, როგორც კომპლექსური მეცნიერების ძირითადი მიმართულებებისა და დარგების შესახებ საბაზისო ცოდნა;
- წარმოდგენა თურქოლოგიაზე და თურქოლოგიური სკოლის ტრადიციებზე საქართველოში, ასევე თურქოლოგიის განვითარების მნიშვნელობაზე ქართველოლოგიისა და ქართული კულტურის ისტორიის კვლევისთვის;
- თურქული ენის სტრუქტურაში (ფონეტიკა–ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი), აგრეთვე ლექსიკოლოგიის ზოგად მახასიათებლებში გარკვევა, საერთო ნიშნების ცოდნა; ლინგვისტური კომპარატივისტიკის დაწყებითი უნარების შექმნა;
- თურქული ენის ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სინტაქსური სისტემების პრაქტიკული ფლობა; თურქული ენის საბაზისო ლექსიკური მარაგის შექმნა; თურქულად კითხვის, თარგმნის, აზრის გამოხატვისა და მსჯელობის უნარი;
- ელემენტარული ლინგვისტური ანალიზის ჩვევების გამომუშავება; თურქული ლიტერატურის ისტორიის ზოგადი კურსის; თურქული ლიტერატურის ზოგად მახასიათებლებსა და თავისებურებებში გარკვევა;
- თურქული ლიტერატურული ნიმუშების ორიგინალში კითხვა–თარგმნისა და მათ ენობრივ სირთულეებში გარკვევის უნარ–ჩვევების გამომუშავება;
- თარგმანის თეორიის ზოგად პრინციპებზე წარმოდგენა; თურქულიდან ქართულად და ქართულიდან თურქულად წერილობითი და ზეპირი თარგმანის სპეციფიკაში გარკვევა;
- სხვადასხვა სფეროში სათარჯიმნო პრაქტიკისთვის მომზადება; ლიტერატურული კონტაქტების გენეზისისა და განვითარების ზოგადი ისტორიის საბაზისო ცოდნა;
- შუა საუკუნეების თურქულ–ქართული და ქართულ–თურქული ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ წარმოდგენის შექმნა, კერძოდ, ქრისტიანული არაბული ლიტერატურის და ქართული საეკლესიო მწერლობის ურთიერთობათა საკვანძო საკითხების გაცნობა;
- თურქული ქვეყნების შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი ისტორიის ზოგადი კურსის შესწავლა; თურქული ისტორიოგრაფიის საბაზისო ცოდნა;

- თურქული რეგიონის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გაცნობიერება; თანამედროვე თურქეთში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებზე წარმოდგენა;
- ისლამის როგორც რელიგიის და სოციალური ინსტიტუტის ისტორიის ზოგადი კურსის შესწავლა; ისლამში რელიგიურ ვალდებულებებისა და თეოლოგიური დოქტრინების, შუა საუკუნეების და თანამედროვე ისლამის ისტორიის საბაზისო ცოდნა;
- ზოგადი წარმოდგენა ისლამური სახელმწიფოს კონცეფციასა და ისლამურ მოძრაობებზე;
- თურქეთ-საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ისტორიული ურთიერთობების საბაზისო ცოდნა;
- ისლამური ფაქტორის გათვალისწინება ამ ურთიერთობებში;
- საქართველოს შესახებ თურქული წყაროების (ისტორიული, გეოგრაფიული ხასიათის) გაცნობა.

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:** 240 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერიტი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

**საკონტაქტო პირი:** სრული პროფესორი მარიკა ჯიქია, ელ.ფოსტა [marika.jikia@tsu.ge](mailto:marika.jikia@tsu.ge) [marikajikia@hotmail.com](mailto:marikajikia@hotmail.com) ; კონსულტაციების გაწევის დრო: ყოველი სამუშაო დღე 16–18 საათი.

## საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება: ებრაისტიკა-არამეისტიკა

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი

**პროგრამის მიზნები:** პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტები ებრაისტიკა-არამეისტიკის მიმართულებით, რომლებიც გააგრძელებენ ქართული ებრაისტიკისა და არამეისტიკის სკოლის ტრადიციებს უპირველესად ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისა და კვლევის, და ასევე საკუთრივ ებრაისტიკა-არამეისტიკის პრობლემატიკის კვლევის საქმეში. კურსდამთავრებულები დაუფლებულნი არიან ებრაულ და არამეული ენებს, ესმით ისრაელის როლი და მნიშვნელობა როგორც რეგიონის, ისე საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით. ასევე იცნობენ ებრაული და არამეული ენების როლს საქართველოს ისტორიის, ქართული დამწერლობის კვლევის საქმეში, ქართული და წინა აზიის ძველი ენების ურთიერთობის საკითხებს, ბიბლიის ძველი ქართული თარგმანების წარმომავლობას ებრაულ დედანთან თუ მის უძველეს არამეულ (სირიულ) თარგმანთან მიმართებაში. ბაკალავრიატის პროგრამის ფარგლებში ყურადღება გამახვილებულია სპეციალურ დისციპლინებსა და მომიჯნავე დარგებში (ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა და სხვ.) საფუძვლების დაუფლებაზე.

პროგრამის მიზანია სპეციალისტების მომზადება მსოფლიოს წამყვან ორიენტალისტურ ცენტრებსა და უნივერსიტეტებში დამკვიდრებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, თსუ-ში არსებული ტრადიციების გათვალისწინებით.

### სწავლის შედეგები:

- აღმოსავლეთმცოდნეობის, როგორც კომპლექსური მეცნიერების ძირითადი მიმართულებებისა და დარგების შესახებ საბაზისო ცოდნა; წარმოდგენა ზოგადად ებრაისტიკა – არამეისტიკაზე და სემიტოლოგიის სკოლის ტრადიციებზე საქართველოში; აღმოსავლური ენების, ებრაულისა და არამეულის საბაზისო ცოდნა, ებრაული და არამეული ენების სტრუქტურული თავისებურებების შესწავლა და ზოგადსემიტურ კონტექსტში გააზრება, აღმოსავლური ლიტერატურის, ქართულ – აღმოსავლური ლიტერატურული ურთიერთობების, კულტურის, ისტორიის საბაზისო ცოდნა.
- ებრაული და არამეული ენებიდან თარგმნა. ტექსტების ფილოლოგიურ – ისტორიული და ზოგადკულტუროლოგიური ხასიათის კომენტარების მომზადება; სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი; ბიბლიოთეკის ფონდებზე მუშაობა, ტექსტების რეფერირების, კომენტარებისა და ანოტირების უნარი. პროფესიულ სფეროებში ადაპტაციის უნარი; კონკრეტული, ვიწრო დარგობრივი მონაცემების გააზრება, როგორც ლინგვისტურ, ისე ლიტერატურის თეორიისა და ისტორიულ – კულტუროლოგიურ კონტექსტში; ლინგვისტური, ლიტერატურული და ისტორიული პროცესების ელემენტარული შეფასებისა და ანალიზის უნარი; ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების განზოგადებისა და ფილოლოგიურ – ისტორიულ კონტექსტში განხილვის უნარი.
- შემეცნებითი (cognitive) და მეთოდოლოგიური უნარი: სინთეზი და ანალიზი; დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარების პირობებში ინფორმაციის ეფექტურად მოპოვების უნარი, როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტის საშუალებით. ასევე ამ ინფორმაციის დამუშავება და სინთეზი ინოვაციური მეთოდების გამოყენებით; ახალი მონაცემების ანალიზის უნარი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით.

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: 240 ECTS კრედიტი**

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერიტი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

**საკონტაქტო პირი:** ასოცირებული პროფესორი მარიკა ჩაჩიბაია, ტელ. 899 955574; 233375  
ელ.ფოსტა [marika\\_chachibaia@yahoo.com](mailto:marika_chachibaia@yahoo.com) ; კონსულტაციების გაწევის დრო: ყოველი სამუშაო  
დღე 16–18 საათი.

## საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება: არმენოლოგია

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი

**პროგრამის მიზნები:** პროგრამა მიზნად ისახავს, მომზადოს ბაკალავრი არმენოლოგიის მიმართულებით როგორც პრაქტიკული ისე სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისათვის. ამისათვის იგი საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში დაეუფლება ისეთ ძირითად დარგებს, როგორცაა ახალი და ძველი სომხური ენები, სომხეთის ისტორია უძველესი დროიდან დღემდე, სომხური ლიტერატურის ისტორიას ასევე უძველესი დროიდან დღემდე. ვინაიდან ქართველი არმენოლოგი მზადდება მომავალში ძირითადად ქართულ-სომხური ურთიერთობის სფეროში (პედაგოგიურ, სათარჯიმნო, საბიბლიოთეკო, სამუზეუმო, საექსპერტო და ა.შ.) სამუშაოდ, ბაკალავრიატის დონეზე იგი მოისმენს ისეთ საგნებსაც, როგორცაა, ქართულ-სომხური ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობები, სომხეთის რესპუბლიკის თანამედროვე მდგომარეობა, თარგმანის თეორია, გაივლის სათარჯიმნო პრაქტიკას. ზოგადად, კურსდამთავრებული არმენოლოგიურ დისციპლინებთან ერთად უნდა ფლობდეს ქართველოლოგიურსაც, მისი აზროვნების უნარი მზად უნდა იყოს მათი შედარებითი ანალიზისათვის.

### სწავლის შედეგები:

- იცის ძველი და ახალი სომხური ენის აღწერითი გრამატიკის სრული კურსი. ფლობს როგორც სომხურს ისე შესატყვის ქართულ გრამატიკულ ტერმინოლოგიას, სომხური ენის გრამატიკული აღწერის მეთოდებს, განსხვავებულ პრინციპებს, ქართულ-სომხურ ენობრივ კონტაქტებსა და სათანადო ლიტერატურას.
- ფლობს თარგმანის თეორიის ზოგად პრინციპებს და, აგრეთვე, სომხურიდან ქართულად და ქართულიდან სომხურად თარგმნის თავისებურებებსა და მდიდარ პრაქტიკულ გამოცდილებას.
- იცის სომხეთის ისტორია, მისი ისტორიოგრაფია და პერიოდიზაცია. საქართველოს სახელმწიფოში შესული სომხეთის ჩრდილო მხარეთა პოლიტიკურ, კულტურულ და ლიტერატურულ სიტუაციას. სპეციალურად ეუფლება საქართველოს და სომხეთის ეკლესიების ურთიერთობის ძირითად საკითხებს.
- იცის სომხური ლიტერატურის ისტორია, მისი პერიოდიზაციის პრინციპები, ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობების უმთავრესი საკითხებს და სათანადო ლიტერატურას.
- იცნობს თანამედროვე სომხეთის პოლიტიკურ, ეკონომიურ, საგარეო ორიენტაციის, უშუალო მეზობლებთან (განსაკუთრებით საქართველოსთან) ურთიერთობების საკითხებს, პოლიტიკურ ძალთა განლაგებას.
- შეუძლია ახალ სომხურ ენაზე მხატვრული და სამეცნიერო ტექსტების, პრესის, იურიდიული და ეკონმიკური ხასიათის დოკუმენტების თავისუფლად კითხვა და მეტყველება; სომხურიდან ქართულად და ქართულიდან სომხურად წერილობით და ზეპირად თარგმნა; ძველ სომხურ ენაზე შეუძლია კლასიკური პერიოდის ტექსტების თარგმნა სომხურიდან ქართულად – როგორც შემთხვევებში ლექსიკონის გამოყენებით.

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:** 240 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერიტი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100

ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

**საკონტაქტო პირი:** სრული პროფესორი ზაზა ალექსიძე, ტელ. 899956522 ელ.ფოსტა [zaza\\_alexidze@hotmail.com](mailto:zaza_alexidze@hotmail.com) ; კონსულტაციების გაწევის დრო: ყოველი სამუშაო დღე 16–18 საათი.



**საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება:** ასირიოლოგია

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი

**პროგრამის მიზნები:** ასირიოლოგია ანუ უძველესი აღმოსავლური ცივილიზაციების შესწავლა, წარმოადგენს რიგი დისციპლინების სინთეზს. იგი მოიცავს ძირითადი დარგების - აქადოლოგიისა და შუმეროლოგიის - გვერდით მონათესავე მიმართულებებს – ხეთოლოგიას, ხურიტოლოგიას, ურარტოლოგიას, ბიბლიური ხალხების კულტურას და იგი კომპლექსურ დარგად წარმოგვიდგება, რაც გულისხმობს ზემოაღნიშნული ცივილიზაციების ენების, დამწერლობების, ლიტერატურის, რელიგიისა და სხვა ასპექტების შესწავლას. მეცნიერების თეორიის დასავლური გაგებით, ასირიოლოგი არის ლინგვისტური, ფილოლოგიური, წყაროთმცოდნეობითი კომპეტენციის მქონე სპეციალისტი. შესაბამისად, ასირიოლოგიის დასაუფლებლად აუცილებელია მთელი რიგი ინტერდისციპლინარული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, სხვადასხვა ხასიათის ლექციური თუ ინტერაქტიული ტიპის სემინარებთან ერთად სტუდენტმა უნდა გამოიმუშავოს დამოუკიდებელი კვლევის უნარი, შეზავებული ორიგინალურ ხედვასთან და წარმოსახვის უნართან, რათა შეძლოს ისტორიული რეალობის აღდგენა და ეპოქის რეკონსტრუქცია. ამასთან, არანაკლებ მნიშვნელოვანია წერის, ლოგიკური მსჯელობისა და სამეცნიერო თუ ორიგინალური ტექსტების კითხვისა და ანალიზის უნარ-ჩვევის გამომუშავებაც.

საბაკალავრო პროგრამაში სწავლება წარმართება ორი ძირითადი მიმართულებით: გარკვეული კურსები დაეთმობა დარგის კვლევის თეორიულ საფუძვლებს და მეთოდებს (კონტექსტუალური კვლევა, ეთნოკულტურული კვლევა, ჰერმენევტიკა, კვლევის ტოპოგრაფიული მეთოდი, პროსოპოგრაფია, პოსტპროცესუალური არქეოლოგია და სხვ.) და მეორე, ცალკეული კურსები დაეთმობა წმინდა ემპირიული მასალის შესწავლა-დამუშავებას (კონკრეტული ფილოლოგიურ-ისტორიულ-კულტურული მოდელები, საზოგადოების განვითარების კონკრეტული ეტაპები, ენის ევოლუციის ეტაპები, ინტერკულტურული მიმართულებები და კავშირები).

#### **სწავლის შედეგები:**

- აღმოსავლეთმცოდნეობის, როგორც კომპლექსური მეცნიერების ძირითადი მიმართულებებისა და დარგების შესახებ საბაზისო ცოდნა;
- წარმოდგენა ზოგადად ასირიოლოგიაზე და ამ სკოლის ტრადიციებზე საქართველოში;
- ძველადმოსავლური ენების საბაზისო ცოდნა ;
- ძველადმოსავლური ლიტერატურის, კულტურის, ისტორიის საბაზისო ცოდნა.
- შესწავლილი ენებიდან თარგმნა;
- ტექსტებისთვის ფილოლოგიური, ისტორიული და ზოგადად კულტუროლოგიური ხასიათის კომენტარების მომზადება;
- სპეციალიზებული სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი;
- საბიბლიოთეკო ფონდებზე მუშაობის, სხვადასხვა ტიპის ტექსტების რედაქტირების, რეფერირების, კომენტარებისა და ანოტირების უნარი;

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:** 240 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერიტი

შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

**საკონტაქტო პირი:** სრული პროფესორი ირინე ტატიშვილი, ტელ. 899546672; 355064, ელ.ფოსტა [tatishvili@yahoo.com](mailto:tatishvili@yahoo.com) ; კონსულტაციების გაწევის დრო: ყოველი სამუშაო დღე 16–18 საათი.

**საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება:** ქართული ფილოლოგია

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი

**პროგრამის მიზნები:** სტუდენტთა სწავლება და მომზადება ზოგადჰუმანიტარული და ზოგადფილოლოგიური მიმართულებით ქართველური ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის საბაზისო ცოდნის შეძენის საფუძველზე. პროგრამის მიზანია ბაკალავრს ქართული ფილოლოგიის დარგში ჰქონდეს საშუალო განათლებაზე უფრო მაღალი პროფესიული ცოდნა, რაც მას კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების საფუძველზე საშუალებას მისცემს სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობისათვის.

**სწავლის შედეგები:**

- ქართველური ენათმეცნიერების, ძველი და ახალი ქართული ენის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის, ლიტერატურათმცოდნეობის, ქართული ლიტერატურისა და ფოლკლორის საბაზისო ცოდნა.
- ლიტერატურის თეორიისა და თარგმანის თეორიის საკითხების საბაზისო ცოდნა.
- ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისა და შუასაუკუნეების მწერლობის ძირითადი პრინციპების საბაზისო ცოდნა.
- XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ძირითადი ტენდენციების ცოდნა.
- XX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და თანამედროვე ლიტერატურული პროცესების ძირითადი ტენდენციების საბაზისო ცოდნა.
- ქართული ლიტერატურისა და ზეპირსიტყვიერების ერთ მთლიან კულტურულ კონტექსტში გააზრება.
- ლიტერატურის თეორიის, ლიტერატურული კრიტიკისა და ტექსტოლოგიის მეთოდების გამოყენების უნარი.
- ანალიზის, პრობლემების ამოცნობისა და მათი გადაჭრის უნარი შესაბამისი ცოდნის გამოყენებით.

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:** 240 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერიტი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B

71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

საკონტაქტო პირი: სრული პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე, ტელ. 877 41 25 81; , ელ.ფოსტა [khintibidze@yahoo.com](mailto:khintibidze@yahoo.com) ; კონსულტაციების გაწევის დრო: ყოველი სამუშაო დღე 16–18 საათი.

**საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება:** ინგლისური ფილოლოგია

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი

**პროგრამის მიზნები:** ბაკალავრიატი ინგლისური ფილოლოგიის სპეციალობით მოიცავს ორ ძირითად პროგრამას: ინგლისური ენა და ინგლისური ლიტერატურა. პროგრამის ძირითადი და საბოლოო მიზანი ითვალისწინებს ინგლისურ ფილოლოგიაში კვალიფიციური სპეციალისტის მომზადებას, რომლის ცოდნა დაეფუძნება სკოლის შემდგომი დონის სასწავლო მასალას და მოიცავს ზემოაღნიშნულ პროგრამათა განმსაზღვრელ ძირითად ასპექტებს.

ბაკალავრიატში ინგლისური ფილოლოგიის ძირითადი სპეციალობის (მაჯორ) დაუფლების უპირველესი და განმსაზღვრელი მიზანია ინგლისური ენისა და ლიტერატურის პრაქტიკული და თეორიული ასპექტების სიღრმისეული შესწავლა, პრაქტიკული და მეცნიერული კომპეტენციების შექმნა, მათი გამოყენების მაღალი სტანდარტების დაუფლება. იგი მიზნად ისახავს დარგობრივი (ზოგადფილოლოგიური) კომპეტენციების გამომუშავებას და განვითარებას; ამასთან ერთად, იგი სტუდენტს უმუშავებს არჩეული დარგის სამეცნიერო საფუძვლებს, უნვითარებს მას როგორც ძირითად მეთოდოლოგიურ კომპეტენციებს, ასევე პრაქტიკულ-პროფესიულ უნარ-ჩვევებს, რაც ბაკალავრს შემდგომში გაუადვილებს დასაქმებასა და საზოგადოების წარმატებულ წევრად ქცევას.

**სწავლის შედეგები:**

- სტუდენტი ფლობს ზოგად ინფორმაციას სპეციალობის ყველა თეორიული საგნისა თუ ენის პრაქტიკული ასპექტის, ინგლისური ლიტერატურის ყველა კურსის შესახებ, რომელსაც იგი შეისწავლის ბაკალავრიატის ამ სემესტრის განმავლობაში. ამით მას ზოგადი წარმოდგენა ექმნება იმ სასწავლო პროგრამაზე, რომელსაც უნივერსიტეტი სთავაზობს ინგლისური ფილოლოგიის მიმართულებაზე სწავლის დროს.
- სტუდენტი ფლობს ზოგად თეორიულ ინფორმაციას სამეტყველო სტილების და ინტონაციის პარამეტრების შესახებ, რაც მას ეხმარება ენათმეცნიერული მოვლენებისად მი შემოქმედებითი მიდგომის გამომუშავებაში.
- სტუდენტი ენას აღიქვამს არა როგორც მასში შემავალ ერთეულთა ქაოტურ გროვას, არამედ როგორც მკაცრ სისტემურ მექანიზმს, რომლის შემადგენელი ერთეულები ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთ განმსაზღვრელნი არიან.
- სტუდენტს აქვს საფუძვლიანი ცოდნა ლექსიკის სისტემურობისა და მეტყველების აგებისას ლექსიკური კატეგორიების როლის შესახებ. იგი ფლობს გარკვეულ ცოდნას ლექსიკური ერთეულების სპეციფიკური თვისებების შესახებ, რომლებიც მჟღავნდება კონტექსტის ფარგლებში სიტყვის ფუნქციების სიღრმისეულ ანალიზში.
- სტუდენტი ფლობს თეორიულ ცოდნას სხვადასხვა დონის სტილისტური ხერხებისა და ექსპრესიული საშუალებების შესახებ, რასაც მისეული ორიგინალური ანალიზი მხატვრული ტექსტის პროფესიულ დონეზე აჰყავს. მას აქვს ცოდნა სტილისტური მოვლენების აღქმა-გაანალიზების ტექსტთან და დისკურსთან მიმართებაში.
- სტუდენტს აქვს ცოდნა ინგლისური ენის დიაქრონული განვითარების ძველი და საშუალო ინგლისურის დამახასიათებელი თავისებურებების შესახებ; აგრეთვე რადიკალური ცვლილებების ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორების შესახებ.
- სტუდენტს აქვს თანამედროვე სემიოტიკის ძირითადი თეორიებისა და პოსტულატების კრიოტიკულ შეფასებისა და მათზე დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი.

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: 240 ECTS კრედიტი**

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერიტი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

**საკონტაქტო პირი:** სრული პროფესორი მანანა რუსიეშვილის, ტელ. 899168339, ელ.ფოსტა [manana\\_rusieshvili@yahoo.co.uk](mailto:manana_rusieshvili@yahoo.co.uk); კონსულტაციების გაწევის დრო: ყოველი სამუშაო დღე 16–18 საათი.

## საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება: გერმანული ფილოლოგია

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი

**პროგრამის მიზნები:** საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს დარგობრივი (ზოგადფილოლოგიური) კომპეტენციების გამომუშავებას და განვითარებას; ის უქმნის სტუდენტს დარგის სამეცნიერო საფუძვლებს და სძენს მას როგორც დარგის მეთოდოლოგიურ კომპეტენციებს ასევე პრაქტიკულ და პროფესიულ უნარ-ჩვევებს, რათა მოხდეს მისი მიზანმიმართული ინტეგრაცია სამოქალაქო საზოგადოებაში.

პროგრამის უწინარეს მიზანს წარმოადგენს ენობრივი კომპეტენციების შექმნა. იგი უნდა შეესაბამებოდეს ევროკომისიის მიერ შემუშავებული ენობრივი პოლიტიკის ე.წ. “საერთოევროპული რეფერენციული ჩარჩოს” პარამეტრებს, რაც გულისხმობს ენობრივი კომპეტენციის ზრდას A<sup>2</sup>/B<sup>1</sup>-დან B- C<sup>1</sup> დონემდე პირველი საფეხურის სწავლების ფარგლებში; უცხო ენის ფლობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები ვითარდება ენობრივი ქმედების ოთხი კომპეტენციის შესაბამისად: ზეპირი მეტყველება, წერა, აუდირება და კითხვა. შესაბამისად, ენის პრაქტიკული კურსი აღრმავებს ინტერკულტურული ცოდნის კომპეტენციებს.

წინამდებარე პროგრამა ითვალისწინებს ასევე მეცნიერულ მეთოდებზე დამყარებულ კვლევის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რომელიც ვითარდება ორი მიმართულებით: გერმანული ენათმეცნიერება და გერმანული ლიტერატურათმცოდნეობა. პირველი საფეხურის სწავლების ფარგლებში კვლევის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება გულისხმობს: შესასწავლი საკითხის მართებულად დასმას, პრობლემატიკასთან დაკავშირებული ფაქტების კრიტიკულ შეფასებას და ცოდნაზე დამყარებული დასკვნების გამოტანას.

პირველ საფეხურის სასწავლო პროგრამა გარდა პრაქტიკული და თეორიული კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევებისა სწავლების პროცესში მიზნობრივად ახდენს ზოგადი და ტრანსფერული უნარების განვითარებას, რომელიც ხელს შეუწყობს შემდგომში კურსდამთავრებულის უკეთ ჩართვას საზოგადოებაში და მის წარმატებულ დასაქმებას.

### სწავლის შედეგები:

- საერთოევროპული რეფერენციალური ჩარჩოს მოთხოვნათა შესაბამისად პრაქტიკული ენის ცოდნის გაღრმავება (გერმანული ენა, აუდიო-ვიზუალური მედიების თეორია და პრაქტიკა I/II, გერმანული ენის კომპიუტერული სწავლება, ინტერკულტურული კომუნიკაცია) ზოგადი კომპეტენციების მიხედვით (აუდირება, კითხვა, მეტყველება, წერა) და სკალირების პრინციპის შესაბამისად; სტუდენტი:
- იგებს (აუდირება): ვრცელ მოხსენებას, ლექციას, თუ კი თემატიკა ცნობილია; რეპორტაჟსა და ახალ ამბებს მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით; ფილმის შინაარსს, თუ კი სცენარი სალიტერატურო ენაზეა დაწერილი;
- იგებს (კითხვა): თანამედროვე პრობლემატიკაზე დაწერილ სტატიებსა და მოხსენებებს; თანამედროვე მხატვრული ლიტერატურას; დიდაქტიზირებულ სამეცნიერ (დარგობრივ ლიტერატურას);
- (მეტყველება): შეუძლია სპონტანური და შეუფერხებელი საუბარი ენის მატარებელთან; აქტიურ მონაწილეობას იღებს დისკუსიაში ნაცნობ თემებზე; საუბრობს და არგუმენტების საფუძველზე იცავს საკუთარ შეხედულებებს;
- (წერა): ნათლად და დასაბუთებულად გამოხატავს საკუთარ აზრს შერჩეულ თემაზე; ხსნის და განმარტავს საკუთარ თვალსაზრისს; ასახელებს თემასთან დაკავშირებულ პრო- და კონტრა- არგუმენტებს;
- სტუდენტი ეცნობა ზოგად ფილოლოგიურ კომპეტენციებს (შესავალი გერმანულ ფილოლოგიაში): გერმანისტიკის წარმოშობის ფილოლოგიური წანამდგვრები, გერმანული ლინგვისტური აზროვნებისა და ლიტერატურის ისტორიის

განვითარების ტენდენციებსა და ეტაპებს; გერმანისტული კვლევისთვის აუცილებელი ინსტრუმენტარიუმს.

- სტუდენტი იძენს თარგმნის ტექნიკას შესაბამისი თეორიული წანამდგვრების საფუძველზე (თარგმანის თეორია და პრაქტიკა), როგორც ერთ-ერთ შემადგენელ კომპეტენციას ფილოლოგიური სასწავლო პროგრამის ფარგლებში.
- გერმანული ენის მორფოლოგიური და სინტაქსური სისტემების, (გერმანული გრამატიკის საფუძვლები, გერმანული ენის ცვლილებები) მათ ფუნქციონირების ცოდნა; გერმანული ენის მორფოლოგიური და სინტაქსური წყობის თავისებურების ცოდნა; კანონზომიერებათა განხილვა ენობრივ უნივერსალებთან მიმართებაში; ენის პერიფერიული მოვლენების (გამონაკლისები, გადახრა-ანომალიები) ცოდნა; მორფოლოგიურ თეორიული ანალიზის ცოდნა; წინადადების სინტაქსური ანალიზის პრაქტიკული ცოდნა;

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: 240 ECTS კრედიტი**

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერითი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

**საკონტაქტო პირი:** სრული პროფესორი ლალი ქეცბა-ხუნდაძე, ტელ. 899 10 27 57, ელ.ფოსტა [lali.kezba\\_chundadse@yahoo.de](mailto:lali.kezba_chundadse@yahoo.de); კონსულტაციების გაწევის დრო: ყოველი სამუშაო დღე 16–18 საათი.



## საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება: ფრანგული ფილოლოგია

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი

**პროგრამის მიზნები:** პროგრამა მიზნად ისახავს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის, ბაკალავრიატის სტუდენტს მისცეს ფართო და ღრმა ცოდნა ფრანგული ფილოლოგიის სფეროში, რაც გულისხმობს თეორიული და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი სტუდენტის მომზადებას მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისა და მუშაობისათვის; კერძოდ, პროგრამა მოიცავს ენის სისტემის ფუნქციონირების წესების ცოდნას, სამეცნიერო ტერმინოლოგიის დაუფლებას, ფრანგული ფილოლოგიის სფეროში მუშაობის მეთოდების ცოდნას, აუდიო-ვიზუალური და მულტიმედიური მეთოდების გამოყენებას, ფრანგული ენის ცოდნას ევროსაბჭოს უცხოური ენების კომისიის მიერ შემუშავებული (B2) დონის შესაბამისად, ფრანგული ლიტერატურის მთავარი მხატვრული ტენდენციებისა და ამ ქვეყნების სოციოკულტურული განვითარების ძირითადი თავისებურებების ცოდნას.

შემენილი ცოდნა სტუდენტს შეუქმნის ცოდნის შემდგომი გაღრმავების, პროფესიონალურად ორიენტირებული სრულყოფის საფუძველს და საშუალებას მისცემს მას შეძენილი უნარ-ჩვევები გამოიყენოს როგორც კონკრეტული ქვეყანაში, ასევე საერთაშორისო კონტექსტში.

### სწავლის შედეგები:

- ზოგადი ცოდნა რომანული ენების შესახებ. რომანულ ენათა ისტორია. მათი წარმოშობის ისტორიული და ფსიქოლოგიური პირობები. საფრანგეთის, ესპანეთის და იტალიის სახელმწიფოების წარმოქმნა; ფრანგული, ესპანური და იტალიური ენების პერიოდიზაცია, მათი გავრცელების არეალი. ცალკეული თეორიული დისციპლინების წარმოდგენა; სათანადო ტერმინოლოგიებისა და მთავარი მეთოდოლოგიური პრინციპების ცოდნა.
- ფრანგული ფილოლოგიის ისტორია. რომანული ენების საერთო ლინგვისტური ნიშნების ცოდნა. გლობალიზაცია და რომანული ენები.
- ფრანგული ენის თეორიის პრობლემატიკა, მისი წარმომშობი მექანიზმი მორფოლოგიის, სინტაქსის, სემანტიკის დონეებზე; თანამედროვე ლინგვისტურ მიმართებათა ზოგადი პრინციპების ცოდნა. სტრუქტურალიზმის ძირითადი პრინციპები თანამედროვე ენათმეცნიერების პოზიციიდან. უშუალო შემადგენელთა გრამატიკის, გადაწერის წესების, გენერაციული გრამატიკის, ტრანსფორმაციული გრამატიკის, სემიოტიკისა და პრაგმატიკის ძირითადი პრინციპების ცოდნა და გაცნობიერება.
- ფრანგული ენის წარმოშობისა და განვითარების ძირითადი პერიოდების ცოდნა ფონეტიკური, ლექსიკური და გრამატიკული ცვლილებების გათვალისწინებით; თანამედროვე ფრანგული ენის ჩამოყალიბების ლინგვისტური და ექსტრა-ლინგვისტური ფაქტორების გაცნობიერება.
- სიტყვის რაობის, მისი ფუნქციების და მასთან დაკავშირებული პრობლემების ცოდნა. სიტყვათა ევოლუციის, თანამედროვე ფრანგული, ესპანური, იტალიური ენების ლექსიკური შემადგენლობის, ლექსიკური ერთეულთა ურთიერთმიმართების ცოდნა და გაცნობიერება. ლექსიკური ბადის გამოყენება. ამ დარგში არსებული ლინგვისტური მიდგომებისა და შეხედულებების ცოდნა.
- ფრანგული ენის სტილისტიკის სახასიათო ელემენტების თეორიული ცოდნა; ლინგვო-სტილისტიკის ძირითადი პრობლემატიკის გაცნობიერება. ფრანგული ენის ლექსიკური მარაგის სტილისტური დიფერენციაცია. სტილისტური ხერხებისა და

ექსპრესიული საშუალებების ცოდნა. სტილისტური მოვლენების აღქმა-გაანალიზების უნარი ტექსტთან და დისკურთან მიმართებაში. ლიტერატურული სტილისტიკა. მწერლის მსოფლადქმა. მისი ესთეტიკური შეხედულებები და ინდივიდუალური სტილი.

- ზოგადი ცოდნა ფრანკოფონიის შესახებ: გავრცელების არეალი, მთავარი ფუძემდებლები; ფრანგულენოვანი ხალხის კულტურა. ლინგვისტური მრავალფეროვნება და ფრანგული ენის როლი, კულტურათაშორისი დიალოგი, საერთაშორისო ორგანიზაციები და მათი როლი ქართულ-ფრანგულ კულტურულ და საგანმანათლებლო სისტემებში.
- სხვადასხვა ტიპის ტექსტების (მხატვრული, დოკუმენტური, პოლიტიკური, ეკონომიკური, იურიდიული, საქმიანი წერილების) თარგმნის თეორიის ცოდნა და პრაქტიკული განხორციელება
- პრესის ენის სპეციფიკის სრულად ათვისება, სტატიის ადეკვატური თარგმანი (შესაბამისი ქართულად და პირიქით), სტატიის რეზუმირება, რეფერირება, კომენტირება. შესაბამის ენაზე მოკლე სტატიების შედგენა. რადიოში თუ სატელევიზიო არხზე გასული ინფორმაციის გაგება და გადმოცემა.
- შესაბამის ქვეყნის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენების ცოდნა. ქვეყნის პოლიტიკურიმ, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების მიმოხილვა. ფრანგი ხალხის წეს-ჩვეულებების და ეროვნული ხასიათის თავისებურებების, ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწის ღვაწლის გაცნობა.

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:** 240 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერითი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

**საკონტაქტო პირი:** სრული პროფესორი ქეთი გაბუნია, ტელ. 953956. 99 201099, ელ.ფოსტა [keti\\_gabunia@yahoo.com](mailto:keti_gabunia@yahoo.com) ; კონსულტაციების გაწევის დრო: ყოველი სამუშაო დღე 16–18 საათი.

**საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება:** იტალიური ფილოლოგია

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი

**პროგრამის მიზნები:** ბაკალავრიატის პროგრამა იტალიურ ფილოლოგიაში მოიცავს ორ სპეციალობას: იტალიური ენა და იტალიური ლიტერატურა. პროგრამის მიზანია მოამზადოს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის კვალიფიკაციის სტუდენტები, ანუ სტუდენტები, რომელთაც გააჩნიათ იტალიური ფილოლოგიის საფუძვლების ცოდნა: იტალიური ენის ცოდნა B2 დონეზე, იტალიური ლიტერატურის ძირითადი მიმართულებების ცოდნა უძველესი დროიდან, ამასთანავე გააჩნიათ თეორიული მომზადება, ფლობენ შესაბამის სპეციალურ ტერმინოლოგიასა და ცნებებს, გამომუშავებული აქვთ მთელი რიგი უნარები (დამოუკიდებელი მუშაობის, მასალის შეგროვების, მისი დამუშავების და ინტერპრეტაციის უნარი, მოსაზრებების ჩამოყალიბების, გადმოცემის და დაცვის უნარი) რაც, სურვილის შემთხვევაში, სწავლის შემდგომი გაგრძელების საფუძველს წარმოადგენს.

**სწავლის შედეგები:**

- იტალიკური ენების და კონკრეტულად იტალიური ენის ადგილი ინდოევროპული ენების ოჯახში; ლათინური ენის განვითარების ძირითადი ეტაპების, რომანული ენების საერთო ლინგვისტური ნიშნების ცოდნა.
- ევროსაბჭოს უცხოური ენების კომისიის მიერ შემუშავებული უცხოური ენების სწავლებისა და შეფასების სარეკომენდაციო ჩარჩო-დოკუმენტში განსაზღვრული დონეების შესაბამისად და მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, სტუდენტს შეეძლება:
- ნათლად გამოხატოს თავისი შეხედულებები, ახსნას თავისი თვალსაზრისი, წარმოაჩინოს ყველა დადებითი და უარყოფითი არგუმენტი.
- სხვადასხვა თემებზე ტექსტის წერილობითი გადმოცემა მკაფიოდ და დეტალურად, ესეს ან მოხსენების დაწერა, ნებისმიერი (დადებითი თუ უარყოფითი) თვალსაზრისის დასაბუთება; წერილების დაწერა, რომელშიც გადმოსცემს მისთვის მნიშვნელოვან მოვლენებსა თუ შთაბეჭდილებებს.
- სტუდენტს შეუძლია გაიგოს საკმაოდ რთული შინაარსის ლექცია თუ მოხსენება, თუ მათი თემატიკა მისთვის ცნობილია. ასევე შეუძლია გაიგოს ახალი ამბები, რეპორტაჟები მიმდინარე მოვლენების შესახებ, ფილმების შინაარსი, თუ მათი გმირები მეტყველებენ სალიტერატურო ენაზე.
- სტუდენტს შეუძლია თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის წაკითხვა, ასევე სტატიებისა და მოხსენებების გაგება, რომლებიც ეხება თანამედროვე პრობლემებს.
- სტუდენტს შეუძლია სპონტანურად და შეუფერხებლად ილაპარაკოს იტალიური ენის მატარებლებთან, მონაწილეობა მიიღოს დისკუსიებში მისთვის ნაცნობ თემებზე, დაასაბუთოს და დაიცვას თავისი შეხედულებები.

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:** 240 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერიტი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება

ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

საკონტაქტო პირი: ასოცირებული პროფესორი მაია ჯავახაძე, ტელ. 899104315 , ელ.ფოსტა [maiajava@yahoo.com](mailto:maiajava@yahoo.com) ; კონსულტაციების გაწევის დრო: ყოველი სამუშაო დღე 16–18 საათი.

**საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება:** ესპანური ფილოლოგია

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი

**პროგრამის მიზნები:**

პროგრამა მიზნად ისახავს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის, ბაკალავრიატის სტუდენტებს მისცეს ფართო და გაღრმავებული ცოდნა ესპანური ფილოლოგიის სფეროში, რაც გულისხმობს ენის სისტემის ფუნქციონირების წესების ცოდნას, სამეცნიერო ტერმინოლოგიის დაუფლებას, ესპანური ფილოლოგიის სფეროში მუშაობის მეთოდების ცოდნას, ესპანური ენის ცოდნა (B2), ესპანური ლიტერატურის მთავარი მხატვრული ტენდენციებისა და ესპანეთის სოციოკულტურული განვითარების ძირითადი თავისებურებების ცოდნას.

შემდგომი ცოდნა და მუშაობის უნარ-ჩვევები შეუქმნის სტუდენტს საფუძველს ცოდნის შემდგომი გაღრმავების, პროფესიონალურად ორიენტირებული სრულყოფისათვის.

**სწავლის შედეგები:**

- რომანული ფილოლოგიის ძირითადი ასპექტების ცოდნა; იტალიკური ენების ადგილი ინდოევროპულ ენათა ოჯახში; ლათინური ენის როგორც რომანული ენების საფუძვლის განვითარების ძირითადი ეტაპების ცოდნა; რომანული ენების საერთო ლინგვისტური ნიშნების ცოდნა.
- ევროსაბჭოს უცხოური ენების კომისიის მიერ შემუშავებული უცხოური ენების სწავლებისა და შეფასების სარეკომენდაციო ჩარჩო-დოკუმენტში განსაზღვრული დონეების შესაბამისად და მოთხოვნილებათა გათვალისწინებით სტუდენტს ეცოდინება:
- გაგება და გამოყენება ყოველდღიური ლექსიკის და მარტივი წინადადებების; კონკრეტული ტიპის მოთხოვნის დაკმაყოფილება; თავის წარდგენა; კითხვების დასმა და კითხვებზე პოასუხი პირადი ცხოვრებიდან; ურთიერთობის დამყარება, რომელიც მოითხოვს პირდაპირ და მარტივ ინფორმაციის გადმოცემას ყოველდღიურ ცხოვრებაში; სიტუაციის კონტროლი მოგზაურობის დროს; საუბარი თემაზე რომელიც შეეხება პირად ინტერესებს; რთული ტექსტის მთავარი აზრის გაგება კონკრეტულ და აბსტრაქტულ თემაზე; თავისუფალი საუბარი ენის მატარებელთან; შეუძლია შექმნას გასაგები ტექსტი სხვადასხვა თემებზე და გამოხატოს საკუთრო აზრი;
- ენის ცოდნის ისეთი დონე, რომელიც სტუდენტს საშუალებას მისცემს თავისუფლად, გამართულად და ფუნქციონალურად, ადეკვატურად გამოიყენოს სამეტყველო აქტივობის ყველა სახეობა;
- თანამედროვე ესპანური ენის ლექსიკური შემადგენლობის, ლექსიკის სხვადასხვა შრეების ფუნქციონირების, ლინგვისტური მეცნიერების ამ დარგში არცებული მიდგომებისა და შეეხედულებების ცოდნა;
- ესპანური ენის სისტემის ფუნქციონირების წესების ცოდნა; ორი ძირითადი გრამატიკული დონის ცოდნა: მორფოლოგია და სინტაქსი; ენის თეორიის ძირითადი ასპექტების ცოდნა.
- ესპანური ენის სტილისტიკა, ესპანური ენის სტილისტიკის სახასიათო ელემენტების თეორიული ცოდნა; შუა საუკუნეების ესპანური ლიტერატურა, ესპანური ენის ისტორია.

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:** 240 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერიტი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

**საკონტაქტო პირი:** ასოცირებული პროფესორი სოფიო ფეიქრიშვილი, ტელ. 877 43433 , ელ.ფოსტა [speikrishvili@yahoo.es](mailto:speikrishvili@yahoo.es); კონსულტაციების გაწევის დრო: ყოველი სამუშაო დღე 16–18 საათი.

**საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება:** კლასიკური ფილოლოგია

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი

**პროგრამის მიზნები:**

კლასიკური ფილოლოგია არის მეცნიერება ანტიკური სამყაროს შესახებ. ამ სპეციალობაზე სტუდენტი იღებს კომპლექსურ ცოდნას ძველ ბერძნულსა და რომაულ კულტურაზე (ლიტერატურა, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნება, მითოლოგია, ფილოსოფია), ეუფლება კლასიკურ - ძველ ბერძნულ და ლათინურ - ენებს, ორიგინალში კითხულობს ჰომეროსის, ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს, ვერგილიუსის, ჰორაციუსის, ოვიდიუსის და სხვათა ნაწარმოებებს, შეისწავლის კლასიკური ტრადიციების შემოქმედებითი ათვისების საინტერესო ისტორიას მსოფლიოში, იღებს ცოდნას ბერძნულ-ქართული ურთიერთობების ძირითად ეტაპებზე ანტიკურ ეპოქაში.

- გააცნოს სტუდენტებს ძირითადი საკითხები/პრობლემები თანამედროვე ლიტერატურულ-თეორიულ მსჯელობებთან დაკავშირებით, გაარკვიოს ისინი კონკრეტულ ინტელექტუალურ ფორმირებებში, ძირითად ცნებებსა და კრიტიკულ საკითხებში.
- მიმართოს სტუდენტის ინტერესი თანამედროვე თეორიული მეთოდოლოგიების ათვისებისაკენ, რომელიც მოიცავს ნარატოლოგიას, პოსტსტრუქტურალიზმს, პოსტმოდერნისტულ აზროვნებას, სემიოტიკას, ფსიქოანალიზს, რეცეფციულ ესთეტიკას და სხვა. თეორიული ასპექტების შესწავლისას ყურადღების გაუმახვილოს ისტორიულ ფაქტორზეც, რაც, შესაბამისად, სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას, გაიგონ, თუ როგორ ხდებოდა რომელიმე კონკრეტული ცნების ჩამოყალიბება და ტრანსფორმაცია ფილოსოფიური, ესთეტიკური, პოლიტიკური და სოციალური მსჯელობების გავლენით. სტუდენტებს შეეძლებათ იმუშაონ სხვადასხვა ისტორიულ პერიოდზე ანტიკური და შუასაუკუნეებიდან მოყოლებული პოსტმოდერნიზმამდე.
- მიმართოს მაგისტრანტების ინტერესი ინტერკულტურული კვლევებისადმი, დაეხმაროს ლიტერატურის როგორც კულტურათაშორისი კომუნიკაციის ფორმის მასშტაბურად გააზრებაში;
- პროგრამის განსაკუთრებულ სფეროს წარმოადგენს ე.წ. მესამე კომპონენტი. მესამე კომპონენტი საშუალებას აძლევს სტუდენტს, ერთად მოუყაროს თავი მის თეორიულ, ისტორიულ და დისციპლინურ ინტერესს, რათა დასახოს თავისი კვლევის კონკრეტული მიზანი. განსაკუთრებული სფერო შეიძლება მოიცავდეს მეორე ლინგვისტურ/ლიტერატურული ტრადიციის შესწავლას, სპეციალურ ლიტერატურულ-ისტორიულ სფეროს, ლიტერატურულ მიმართულებას თუ ჟანრს, დისციპლინასთან დაკავშირებულ საგანს ან პროდუქციის სფეროს (მაგ: ფილმი, ფილოსოფია, პოლიტოლოგია, ლინგვისტიკა), სხვა ნებისმიერ, უკვე კარგად განსაზღვრულ, სწავლების სფეროს (მაგ: შუასაუკუნეების შესწავლა, თანამედროვე ევროპული ინტელექტუალური ისტორია, პოპულარული კულტურა, ხელოვნების ისტორია). ამ საგნებში საკითხავი ლიტერატურა შექმნის სათანადო კონტექსტს და, შემდგომში, დაეხმარება სტუდენტებს სამაგისტრო თემაზე მუშაობისას.

### სწავლის შედეგები:

- სამაგისტრო პროგრამა – «ლიტერატურის თეორია და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა» – ორიენტირებულია ეფექტურ შედეგზე. პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების დაძლევის შედეგად, მაგისტრანტს უყალიბდება თანამედროვე ტიპის ფილოლოგიისათვის მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები. ყოველი სასწავლო კურსის სწავლების შედეგი კონკრეტული უნარ-ჩვევების გამომუშავებაა (რაც დეტალურად არის ასახული კონკრეტული კურსების სილაბუსების ანოტაციებსა და შინაარსებში). მოსალოდნელი შედეგების ზოგადი სისტემა ამგვარია:

### ცოდნა და გაცნობიერება

1.1 აქვს დარგობრივი სფეროს უახლესი თეორიული და კვლევაზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნა, მათ შორის გამოყენებით და მომიჯნავე სფეროებში (ფასდება ტესტის მეშვეობით).

1.2 შეუძლია პრობლემის გააზრება და ანალიზი ინტერდისციპლინარულ კონტექსტში სხვადასხვა მეთოდების – ინტერპრეტაციული, კომპარატივისტული, ტიპოლოგიური, ჰოლისტიკური და სხვა – გამოყენებით (ფასდება ტესტისა და წერიითი პრეზენტაციის მეშვეობით).

- 1.3 აქვს ლიტერატურათმცოდნეობითი სამეცნიერო-ტერმინოლოგიური აპარატით ოპერირების უნარი (ფასდება ტესტისა და წერითი პრეზენტაციის მეშვეობით).
- 1.4 აცნობიერებს დარგისათვის სპეციფიკურ ეთიკურ პრობლემებს და შეუძლია ეთიკური პოზიციის ჩამოყალიბება (ფასდება ტესტის მეშვეობით).

#### **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:**

- 2.1 სრულად ფლობს დარგისათვის სპეციფიკურ მეთოდებს. შეუძლია კომპლექსური პრობლემის გადაჭრა დამოუკიდებლად და ორიგინალური გზით; შეუძლია ამოცანათა დაგეგმვა და განხორციელება დამოუკიდებლად, პროფესიულ დონეზე; შეუძლია რთულ და სპეციალიზებულ კონტექსტში ორიენტაცია, გარკვევა და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება (ფასდება ზეპირი პრეზენტაციის მეშვეობით).
- 2.2 ფლობს დარგისათვის სპეციფიკურ მეთოდებს ექსპერტის დონეზე, მუშაობს ზუსტად და ეფექტიანად (ფასდება ტესტის მეშვეობით);
- 2.3 შეუძლია უნარების ადაპტირება ან ახალი უნარების გამოყენება ყოველ კონკრეტულ ვითარებაში. ეძებს ამოცანების გადაწყვეტის ახალ და ორიგინალურ გზებს (ფასდება ტესტის მეშვეობით).

#### **ზოგადი / ტრანსფერული უნარები**

3.1 გამომუშავებული აქვს **კოგნიტური უნარები**: კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით შეუძლია რთული, არასრული და/ან წინააღმდეგობრივი მონაცემების/სფეროების ანალიზი და ანალიზის შედეგის ეფექტური დემონსტრირება. კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებითა და დარგობრივი სფეროს უახლესი მონაცემების გამოყენებით შეუძლია ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი (ფასდება წერითი პრეზენტაციის მეშვეობით).

3.2 გამომუშავებული აქვს **საჭირო მეთოდოლოგიური უნარები**: შეუძლია არასრულ და შეზღუდულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბოს მოსაზრებები, განსაზღვროს პრობლემები და მათი გადაჭრისათვის, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი რესურსის გამოყენება. დამოუკიდებლად გეგმავს დროს და ახორციელებს სამუშაოს (საჭიროების შემთხვევაში ხელმძღვანელობს კიდევაც) საკუთარი და ჯგუფის სხვა წევრების შესაძლებლობების გათვალისწინებით.

3.3 გამომუშავებული აქვს **ტექნოლოგიური უნარები**: იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT), ფლობს მულტიმედია კომპეტენციას, რომელიც ხელს უწყობს მათ შემოქმედებით და კრიტიკულ გამოყენებას დარგისათვის სპეციფიკურ კონტექსტში (ფასდება ტესტის მეშვეობით).

3.4 გამომუშავებული აქვს **ლინგვისტური უნარები**: შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებაში დამაჯერებელი, მკაფიო, დამოუკიდებელი და კომპეტენტური კომუნიკაცია: ა) ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე; ბ) ფლობს მეორე ენას საუნივერსიტეტო დადგენილი სტანდარტის ფარგლებში (ფასდება ზეპირი და წერითი პრეზენტაციის მეშვეობით).

3.5 ჩამოყალიბებული აქვს **სოციალური უნარები**: შეუძლია ჯგუფში ეფექტური მუშაობა როგორც წევრის, ასევე ლიდერის როლში. შეუძლია ამოცანების მკაფიო ფორმულირება და ჯგუფის წევრთა შესაძლებლობების ადეკვატური გამოყენება.

შეუძლია კონფლიქტური სიტუაციების მოგვარება (ფასდება ტექნიკური ანგარიში მეშვეობით).

3.6 გამომუშავებული აქვს **სისტემური უნარები**: იყენებს სასწავლო რესურსების სრულ სპექტრს. დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს კვლევას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. შეუძლია აკადემიური პროექტის შემუშავება და მართვა. არის დამოუკიდებელი და თვითკრიტიკული სწავლისა და მუშაობის დროს; შეუძლია სხვების სწავლის გაძღოლა; იჩენს ინიციატივას და პირად პასუხისმგებლობას პროფესიულ პრაქტიკაში (ფასდება ტექნიკური ანგარიში მეშვეობით).

#### ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: 120 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერიტი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს სრულ პროფესორ ირმა რატიანს, ტელ: 899 500 568; ელ.ფოსტა: [ratiani@litinstituti.ge](mailto:ratiani@litinstituti.ge)

**სამაგისტრო პროგრამის დასახელება:** თარგმანის თეორია და პრაქტიკა

პროგრამა შედგება ორი სასპეციალიზაციო მოდულისაგან:

- 1) დარგობრივი თარგმანი (იურიდიული დოკუმენტების თარგმანი)
- 2) ფართო პროფილის თარგმანი

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** ფილოლოგიის მაგისტრი / MA in Philology

**სამაგისტრო პროგრამის მიზანები:** პროგრამა განკუთვნილია მათთვის, ვისაც სურს აიმაღლოს თავისი პროფესიული კომპეტენცია უცხო ენების სფეროში და მიიღოს დამატებითი კვალიფიკაცია, რომელიც მას საშუალებას მისცემს ერთმანეთს შეუთავსოს და წარმატებით გამოიყენოს თავისი პროფესიული ცოდნა და მთარგმნელობითი უნარ-ჩვევები პროფესიული საქმიანობის დროს.

მაგისტრანტები შეისწავლიან თარგმანს, როგორც კულტურათაშორისი კომუნიკაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს საშუალებას, როგორც პროცესსა და როგორც ტექსტს, მის ისტორიას, თარგმანის ზოგად და კერძო თეორიულ საფუძვლებს, ტექნიკასა და მეთოდებს, გამოიმუშავენ მთარგმნელობით უნარ-ჩვევებს, როგორც ორენოვანი კომუნიკაციის რთულ სისტემას.

პროგრამა მიზნად ისახავს:

- უცხო ენის ცოდნის ზოგადი დონის ამაღლებასა და დახვეწას;
- უცხო ენიდან ქართულად და ქართულიდან უცხო ენაზე თარგმნის უნივერსალური ჩვევების გამომუშავებას;
- თარგმანის სტრატეგიისა და მოდელების შესწავლას;
- თეორიული ცოდნის აქტიურ გამოყენებას პრაქტიკაში ენათაშორისი და კულტურათაშორისი კომუნიკაციის დროს;
- მონაცემთა ბაზითა და ლექსიკონებით პროფესიული მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და განვითარებას;
- სპეციალურ ტერმინოლოგიაზე მუშაობასა და პროფესიული ტერმინოლოგიური აპარატის გაფართოებას;
- სპეციალურ ტექსტებზე პრაქტიკულ მუშაობას;
- ტერმინოლოგიური ეკვივალენტებისა და მთარგმნელობითი შესატყვისობების მოძებნის უნარის განვითარებას;
- ქართული ენის ცოდნის სრულყოფას (პრაქტიკული გრამატიკა, ფუნქციური სტილისტიკა);
- ზეპირი და წერიტი თარგმანის ტექნიკის დახვეწას;
- მთარგმნელობითი საქმიანობის კულტურათაშორისი ასპექტების სიღრმისეულ გაცნობას.

ყველა ეს კონკრეტული მიზანი ემსახურება შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაჭრას:

- მისცეს სტუდენტს ის ცოდნა და უნარები, რომლებიც უზრუნველყოფს მას დასაქმდეს თარგმანის სფეროში;
- განუვითაროს ის უნარ-ჩვევები, რომელთა დახმარებით იგი შეძლებს მომავალშიც სრულყოს თავისი ცოდნა და გაიკეთოს წარმატებული კარიერა;
- გაითვალისწინოს ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნები და მისი შესატყვისი ცოდნა მისცეს სტუდენტს;
- უზრუნველყოს როგორც დასაქმების, ასევე შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;
- უზრუნველყოს სწავლისა და სწავლების მაღალი ხარისხი.

**სწავლის შედეგები:**

- მაგისტრს შეუძლია სწორი მეთოდოლოგიური პოზიციებიდან თარგმანმცოდნეობის თეორიული საკითხების კვლევა და პრაქტიკული ამოცანების გადაჭრა და თავისი ცოდნისა და უნარების წარმატებით გამოყენება მულტიდისციპლინარულ კონტექსტში როგორც დამოუკიდებლად, ასევე სამუშაო ჯგუფთან ერთად.
- სიღრმისეული ცოდნა თარგმანის თეორიაში და თარგმნის კარგად განვითარებული უნივერსალური უნარ-ჩვევები, პროფესიული საქმიანობის სფეროში ზეპირი და წერიტი თარგმნის კარგად ჩამოყალიბებული სპეციალური უნარები, ზეპირი და წერიტი პრეზენტაციის დახვეწილი კულტურა, მაღალი ენობრივი და კულტურათათმორისი კომპეტენცია პროფესიული და საქმიანი ინტერესების სფეროში მაგისტრს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ დამოუკიდებლად გაართვას თავი კომპლექსურ პრობლემებს, გამოიყენოს ან ორიგინალურად განავითაროს ახალი იდეები.
- მაგისტრს გააჩნია ცოდნის ინტეგრირების უნარი, რაც მას საშუალებას აძლევს თარგმანის პრობლემები განიხილოს კულტურათა დიალოგის ფართო კონტექსტში, კულტურისა და მეცნიერების განვითარების პრობლემებთან მჭიდრო მიზეზ-შედეგობრივ კავშირში, იმუშაოს ზუსტად, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს თავისი უნარების ადაპტაცია ახალი თეორიული პრობლემების თუ პრაქტიკული ამოცანების ეფექტურად გადასაჭრელად.
- თარგმანმცოდნეობის თანამედროვე მიღწევების ცოდნა მაგისტრს საშუალებას მისცემს კრიტიკულად შეაფასოს, სინთეზურად და ინოვაციურად გადაჭრას თარგმანის თეორიული და პრაქტიკული პრობლემები.
- მაგისტრს შეუძლია დამოუკიდებლად მოიძიოს დამატებითი რესურსები და ენობრივი თუ კულტურათათმორისი კომუნიკაციის რთული პრობლემები იმ შემთხვევაშიც კი გადაჭრას, როცა მას მწირი ინფორმაცია აქვს.
- მაგისტრს თეორიული კვლევისა და პრაქტიკული მოღვაწეობის დროს სიღრმისეულად აქვს გაცნობიერებული როგორც პროფესიული, ასევე ეთიკური და მორალური პასუხისმგებლობა.
- მაგისტრს შეუძლია ნებისმიერი აუდიტორიის წინაშე საჯარო განხილვის დროს ლოგიკურად დაასაბუთოს და დაიცვას თავისი პოზიცია და თვალსაზრისი.
- მაგისტრატურაში შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევებზე დაყრდნობით მაგისტრს შეუძლია მომავალში დამოუკიდებლად გააგრძელოს თავისი პროფესიული ცოდნის სრულყოფა.

#### ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: 120 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერიტი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუფროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
--------	----------	--------

91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს ასოცირებული პროფესორი ნანა გაფრინდაშვილს, ტელ: 8 99 172720; ელ.ფოსტა: [nana.gaprindashvili@tsu.ge](mailto:nana.gaprindashvili@tsu.ge)

**სამაგისტრო პროგრამის დასახელება:** თარგმანის ხელოვნება (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე)

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** ფილოლოგიის მაგისტრი / MA in Philology

**სამაგისტრო პროგრამის მიზანები:** მოამზადოს მთარგმნელი ინგლისურიდან ქართულ ენაზე და ქართულიდან ინგლისურ ენაზე, აგრეთვე თარგმანის თეორეტიკოსი და კრიტიკოსი. პროგრამა ითვალისწინებს მთარგმნელის, როგორც ბილინგვისტის მომზადებას, რათა მან თარგმნოს ქართულ ენაზე დედნიდან, ხოლო ქართული ტექსტი წარმატებულად გადაიტანოს ინგლისურ ენაზე.

ინგლისური ენისა და ლიტერატურის უმაღლეს კურსს ორი წლის მანძილზე გაუძღვება ბრიტანელი პედაგოგი. პროგრამა აგრეთვე ითვალისწინებს არჩევითი კურსების სახით ქართული ენის სტილისტიკისა და ქართული ლიტერატურის მოსმენას.

მთარგმნელი მომზადდება თანამედროვე მეცნიერული მეთოდოლოგიის ათვისების საფუძველზე, რაც ნიშნავს თარგმანის თანამედროვე თეორიის უახლესი მიღწევების გათვალისწინებას პრაქტიკულ საქმიანობაში.

#### სწავლის შედეგები:

- სამაგისტრო პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული ცოდნა, კვალიფიკაცია, კომპეტენცია და მეცნიერული კვლევის უნარი კურსდამთავრებულს მისცემს შესაძლებლობას, შექმნას მაღალი მეცნიერული ღირებულების მქონე თეორიული ნაშრომი თარგმანის ისტორიის, ლიტერატურული კრიტიკისა და თარგმანის თეორიის მისთვის საინტერესო და აქტუალურ პრობლემაზე;
- მაგისტრი შეძლებს კვლევის ამოცანების ფორმულირებას, ახალი მეთოდების თეორიულად ათვისებასა და პრაქტიკულად გამოყენებას დამოუკიდებელი კვლევისას;
- მაგისტრი სრულყოფს თანამედროვე ლიტერატურული და თეორიული კვლევისათვის აუცილებელ ტერმინოლოგიურ აპარატს და შეძლებს ამ აპარატით ოპერირებას დამოუკიდებელი კვლევის პროცესში;
- პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს უნდა შეეძლოს თეორიული, კვლევითი და პრაქტიკული შედეგების მაღალკვალიფიციური წერითი და ზეპირი პრეზენტაცია.

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:** 120 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერითი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუფროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A



81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს  
სრული პროფესორ ინესა მერაბიშვილს. ელ.ფოსტა: [ines.merabishvili@tsu.ge](mailto:ines.merabishvili@tsu.ge)

**სამაგისტრო პროგრამის დასახელება:** ენა და ლექსიკოგრაფია

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** ფილოლოგიის მაგისტრი / Ma in Philology

**სამაგისტრო პროგრამის მიზნები:** საქართველოში ლექსიკონების შედგენის საუკუნოვანი ტრადიცია არსებობს. ქვეყნის მოქცევამ ქრისტიანობაზე ჩვ. წ. IV საუკუნეში უდიდესი სტიმული მისცა მწიგნობრობის განვითარებას. ბერძენი და რომაელი მწერლების, ისტორიკოსების, ფილოსოფოსების მრავალი ნაწარმოები ითარგმნა ქათულ ენაზე. თარგმანებს ხშირად ურთავდნენ გლოსარიუმებს, ლექსიკონის ტიპის ნაწარმოებებს. ქართული ენის პირველი განმარტებითი ლექსიკონი XI საუკუნის დასაწყისში შეიქმნა. შემდეგ იყო საეტაპო ლექსიკოგრაფიული ნაწარმოებები:

სულხან-საბას „სიტყვის კონა“ (XVIII ს.), მე-19 საუკუნეში შედგენილი და გამოცემული ჩუბინაშვილების ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ (აკად. არნ. ჩიქობავას რედაქტორობით); დიდი კომპეტენტურობით შედგენილი რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ტერმინოლოგიური ლექსიკონები: ტექნიკური, იურიდიული, მათემატიკური..., სიმფონია-ლექსიკონები და მრავალი სხვა.

საქართველოში ორენოვანი, ევროპულ-ქართული ლექსიკონების შედგენის მნიშვნელოვანი ტრადიციაც არსებობს. ქართულ-იტალიური ლექსიკონი, რომელიც რომში გამოიცა 1629 წელს, პირველი ნაბეჭდი წიგნი იყო ქართულ ენაზე. 1629 წლიდან 1870 წლამდე დაახლოებით ათი ევროპულ-ქართული და ქართულ-ევროპული ლექსიკონი შეიქმნა და გამოიცა.

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილად იქცა, რის შედეგადაც თარგმნითი ლექსიკოგრაფიის ძირითადი ყურადღება რუსულ-ქართულ და ქართულ-რუსულ ლექსიკოგრაფიაზე გადავიდა. შეიქმნა და გამოიცა როგორც ზოგადი, ასევე სპეციალიზებული, დარგობრივი რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონები. ამ ვითარებამ მნიშვნელოვნად დააზარალა ორენოვანი ლექსიკოგრაფია ქართული ენისა ევროპულ ენებთან მიმართებაში, რამაც გამოიწვია დარგის მნიშვნელოვანი ჩამორჩენა.

XX საუკუნის 40-იანი წლებიდან საქართველოში ჩნდება ორენოვანი ევროპულ-ქართული ლექსიკონები: ინგლისურ-ქართული, ფრანგულ-ქართული, მაგრამ აღნიშნული ლექსიკონები უპირატესად შესაბამისი რუსულენოვანი ლექსიკონების თარგმანებს წარმოადგენენ. ამგვარი პრინციპებით შედგენილი ლექსიკონები, ბუნებრივია, ვერ ასცდებოდა უზუსტობებს, ხშირ შემთხვევაში, უხეშ შეცდომებსაც კი, რაც სრულიად დაუშვებელია ისეთი კანონიკური ნაწარმოებისათვის, როგორც ლექსიკონია. საქართველოს კი ძალიან სჭირდებოდა დიდი კომპეტენტური ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, რომელიც მისთვის იქნებოდა გასაღები და გასასვლელი უდიდეს ინგლისურენოვან სამყაროზე.

გასული საუკუნის 60-იან წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრამ უდიდესი პროექტი წამოიწყო, დიდი ინგლისურ-ქართული 150 000 სიტყვიანი ლექსიკონის შედგენა. პირველადი მასალის შედგენა ორ ათეულ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა. სამწუხაროდ, პროექტი იმთავითვე არასწორ თეორიულ პრონციპებს დაეფუძნა, კერძოდ გადაწყვეტილება იქნა მიღებული ქართულად თარგმნილიყო მიულერის, მოგვიანებით კი ილია გალპერინის საერთო რედაქტორობით გამოცემული დიდი ინგლისურ-რუსული ლექსიკონი.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო შედგენილი მასალის სარედაქციო სამუშაოები, რამაც გამოავლინა შერჩეული ლექსიკოგრაფიული პრინციპების სრული მცდარობა. მასალის ხელახლა გადამუშავებისათვის შემუშავდა ახალი, მეცნიერული ლექსიკოგრაფიული პრინციპები. ინგლისურ-ქართული ლექსიკონის პირვანდელი მასალის გადამუშავებას 25 წელი დასჭირდა. ამ პერიოდში იხვეწებოდა სარედაქციო კოლეგიის მიერ შემუშავებული პრინციპები, რაც ათწლეულების მანძილზე დაიწურა ინგლისურ-ქართული ლექსიკონის ლექსიკოგრაფიულ პრინციპებად და მწყობრი ლექსიკოგრაფიული თეორიის სახე მიიღო.

დღეისათვის გამოცემულია ინგლისურ-ქართული ლექსიკონის 13 ტომი (ასოები A – O), ინგლისურ-ქართული სამხედრო ლექსიკონი, ელექტრონული ვერსიით, ინტერნეტში

განთავსებულია დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ ლექსიკონი; უნივერსიტეტში დაფუძნებულია ლექსიკოგრაფიული ცენტრი, სადაც მიმდინარე ლექსიკოგრაფიულ პროექტებთან ერთად, მრავალი სხვა ლექსიკოგრაფიული პროექტის შესრულებაა დაგეგმილი.

წინამდებარე სამაგისტრო პროგრამა სწორედ აღნიშნულ გამოცდილებას და ლექსიკოგრაფიულ თეორიას ეფუძნება.

პროგრამა მიზნად ისახავს დაგროვილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გადაცემას მომავალი ლექსიკოგრაფებისათვის, რათა აღიზარდოს ორენოვანი, თარგმნითი ლექსიკოგრაფიის სპეციალისტთა ახალი თაობა, რომლებიც წინა თაობის შეცდომებს აღარ გაიმეორებენ და მათი საქმიანობა სწორ თეორიულ და პრაქტიკულ პოსტულატებს დაეყრდნობა.

წინამდებარე სამაგისტრო პროგრამის მიზანია კადრების მომზადება ორენოვანი, თარგმნითი (ინგლისურ-ქართული) ლექსიკოგრაფიისათვის, რამაც ხელი უნდა შეუწყოს იმ დიდი ხარვეზის გამოსწორებას, რაც დღეს არსებობს ამ სფეროში. ამასთან ერთად სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულია ზოგად-ლინგვისტური საგნების შესწავლა, ქართული, რუსული და ინგლისური ენების ცოდნის მნიშვნელოვანი სრულყოფა, საკუთრივ ლინგვისტური საგნების შესწავლა, რაც ხელს შეუწყობს პროფესიონალი ლექსიკოგრაფების აღზრდას.

**სწავლის შედეგები :** სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული

- სრულყოფს ინგლისური ენის ცოდნას. პროგრამით გათვალისწინებული ინგლისური ენის უმაღლესი კურსის გავლის შემდეგ მას ექნება ინგლისური ენის ცოდნა C1 დონეზე;
- სრულყოფს ქართული ენის ცოდნას. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქართული ენის ათკრედიტიანი პრაქტიკული კურსი, რის შედეგადაც სტუდენტი დახვეწს ქართული ენის ცოდნას და გაიმდიდრებს ქართული ენის ლექსიკას, რაც აუცილებელია სარედაქტორო, ლექსიკოგრაფიული თუ მთარგმნელობითი საქმიანობისათვის;
- სემასიოლოგია, თარგმანის თეორია და პროგრამით გათვალისწინებული ლინგვისტური ბლოკის სხვა საგნები კურსდამთავრებულს მისცემს სიღრმისეულ ცოდნას მნიშვნელობის პრობლემასთან დაკავშირებულ საკითხებზე, აგრეთვე აღნიშნული პრობლემატიკის უკეთ წვდომისათვის მას უფრო ფართო ლინგვისტურ კონტექსტს შეუქმნის;
- საკუთრივ ლექსიკოგრაფიული ბლოკი სტუდენტებს: გააცნობს სხვადასხვა ლექსიკოგრაფიულ პრინციპებს, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კურსებში; გამოუმუშავებს სიტყვა-სტატიაზე მუშაობის უნარ-ჩვევებს; შეასწავლის როგორც ზოგადი ლექსიკის, ასევე დარგობრივი ტერმინოლოგიის შედგენისა და რედაქტირების საფუძვლებს;
- კურსდამთავრებულს ექნება ფილოლოგ-ლექსიკოგრაფისათვის საჭირო როგორც თეორიული ცოდნა, ასევე პრაქტიკული საქმიანობისათვის საჭირო უნარ-ჩვევები, რაც მას საშუალებას მისცემს იმუშაოს კონკრეტულ ლექსიკოგრაფიულ პროექტებზე. კურსდამთავრებული შეძლებს როგორც ზოგადი ინგლისურ-ქართული ლექსიკონების სიტყვა-სტატიაზე მუშაობას, მათ შედგენას, რედაქტირებას, ასევე დარგობრივ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონებზე მუშაობას, დარგობრივი ტერმინოლოგიის რედაქტირებას, ქართული ექვივალენტების დამუშავებას.
- საგნები თარგმანის თეორიასა და პრაქტიკაში, კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს მისდიოს მთარგმნელობით საქმიანობას, გააგრძელოს დამოუკიდებელი სწავლა ან სამეცნიერო საქმიანობა და სხვა.

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:** 120 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერიტი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით.

დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს ასოც. პროფ. თინათინ მარგალიტაძეს. მაილზე: [tinatin.margalitadze@tsu.ge](mailto:tinatin.margalitadze@tsu.ge)

**სამაგისტრო პროგრამის დასახელება:** ქართველური ენათმეცნიერება  
**მოდულები:**

1. ქართული სალიტერატურო ენა და დიალექტები
2. ქართველური ენები
3. ქართული ენის პრაგმატიკა
4. ქართული ენის სწავლების თეორია
5. ძველი ქართული ენა

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** ენათმეცნიერების მაგისტრი / MA in Linguistics

**სამაგისტრო პროგრამის მიზანები:**

სამაგისტრო პროგრამა ძირითადად განკუთვნილია სტუდენტებისათვის, რომლებსაც საწყისი საბაკალავრო განათლება ენათმეცნიერულ დარგებში აქვთ მიღებული და სურთ გააღრმავონ თავიანთი ცოდნა ქართული, ქართველური (სვანური, მეგრული, ლაზური) ენებისა და დიალექტების სფეროში, ქართულის როგორც მშობლიური ასევე მეორე ენის სწავლების თეორიისა და ქართული ენის პრაგმატიკის სფეროებში. სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია აგრეთვე ყველა იმ სტუდენტისათვის, რომელთაც საბაკალავრო განათლება ჰუმანიტარულ დარგებში ახვთ მიღებული.

სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს აღნიშნული ენების კვალიფიციური სპეციალისტიები, კერძოდ, მაგისტრანტებს საფუძვლიანად შეასწავლოს ქართული და ქართველური ენებისა და დიალექტების ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურები.

სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს შექმნას თანამედროვე ქართული ენის სასწავლო პროგრამები, რომლებიც გამოიყენება ქართული ენის შესასწავლად როგორც ქართულენოვანი, ისე არაქართულენოვანი მაგისტრანტებისათვის. გააცნოს ლინგვისტური კვლევის თანამედროვე მეცნიერული თეორიები, ისტორიულ-შედარებითი და დესკრიპციული ანალიზის პრინციპები, ენის დამუშავების კომპიუტერული მეთოდები; ასწავლოს დიალექტების აღწერის პრინციპები; განუვითაროს დიალექტურ ტექსტებზე მუშაობის უნარი; ანალიტიკური აზროვნება, საკითხისადმი კრიტიკული მიდგომა და მეცნიერული კვლევის უნარი. სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს ქართველური ენების სპეციალობის ფილოლოგთა მომზადებას და ამ სფეროს სპეციალისტთა ინტეგრაციას საერთაშორისო ლინგვისტურ სივრცეში.

**სწავლის შედეგები:**

აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული კვალიფიკაცია, კომპეტენცია და მეცნიერული კვლევის უნარი კურსდამთავრებულს შესაძლებლობას მისცემს ყოველმხრივ შეისწავლოს და გამოიყენოს ქართული და ქართველური ენების და დიალექტების ტექსტები, სალექსიკონო მასალები. მაგისტრანტი შეიძენს ფართო ცოდნას, რომელიც აუცილებელია თანამედროვე ინტერდისციპლინარული კვლევებისათვის.

კურსდამთავრებულს საფუძვლიანად ეცოდინება ქართული და ქართველური ენებისა და დიალექტების ენობრივი თავისებურებანი, შეძლებს აღნიშნული ენებისა და დიალექტების ლინგვისტურ ანალიზს, ტექსტის ენობრივად გამართვას, კონკრეტული ენისა თუ დიალექტის შესახებ ლინგვისტური გამოკვლევის დაწერას. შესაძლებლობა ექნება პრაქტიკულად დაეუფლოს ქართველურ ენებს.

კურსდამთავრებულს ეცოდინება ქართულის როგორც მშობლიური ასევე მეორე ენის სწავლების თეორიული საკითხები.

ქართული და ქართველური ენებისა და დიალექტების ენობრივი თავისებურებების ცოდნა, ერთი მხრივ, და თანამედროვე საენათმეცნიერო მეთოდების ცოდნა, მეორე მხრივ, კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს შეისწავლოს, გააანალიზოს და გამოსაცემად მოამზადოს ლიტერატურული, დიალექტური (ქართული, სვანური, მეგრულ-ლაზური) ტექსტები და ლექსიკონები.

კურსდამთავრებული შეძლებს ახალი მეთოდების პრაქტიკულ გამოყენებას დამოუკიდებელი კვლევისას, ასევე ტრენინგ-კურსებისა და სემინარების ორგანიზება-გამდოლოს ქართული ენის გრამატიკის სწავლებასთან დაკავშირებით. სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს ეცოდინება ენობრივი ტექსტის კომპიუტერული დამუშავებისათვის აუცილებელი პროგრამები, შეძლებს შეადგონოს მონაცენთა ბაზა ინდექსებითა და საძიებლებით; შეძლებს ბიბლიოგრაფიის მომზადებას თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: 120 ECTS კრედიტი**

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერიტი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამისა და მოდულის ხელმძღვანელებს სრული პროფესორი რამაზ ქურდაძე, ტელ: 8 99 18 09 03, კონსულტანტი ემერიტუსი დ. მელიქიშვილი

**სამაგისტრო პროგრამის დასახელება:** თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერება

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** ენათმეცნიერების მაგისტრი / MA in Linguistics

**სამაგისტრო პროგრამის მიზნები:** სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს არსებითი ცოდნა და კვლევა-ძიების გამოცდილება ზოგადი, შედარებითი და გამოყენებითი ენათმეცნიერების სფეროში. სამაგისტრო პროგრამა გულისხმობს საფუძვლიან მომზადებას ენათმეცნიერების თეორიაში, რომელზე დამყარებითაც მოხდება ლინგვისტიკის გამოყენებითი ასპექტების – კომპიუტერული ლინგვისტიკის, ექსპერიმენტული ფონეტიკის, სოციოლინგვისტიკის, ფსიქოლინგვისტიკის – გაცნობა შესაბამისი კურსების მეშვეობით; ასევე განხორციელდება შედარებითი ლინგვისტიკის დარგების – ენათა ტიპოლოგიისა და უნივერსალიების, ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების, არეალური ლინგვისტიკისა და ენათა კონტაქტების თეორიული საფუძვლების – შესწავლა და არჩევითი საგნების მეშვეობით მის ერთ-ერთ სფეროში პროფესიული სპეციალიზაცია.

**სწავლის შედეგები:** სამაგისტრო კურსის გავლის შედეგად სტუდენტები შეიძენენ ზოგადი და შედარებითი ენათმეცნიერების საფუძვლების ისეთ ცოდნას, რომელიც მათ შესაბამის სფეროებში დამოუკიდებელი ორიენტაციისა და კვლევის, საკითხების ორიგინალური დასმისა და შესწავლის, შედეგების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობას მისცემს. კურსმადთავრებულები მომზადდებიან როგორც თანამედროვე ენათმეცნიერების ფართო დიაპაზონის სპეციალისტები, რომლებიც ენათა კვლევას შესაძლებენ ტიპოლოგიურ პერსპექტივაში როგორც სინქრონიულ, ისე დიაქრონიულ ასპექტში. გამოყენებითი ასპექტების არჩევის შემთხვევაში მათ შეეძლებათ თავიანთი ცოდნის რეალიზაცია კომპიუტერულ ლინგვისტიკაში, ექსპერიმენტულ ფონეტიკაში, ფსიქოლინგვისტიკაში, სოციოლინგვისტიკაში.

**ცოდნა და გაცნობიერება:**

- თეორიული ენათმეცნიერების ძირითადი პრინციპების, კონცეფციებისა და მეთოდების ცოდნა.
- შედარებითი ენათმეცნიერების ძირითადი პრინციპებისა და მეთოდების ცოდნა.
- კომპიუტერული ლინგვისტიკის ძირითადი პრინციპებისა და მეთოდების ცოდნა.
- ექსპერიმენტული ფონეტიკის სფეროში ანალიზის განხორციელებისათვის საჭირო ცოდნა.
- ქართველურ ენათა ძირითადი ტიპოლოგიური, ისტორიულ-შედარებითი და არეალური მახასიათებლების ცოდნა.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/პრაქტიკული უნარები:**

- ენათა ფონოლოგიურ, მორფოსინტაქსურ და სემანტიკურ დონეებზე დამოუკიდებელი ტიპოლოგიური კვლევის უნარი.
- ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით ენათა კვლევის უნარი.
- ენათა კონტაქტების და არეალური მიმართებების კვლევის უნარი.
- კომპიუტერული ლინგვისტიკის სფეროში კვლევისა და მუშაობის უნარი
- ენათა ფსიქოლინგვისტური და სოციოლინგვისტური ასპექტების კვლევის უნარი.
- ფონეტიკური ექსპერიმენტების ჩატარების და ანალიზის უნარი

**ზოგადი/ტრანსფერული უნარები:**

- შესაბამისი ლიტერატურიდან ინფორმაციის მოძიებისა და კრიტიკული შეფასების უნარი.
- ლოგიკური და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.

- სამეცნიერო ნაშრომის გაფორმების უნარი.
- უცხო ენაზე სპეციალური ლიტერატურის კითხვისა და ათვისების უნარი.
- საკვლევ სფეროში ემპირიული მასალის მოპოვების უნარი.
- მოპოვებული ემპირიული მასალის ანალიზისა და კლასიფიკაციის უნარი.
- ანალიზის შედეგების განზოგადების უნარი.

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: 120 ECTS კრედიტი**

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერითი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს.



**სამაგისტრო პროგრამის დასახელება:** ზოგადი ფონეტიკა - ფონოლოგია

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** ენათმეცნიერების მაგისტრი (MA in Linguistics)

**სამაგისტრო პროგრამის მიზნები:** სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხის მქონე სტუდენტთათვის, რომელთა ინტერესის სფეროსაც წარმოადგენს ენათმეცნიერების მნიშვნელოვანი დარგი – ზოგადი ფონეტიკა-ფონოლოგია და სურთ საკუთარი ცოდნის გაღრმავება ამ განხრით. პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს საფუძვლიანი განათლება ზოგად ენათმეცნიერებაში და მის ფუნდამენტურ დარგში – ზოგად ფონეტიკაში.

XX საუკუნემ განსაკუთრებული როლი ითამაშა ლინგვისტიკის, როგორც მეცნიერების განვითარებაში. «ფონემისა» და «მორფემის», როგორც აბსტრაქტულ ერთეულთა, ახლებურმა გაგებამ საშუალება მისცა ენათმეცნიერებს, შეისწავლონ ენაში არსებული სხვადასხვა იერარქიული დონეები. «ფონემა» და «მორფემა», როგორც ენის იერარქიული ერთეულები, ქმნიან რეალურ ენობრივ სტრუქტურებს ენობრივი იერარქიის სხვადასხვა დონეზე, რომელთა ურთიერთმიმართება აყალიბებს ენას, როგორც სისტემის მთლიანობას.

ზოგადი ფონეტიკა ემყარება კონკრეტულ ენათა ფონეტიკას, მაგრამ, ამავე დროს, სცილდება კონკრეტულად მოცემულ ენათა ბგერითი ფორმის ფარგლებს. განიხილება საკითხი: არსებობს თუ არა ზოგადი ფუნქციონალური ფონეტიკა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველი კონკრეტული ენის სამეტყველო ბგერადობა ფუნქციონალურად განსხვავებულია ყოველი სხვა ენის სამეტყველო ბგერადობისაგან, საბუთდება, რომ ზოგადი ფონეტიკა განსხვავდება კერძოსაგან როგორც თემატიკურად, ისე საკითხთა განხილვის მოცულობით. სამაგისტრო პროგრამა ცხადყოფს ფონოლოგიური სტრუქტურის განპირობებულობას ენაში მოქმედი ფონეტიკური პროცესებით და ე. წ. ფონეტიკური ტენდენციებით. საფუძვლიდან შეისწავლება ფონეტიკის ძირითადი საკითხები: წარმართავენ თუ არა ფონეტიკური კანონები მოცემული ენის ენის ფონოლოგიური მოდელის ჩამოყალიბებას; განსაზღვრავს თუ არა ფონეტიკური და ფონოლოგიური ასპექტების თანაჟამიერი მოქმედება ენის ფონემატურ სტრუქტურას; დაწვრილებით განიხილება კოარტიკულაციის მოქმედება: ენის ფონოლოგიური მოდელის ცვლა და ფონეტიკური ტენდენციები, რომელთა დინამიკაც სცილდება კოარტიკულაციურ ქმედებათა სფეროს და გლობალურია ენისათვის; ფონეტიკური პროცესები და ფონეტიკური ტენდენციები და მათი ფონოლოგიზირებული შედეგები; ფონეტიკური ცვლილებები და ეკონომიის პრონციპი; ენის ფონემატური სისტემა – პარადიგმატიკა და სინტაგმატიკა; ანლაუტისა და აუსლაურის სტრუქტურის ტრადიციული სქემა და მისი დაზუსტება თანამედროვე ლინგვისტიკის შედეგების გათვალისწინებით; უნივერსალური ფონეტიკური კანონები და მათი მოქმედების შეზღუდულობა დროით, სივრცით ან სხვა კანონის ჩარევით; ფონოლოგიური სისტემის დიაქრონიული ტრანსფორმაცია.

სტუდენტი თავისუფალია ენათა არჩევანში, ეს დამოკიდებულია მის ინტერესზე. პროგრამა არ არის შეზღუდული კონკრეტული ენის ფარგლებში, თუმცა სასურველია, რომ მის სამუშაო სფეროს წარმოადგენდეს იბერიულ-კავკასიური, ინდო-ევროპული, თურქულ-ალთაური, სემიტური ან წინა აზიის მკვდარი ენები: შუმერული, ურარტული, ხეთური, აქადური, ეგვიპტური და ა. შ.

**სწავლის შედეგები:**

**ცოდნა და გაცნობიერება**

სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია მაგისტრანტის თეორიული ცოდნით შეიარაღებაზე და ფონეტიკის პრაქტიკული მხარეს გამოავლენს თავისივე შერჩეული ენის მაგალითზე: შეძლებს გამოყოს უმცირესი ლინგვისტური ერთეული – ფონემა, ჩაატარებს ლინგვისტურ პროცედურებს და წარმოაჩენს ენის ფონემათა პარადიგმატულ და სინტაგმატურ მიმართებას – ფონოტაქტიკას; გამოიკვლევს ენაში მოქმედ ბგერათმეორთების წესებს და მათ შედეგად

ჩამოყალიბებულ ფონემატურ სინტაგმებს, რომელთაც ხშირი რეალიზაცია აქვს ენის ლექსიკური წარმოებისას.

### პრაქტიკული უნარები:

მაგისტრს გამოიკვლევს ფონეტიკურ პროცესებს, კოარტიკულაციასა და მასთან დაკავშირებულ შიდა და გარე სანდჰის კანონთა მოქმედებას, რომლის ზეგავლენის შედეგებიც ასახულია ენის მორფოლოგიურ სისტემაზე.

### ზოგადი/ტრანსფერული უნარები

მაგისტრს ექნება:

შესაბამისი ლიტერატურიდან ინფორმაციის მოძიებისა და კრიტიკული შეფასების უნარი.

ლოგიკური და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.

სამეცნიერო ნაშრომის გაფორმების უნარი.

უცხო ენაზე სპეციალური ლიტერატურის კითხვისა და ათვისების უნარი.

საკვლევ სფეროში ემპირიული მასალის მოპოვების უნარი.

მოპოვებული ემპირიული მასალის ანალიზისა და კლასიფიკაციის უნარი.

ანალიზის შედეგების განზოგადების უნარი.

### ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: 120 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერიტი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

კონსულტაციისათვის მიმართეთ პროგრამის ხელმძღვანელს პროფესორ ნათელა ქუთელიას ტელ: 22-15-28. მობ: 855625332. კონსულტაციის დრო განუსაზღვრელია.

**სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება:** საქართველოს ისტორია

სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ორ სასპეციალიზაციო მოდულს:

1. ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორია და წყაროთმცოდნეობა;
2. ახალი და უახლესი პერიოდის საქართველოს ისტორია და წყაროთმცოდნეობა)

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** ისტორიის მაგისტრი / MA in History

**პროგრამის მიზნები:**

- მოამზადოს ფართო სამეცნიერო ჰორიზონტის მქონე ისტორიკოსები მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე განგრძობადი ერის - ქართველების - ისტორიის სხვადასხვა (პოლიტიკური, კულტურული, სოციალურ-ეკონომიკური) ასპექტის შემეცნების გზით; სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ მიღებული ცოდნის გამოყენებას პრაქტიკაში სოციალური და პოლიტიკური (როგორც სამინაო, ისე საგარეო) ურთიერთობების მეცნიერული საფუძველზე წარმართვისას და სამეცნიერო და პედაგოგიურ სფეროში მოღვაწეობისას.
- პროგრამა საინტერესო იქნება უპირველესად მათთვის, ვისაც სურს ჰქონდეს საფუძვლიანი, შემოქმედებითი პროცესის თანამონაწილეობით მიღებული, ცოდნა ქართველი ერის ისტორიის კონკრეტული პერიოდის ან დიაქრონულ ჭრილში დანახული კონკრეტული ისტორიული ფენომენის შესახებ და შესაბამის სფეროში კვლევების ჩატარებისათვის საჭირო ჩვევები და უნარები.
- ამასთან, პროგრამის ცალკეული კურსები და მოდულები დიდ დახმარებას გაუწევს მათ, ვინც ესწრაფვის საფუძვლიანი ცოდნის მიღებას სხვადასხვა პერიოდის კავკასიის ისტორიაში, რუსეთის ისტორიაში, საბჭოთა კავშირის ისტორიაში, ბოლშევიზმისა და მენშევიზმის ისტორიაში, ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში, ბიზანტიისა და ბიზანტიური კულტურული წრის ქვეყნების ისტორიაში, ებრაული და სომხური დიასპორების ისტორიაში და ა.შ. დასახელებული სფეროებში რიგი ინფორმაციის მიღება ექსკლუზიურად ამ პროგრამის ფარგლებშია შესაძლებელი. აღნიშნული გარემოება საშუალებას აძლევს სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს იოლად მოახერხოს საჭიროების შემთხვევაში სპეციალობის შეცვლა და მოგვევლინოს მომიჯნავე დარგის ექსპერტად.

**სწავლის შედეგები:** პროგრამის შედეგად განვითარდება ყველა ის კომპეტენცია, რომელიც სტუდენტს შეძენილი აქვს სწავლების ბაკალავრიატის საფეხურზე. აგრეთვე ჩამოყალიბდება ბევრი ახალი კომპეტენციაც. კერძოდ:

### **1. ცოდნა და გაცნობიერება**

1.1. სტუდენტს ექნება ღრმა ფაქტობრივი ცოდნა საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მის მიერ შერჩეული პერიოდის შესახებ, რომელიც დაფუძნებული იქნება ისტორიული წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის ანალიზს

1.2. სტუდენტს ექნება ღრმა ფაქტობრივი ცოდნა საქართველოს ერთ-ერთი მის მიერ შერჩეული რეგიონის შესახებ, რომელიც დაფუძნებული იქნება ისტორიული წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის ანალიზს.

1.3. სტუდენტს ექნება ღრმა ფაქტობრივი ცოდნა საქართველოს ერთ-ერთი ან რამდენიმე მის მიერ შერჩეული ისტორიული მოღვაწის შესახებ, რომელიც დაფუძნებული იქნება ისტორიული წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის ანალიზს.

1.4. სტუდენტს ექნება ღრმა ცოდნა ქართველი ერის ცხოვრებაში მომხდარი რომელიმე მის მიერ შერჩეული სოციალური ფენომენისა დიაქრონულ ჭრილში და ფართოდ შედარებით კონტექსტში

1.5. სტუდენტს ექნება ისტორიული წყაროების მის მიერ შერჩეული ჯგუფის წყაროთმცოდნეობითი მახასიათებლების საფუძვლიანი ცოდნა.

1.6. სტუდენტს ექნება მისთვის საინტერესო საკითხებზე თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიული დისკურსის საფუძვლიანი ცოდნა.

1.7. სტუდენტი გააცნობიერებს სხვადასხვა ისტორიოგრაფიული სტილისა, მეთოდოლოგიისა და, შესაბამისად, ისტორიული ფაქტის სხვადასხვაგვარი რეკონსტრუქციის შესაძლებლობის ფაქტს.

1.8. ექნება სხვადასხვა სახის ისტორიული კვლევის მიდგომების და მეთოდების ცოდნა (ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, გენდერული)

ექნება ისტორიული დიდაქტიკის ცოდნა და გააცნობიერებს იმას, რომ სწავლება და ისტორიული რეკონსტრუქცია მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულია

## 2. პრაქტიკული უნარები

2.1. სტუდენტს ექნება წყაროთმცოდნეობითი ძიებების ჩატარების ჩვევა და მოძიებული ფაქტების ისტორიულ რეკონსტრუქციაში გამოყენების უნარი.

2.2. სტუდენტს შეეძლება საქართველოს ისტორიის დარგში წერილობითი ნაშრომის ისტორიის დარგის მოთხოვნილების გათვალისწინებით გაფორმება .

2.3. სტუდენტს შეეძლება საქართველოს ისტორიის მაგალითზე გარდასულ ეპოქებთან კულტურული დიალოგის, Mფაქტების ურთიერთშედარების, ურთიერთდაკავშირების და მათი სინთეზის მეშვეობით ისტორიული სურათის აღდგენა.

2.4. სტუდენტს შეეძლება ქართველი ერის ისტორიული წარსულის რეკონსტრუქციისას გამოიყენოს სხვადასხვა ისტორიოგრაფიული სტილი .

2.5. სტუდენტს შეეძლება ისტორიოგრაფიული მიმოხილვის გაკეთება მშობლიურ და უცხო ენაზე.,

2.6. სტუდენტს შეეძლება ნაშრომთა და წყაროთა კომენტირება და რეცენზირება

2.7. სტუდენტს შეეძლება წყაროთა კრიტიკული გამოცემა და თარგმნა.

2.8. სტუდენტს შეეძლება თემატური კატალოგის შედგენა.

## 3. ზოგადი უნარები

3.1. სისტემატური მუშაობა უცხოენოვან სპეციალურ ლიტერატურაზე და პრეზენტაციები როგორც ქართული, ისე არაქართული აუდიტორიის წინაშე სტუდენტს გაულრმავებს ენების ცოდნას, ჩამოუყალიბებს საზოგადოდ ნებისმიერ პრობლემაზე მშობლიურ თუ არამშობლიურ ენაზე პრეზენტაციის უნარს.

3.2. სტუდენტი ჩამოყალიბდება კომუნიკაბელურ და თვითკრიტიკულ პიროვნებად, რადგან მას ხშირად მიეცემა შესაძლებლობა იმუშაოს ჯგუფში, იყოს ექპედიციაში, სასწავლო პრაქტიკაზე;, მოიპოვოს ინფორმაცია ინტერვიუს გზით, დაწეროს კოლექტიური სამეცნიერო პროექტი მონაწილეობა მიიღოს დისკუსიაში.

3.3. პერმანენტული საშინაო დავალებები სწავლით თუ კვლევით სფეროში, აგრეთვე სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა სტუდენტს განუვითარებს გარემოსთან ადაპტირების, გარეშე გამოწვევებზე ადეკვატური რეაგირების, დროის ორგანიზების და სამეცნიერო ცხოვრების მენეჯმენტის უნარებს.

3.4. წყაროების შესწავლისადმი მიძღვნილი კურსები სტუდენტს განუვითარებს საზოგადოდ ტექსტების ინტერპირების უნარს

ამ პროგრამის წარმატებით გავლის შედეგად პროგრამისა, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ისტორიის მიწოდებას შედარებითი ფორმით და გარე სამყაროსთან პარალელურად, არაქართული ისტორიოგრაფიული დისკურსის გათვალისწინებით, სტუდენტი ჩამოყალიბდება არა მარტო კონკრეტულად საქართველოს ისტორიის დარგში ექსპერტად, არამედ მას ექნება საზოგადოდ ნაციონალური ისტორიების სწრაფად და ადეკვატურად გაგების კომპეტენცია, რაც აუცილებელია როგორც აკადემიური საქმიანობისათვის, ასევე პრაქტიკულ სფეროში.

ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: 120 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერიტი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

კონსულტაციისათვის მიმართეთ პროგრამის ხელმძღვანელს სრულ პროფესორს მარიამ ჩხარტიშვილს, ტელ: 899714015; 314593, ელ.ფოსტა: [mary.chkhartishvili@gmail.com](mailto:mary.chkhartishvili@gmail.com)

## სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება: ახალი და უახლესი ისტორია

პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს 4 სასპეციალიზაციო მოდულს:

1. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია;
2. ახლო აღმოსავლეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი)
3. შორეული აღმოსავლეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი);
4. საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი).

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია:** ისტორიის მაგისტრი / MA in History

### პროგრამის მიზნები:

- სამაგისტრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს მაღალკვალიფიციური სპეციალისტ-მკვლევარების მომზადება ახალი და უახლესი ისტორიის დარგში.
- ახალი და უახლესი ისტორია არის მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მონაკვეთი, რომლისადმი ინტერესი მთელ მსოფლიოში ყოველთვის უდიდესი იყო და დღესაც ყველაზე მეტად შესწავლადი დარგია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ დარგს დაფუძნების პერიოდიდანვე ექცეოდა დიდი ყურადღება, რაც გამოიხატა კიდევ XXს. 30-იანი წლების შუახანებში ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ჩამოყალიბებაში. ქართველი მეცნიერები ყოველთვის ცდილობდნენ, არ ჩამორჩენოდნენ მსოფლიო ისტორიულ აზროვნებას, და, რასაკვირველია, დღეს, როდესაც საქართველო მიისწრაფვის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას, მას ნამდვილად სჭირდება ახალი და უახლესი ისტორიის სპეციალისტები.
- აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის მთავარი ამოცანაა, მისცეს მაგისტრატურის მსმენლებს ღრმა ცოდნა ახალ და უახლეს ისტორიაში. ამას ემსახურება ის სალექციო კურსები და სტუდენტთა პრაქტიკული მუშაობა (როგორც უშუალოდ ლექტორთან, ისე დამოუკიდებლად), რომელიც გათვალისწინებულია წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამით. პროგრამის გავლის შემთხვევაში სტუდენტს ექნება სრული წარმოდგენა ახალი და უახლესი ისტორიის სფეროში არსებულ ძირითად თეორიულ მიდგომებზე. ამავე დროს, ის მიიღებს კონკრეტულ ცოდნას ევროპისა და ამერიკის, ახლო აღმოსავლეთის, შორეული აღმოსავლეთის ისტორიაზე და საერთაშორისო ურთიერთობებზე აღნიშნულ პერიოდში. პროგრამა იყოფა ოთხ მოდულად: 1. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია; 2. ახლო აღმოსავლეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი); 3. შორეული აღმოსავლეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი); 4. საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია ახალ და უახლეს პერიოდში. გარდა საერთო საგნებისა, თითოეულ მოდულს გააჩნია თავისი სავალდებულო და არჩევითი საგნები.
- ახალი და უახლესი ისტორიის სპეციალობით მაგისტრის მომზადების ნორმატიული ვადაა 2 წელი. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისაღებად კურსდამთავრებულს მაგისტრატურაში სწავლის განმავლობაში დაგროვილი უნდა ჰქონდეს 120 კრედიტი (1 კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს), მათ შორის 90 საკონტაქტო (ლექციები, სემინარები, პრაქტიკული მეცადინეობები) კრედიტი და 30 დამოუკიდებელი მუშაობის (სამაგისტრო ნაშრომი) კრედიტი.

### სწავლის შედეგები:

- ცოდნა და გაცნობიერება \_ მაგისტრატურის სასწავლო პროგრამის დასრულებისა და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შედეგად მიღებული ცოდნის, კვალიფიკაციისა და კომპეტენციის გამოყენებით კურსდამთავრებულს უნდა შეემლოს: სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ათვისება, კითხვა და გააზრება; თანამედროვე მსჯელობის მიმდინარეობებისა და საკითხების ცოდნა; კაცობრიობის წარსულის ერთი ან მეტი პერიოდის სპეციალიზებული ცოდნა; კვლევის საგნის დასახვის უნარი, იმისთვის, რომ

წვლილი შეიტანოს ისტორიოგრაფიულ ცოდნასა და დებატებში; მსოფლიო პოლიტიკის კრიტიკული ანალიზისა და ინტერპრეტირების უნარი; ევროპული მოვლენების, განვითარებებისა და პოლიტიკის, ნაციონალურ, რეგიონულ და ადგილობრივ ჩარჩოებში ინტერპრეტირების უნარი;

- პრაქტიკული უნარები – მაგისტრს უნდა გამოუმუშავდეს არა მხოლოდ ქართული, არამედ დასავლური მეცნიერების უახლესი მიღწევების გათვალისწინებით საკვლევო ტექსტებისადმი კომენტარების დართვის უნარი; თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებისა და უახლესი ინტერდისციპლინარული მეთოდების გამოყენებით მასალის დამუშავების უნარი; დამოუკიდებლად მუშაობის უნარი; ხელმძღვანელობის ქვეშ მუშაობის უნარი; განსხვავებული დისციპლინარული მეთოდოლოგიების ინტეგრირებულად გამოყენების უნარი;
- ზოგადი/ტრანსფერული უნარები – მაგისტრს უნდა შეეძლოს სპეციალიზებული სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, წერილობითი თუ ზეპირი პრეზენტაცია; საკამათო საკითხებზე დისკუსიის, თანმიმდევრული და ლოგიკური არგუმენტების საშუალებით მკაფიოდ და კორექტულად კამათის უნარი; მრავალმხრივი მასალის თანმიმდევრული ორგანიზების უნარი; საკუთარ თუ უცხო ენაზე წერის უნარი; კვლევის შედეგების შესაბამისი ნარატიული ფორმით გადმოცემის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი ქართულ და ერთ-ერთ საერთაშორისო ენაზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით; ინტერნეტ-რესურსების გამოყენების უნარი.

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:** 120 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერიტი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს პროფესორ  
თეიმურაზ პაპასკირს ტელეფონზე: 893 31 40 61; E-mail: [tpapaskiri@gmail.com](mailto:tpapaskiri@gmail.com)



## სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება: მედიევსტიკა

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია: მედიევსტიკის მაგისტრი/ MA in medieval studies

**პროგრამის მიზნები:** სამაგისტრო პროგრამა მედიევსტიკაში შედგენილია ბუდაპეშტის ცენტრალურ უნივერსიტეტთან (პროფ. ნილს გაული) კოორდინაციითა და პარტნიორობით. იგი წარმოადგენს საფაკულტეტათშორისო ინტერდისციპლინარულ პროგრამას, რომელიც მოიცავს როგორც თეორიულსა და მეთოდოლოგიურ საკითხებს, ასევე ემპირიულ მასალას, რომლის მიზანია წყაროების შესწავლისა და მრავალფეროვანი თეორიული მიდგომების ანალიზის საფუძველზე, მოამზადოს მკვლევრები და პრაქტიკოსები მედიევსტიკაში, რომელთაც ექნებათ ღრმა ცოდნა შუა საუკუნეების და აღორძინების ეპოქის შესახებ, მისი რეგიონული განვითარების თავისებურებების წარმოდგენით, შეისწავლიან განსხვავებულ მეთოდოლოგიურ მიდგომებს და მასთან დაკავშირებულ ორიენტირებს, კვლევის კომპარატივისტულ მეთოდებს, აგრეთვე სივრცით, ქრონოლოგიურ და თემატურ მიდგომებს.

პროგრამა მაგისტრანტს საშუალებას აძლევს, მიიღოს თეორიული ცოდნა, განავითაროს და დახვეწოს ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი კონკრეტული ისტორიული პროცესების და ეპოქის გათვალისწინებით, შეისწავლოს შუა საუკუნეების საზოგადოება, მასში მიმდინარე ურთიერთობები - ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული. ასეთი მიდგომა მოითხოვს, როგორც წერილობითი, ასევე არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ენობრივი, ტექნიკის და მეურნეობისა და სამართლის, აგრეთვე სხვა მომიჯნავე დარგების მონაცემების გამოყენებას. სტუდენტებს უნდა ჩამოუყალიბდეთ წარმოდგენა მედიევსტიკის კვლევათა სფეროში არსებულ მეთოდოლოგიურ მიდგომებსა და მათი ჩამოყალიბების გზაზე, აგრეთვე იმ მეთოდოლოგიურ პრობლემებზე, რომლებიც თანამედროვე მედიევსტიკის წინაშე დგას. სასწავლო კურსები აქცენტირებულია იმ უნარ-ჩვევების შემუშავებაზე, რომ მაგისტრანტმა შესძლოს ინფორმაციის, მიდგომებისა და ფასეულობების კომპლექსური ბუნების გაცნობიერება. ასევე მიზნად ისახავს შუა საუკუნეებისა და აღორძინების ეპოქის კულტუროცენტრისტული გააზრების და კულტურის ფენომენის ისტორიული კვლევის სფეროში დაგროვილი მეთოდოლოგიური გამოცდილების, კვლევის კომპარატივისტული მეთოდების, აგრეთვე სივრცითი, ქრონოლოგიური და თემატური მიდგომების გაცნობას.

პროგრამა წარმოდგენილია ფართო წყაროთმცოდნეობის ბაზაზე და სთავაზობს მაგისტრანტებს წყაროზე მუშაობის მეთოდებისა და მეთოდოლოგიების უნარ-ჩვევების გამომუშავებას. მაგისტრმა უნდა შეისწავლოს შუა საუკუნეების ხელნაწერები, არქეოლოგიური მასალები, რელიგიური ტექსტები, სამართლის ძეგლები და სხვა წყაროებზე მუშაობის ფორმები და მისი კრიტიკული ანალიზის უნარი. პროგრამა მაგისტრანტს აძლევს საშუალებას თავისი ინდივიდუალური სამუშაო გეგმა შეადგინოს, როგორც რეგიონალური პრინციპით (დასავლეთ ევროპა, აღმოსავლეთ ქრისტიანული სამყარო, მახლობელი აღმოსავლეთი...), ასევე აირჩიოს კრედიტები სხვადასხვა დისციპლინებში (ისტორია, ლიტერატურა, სამართალი, ფილოსოფია, ხელოვნება, რელიგია...). ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა შედარებითი კვლევების წარმოება. პროგრამა არ არის შეზღუდული რომელიმე ლოკალური რეგიონის შესწავლით, არამედ აუცილებელ პირობას წარმოადგენს ფართო არეალის შესწავლა და მათი შედარებითი ანალიზი.

სტუდენტებს მოეთხოვებათ საკუთარი ჰიპოთეზების შემუშავება მკაცრი სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით. მათ უნდა შეადარონ და ერთმანეთთან დააკავშირონ სხვადასხვა საგანში შეძენილი მეთოდოლოგიები და ცოდნა, რათა შესაძლებლობა მიეცეთ, ერთი სფეროდან მეორეში გადაიტანონ ინოვაციური პრაქტიკა, შეძლონ სხვადასხვა პერიოდებსა და კონტექსტში ისტორიოგრაფიული შეხედულებებისა და პერსპექტივების გაცნობიერება. შეიძინონ დისციპლინათშორისი დეტალური ცოდნა, კონკრეტული პერიოდის დოკუმენტების სპეციფიკური საშუალებებითა და მეთოდებით შესწავლის უნარი.

პროგრამა, სხვადასხვა კონფესიათა ურთიერთობის ისტორიისა და განსხვავებულ მსოფლმხედველობათა ანალიზის საფუძველზე, იძლევა საფუძვლიან ცოდნას საზოგადოების განვითარების პროცესის შესახებ; ასევე დიპლომატიის ადგილისა და როლის შესახებ შუა საუკუნეებსა და რენესანსის ხანაში.

პროგრამაში მოცემული თემები და საგნები კონკრეტული წყაროების კრიტიკული ანალიზისა და მედიევისტიკის თანამედროვე მიღწევების საფუძველზეა წარმოდგენილი და იძლევა შუა საუკუნეების ფართო ასპექტების კვლევის საშუალებას. სასწავლო კურსი უზრუნველყოფს და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის უნარის გამომუშავების საშუალებას. ამზადებს სპეციალისტს, რომელსაც უნდა შეეძლოს დაგეგმოს, განახორციელოს, წარმოადგინოს - ზეპირი და წერილობითი ფორმით - დისციპლინის მოთხოვნების მიხედვით, კვლევითი ხასიათის ნაშრომი მედიევისტიკაში, რომელიც მიმოიხილავს და აანალიზებს მნიშვნელოვან პრობლემას. იგი ამზადებს სპეციალისტებს შემდგომი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის.

პროგრამა არის ინტერდისციპლინარული და საფაკულტეტაშორისო. იგი ძირითადად სთავაზობს ხარისხს ზოგად მედიევისტიკაში, მაგრამ ამავე დროს მას შეუძლია მაგისტრის ინდივიდუალური პროგრამის შესაბამისად ხარისხი მიანიჭოს ასევე ისტორიაში.

**სწავლის შედეგები:** მაგისტრი უნდა ფლობდეს კონკრეტულ, ფართო და დეტალურ ცოდნას მედიევისტიკაში. მაგისტრს უნდა შეეძლოს საკვლევი საკითხის გამოკვეთა და დასაბუთება, შუა საუკუნეების და აღორძინების პრობლემების იდენტიფიცირება, წყაროების გამოყენების ახალი გზების მოძიება, დაკავშირება და შედარება; უნდა ჰქონდეს ფართო და დეტალური ცოდნა მედიევისტიკაში გეოგრაფიული არეალის მიხედვით. გადმოცემული მასალების საფუძველზე, სტუდენტი ორიენტირდება იმაში, თუ როგორც იცვლება ისტორიული ინტერესები, კატეგორიები და პრობლემები დროსთან ერთად და როგორ უკავშირდება ისტორიული დებატები ეპოქის პოლიტიკურ და კულტურულ ინტერესებს, მაგისტრს ასევე უნდა შეეძლოს შუა საუკუნეებში მიმდინარე პროცესების, მისი განვითარების მიღწევების გამოყენება და დაკავშირება თანამედროვეობასთან და თანამედროვე პერიოდში მიმდინარე პროცესების საფუძველზე ამ მოვლენების რეინტერპრეტაცია; უნდა ჰქონდეს უნარი მოახდინოს ინტერპრეტირება შუა საუკუნეების მოვლენების, განვითარებებისა, საზოგადოებისა და პოლიტიკის რეგიონალურ და ადგილობრივ ჩარჩოებში. უნდა შეეძლოს კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლების განსაზღვრა, წყაროებისა და თანამედროვე მედიევისტიკის მიღწევების საფუძველზე ისტორიული პროცესების ანალიზი; კვლევითი და პრაქტიკული მუშაობის წერითი და ზეპირი პრეზენტაცია.

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:** 120 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერითი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუფროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A

81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს პროფ. ბეჟან ჯავახიას, ელ.ფოსტა: [javakhi@yahoo.de](mailto:javakhi@yahoo.de), ტელ: 899 338110 ; 720607

**სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება:** ქრისტიანობის ისტორია

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია:** ისტორიის მაგისტრი / MA in History

**პროგრამის მიზნები:** ქრისტიანობის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა წარმოადგენს თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის სხვადასხვა დარგის სასწავლო პროგრამების კრების ვარიანტს, რომელიც გამიზნულია როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო კვლევის შესწავლა-განხორციელებისათვის. პროგრამის მიზანია ბაკალავრიატის შემდგომი დონის სპეციალისტის, ან მკვლევარის მომზადება ქრისტიანობის ისტორიაში. ამასთანავე, პროგრამა ამზადებს პირს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.

სამაგისტრო პროგრამა იძლევა საშუალებას სტუდენტმა მიიღოს დარგის ირგვლივ ფართო და ღრმა ცოდნა, ან შეიცვალოს სპეციალობა, რაშიც მას დახმარებას უწევს პროგრამის ინტერდისციპლინარული ხასიათი. პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტი ჰუმანიტარული მეცნიერებების ყველა დარგში: საეკლესიო სამართალში, სასულიერო ლიტერატურაში, ქრისტიანული ხელოვნების ისტორიაში, ქრისტიანულ არქეოლოგიაში, ქრისტიანულ წყაროთმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიაში, საეკლესიო დიპლომატიის ისტორიაში, ქრისტიანულ თეოლოგიაში და ა. შ. პროგრამა ამზადებს სპეციალისტს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის, უმაღლესი და საშუალო საგანმანათლებლო დაწესებულებებში პედაგოგიური საქმიანობისათვის, ქრისტიანული ეკლესიის ექსპერტად ჩამოყალიბებისათვის.

სამაგისტრო პროგრამა მოიცავს თეორიულ საკითხებს და ქრისტიანობის კონკრეტული კვლევის მეთოდებს და მაგალითებს (case studies). სტუდენტმა უნდა შეძლოს ემპირიული მასალის თავმოყრა, დაჯგუფება და ანალიზის წესის გააზრება. ასევე, გამოკვეთოს ქრისტიანობის ისტორიის კვლევის მიზანი; გააცნობიეროს მაგისტრატურაში ათვისებული ცოდნით მიღებული შედეგები.

მრავალმიმართულებიანი და ღრმა თეორიული მიდგომით, სტუდენტმა უნდა აითვისოს ქრისტიანობის ფენომენის ანალიზის მეთოდ-ხერხები, გააზროს დარგის ინტერდისციპლინარული ხასიათი. პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი საგნები, სამაგისტრო ნაშრომი, სტუდენტს საშუალებას აძლევს გაიღრმავოს ბაკალავრიატის საფეხურზე მიღებული ზოგადი ცოდნა, გაიფართოვოს ის, დახვეწოს და განავითაროს სამეცნიერო პრობლემის ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი, შეიძინოს და განიმტკიცოს დამოუკიდებელი კვლევის უნარ-ჩვევები, რომელიც მას დაეხმარება პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის. სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშაოს ქრისტიანობაში წამოჭრილი ამა, თუ იმ პრობლემის გადაჭრის უნარი; ჯგუფური მუშაობის, პროექტის შემუშავება – მართვის უნარი და ა.შ. სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს დარგში მიაღებინოს იმ დონის ცოდნა, რომ მან შეძლოს თავისი პროფესიისადმი პროფესიონალური მიდგომის წარმოჩენა; იდეების, პრობლემების, ინფორმაციის გაანალიზების გზაზე კომუნიკაცია სპეციალისტებისა და არასპეციალისტების წრეში.

სამაგისტრო პროგრამა ამზადებს ქრისტიანობის ისტორიის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტს, რომელსაც შესწევს უნარი მეცნიერული კვლევის ჩატარებისა და პრაქტიკული საქმის წარმოებისა აღნიშნულ დარგში. სტუდენტი უნდა ჩამოყალიბდეს ანალიტიკოს-პრაქტიკოსად ქრისტიანობის დარგში.

პროგრამა განკუთვნილია იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ცოდნის გაღრმავებით თეორიულ სფეროში, მისი გამოყენებით კონკრეტულ ქრისტიანობის კვლევებში და პრაქტიკულ მუშაობაში.

**სწავლის შედეგები:** სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი უნდა ფლობდეს პროგრამით გათვალისწინებულ ცოდნას და შეეძლოს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება სათანადო უნარ-ჩვევების გამომუშავებით.

1. ცოდნა და გაცნობიერება – მაგისტრის ხარისხის მოპოვების შედეგად, მაგისტრს უნდა შეეძლოს საკვლევი პრობლემის გამოკვეთა და მისი დასაბუთება; კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლის განსაზღვრა; თეორიული და ემპირიული მასალის ურთიერთშეჯერება და მის საფუძველზე ქრისტიანობაში მიმდინარე პროცესების ანალიზი. ამასთან, მაგისტრის ხარისხის მქონე ღრმად უნდა ერკვეოდეს ქრისტიანობის მსოფლმხედველობის საფუძვლებში; ქრისტიანობის წარმოშობა-განვითარების ისტორიულ პროცესებში; ქრისტიანობის ძირითად სამეცნიერო კონცეფციებში; ქრისტიანობისა და აბრაამისტული რელიგიების შედარებითი კვლევის საფუძვლებში; ქრისტიანული ეკლესიების ურთიერთობათა შედარებითი კვლევის საფუძვლებში; ქრისტიანობის როლსა და დანიშნულებაზე ისტორიულ პროცესებში და ა.შ. აგრეთვე, პროგრამით გათვალისწინებულ სხვა მოდულებში.
2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:
  - ა) პრაქტიკული უნარები – მაგისტრის ხარისხის მქონეს უნარი უნდა შესწევდეს სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული მუშაობის შედეგების წერითი და ზეპირი პრეზენტაციისა; გამომუშავებული დებულებების არგუმენტირებულად დასაბუთებისა და მსჯელობის მაღალი უნარი და კულტურა.
  - ბ) ტრანსფერული უნარები - მაგისტრატურის პროგრამა გავლილი პირი სრული ცოდნის გარდა ქრისტიანული სარწმუნოების ირგვლივ, უნდა ფლობდეს ქრისტიანობის ურთიერთმიმართების საფუძვლებს სხვა რელიგიებთან და ტოლერანტობისა და პატივისცემით დამოკიდებულებას ფლობდეს განსხვავებული კონფესიებისადმი, რაც მას შეამზადებს საზოგადოებაში მისი როლის განსაზღვრისადმი და დასაქმების უკეთეს შესაძლებლობებს შეუქმნის.
  - გ) კოგნიტური უნარები – მაგისტრატურა დამთავრებულს უნარი უნდა შესწევდეს დამოუკიდებელი იდეის ჩამოყალიბებისა, რისი საფუძველიც მის მიერ განვლილი პროგრამით მიღებული ცოდნა უნდა იყოს. პირს უნდა შეეძლოს განსხვავებული სამეცნიერო დებულებაში გარკვევა, საკუთარი ნაზრების ჩამოყალიბება; ქრისტიანობის განსხვავებული სამეცნიერო კონცეფციების დამოუკიდებელი ანალიზი და მათი სინთეზური კვლევით სათანადო აზრის გამოტანის უნარი.
  - დ) მეთოდოლოგიური უნარები – სტუდენტმა უნდა გამოიმუშაოს სასწავლო-ასათვისებელი მასალის დროში დაგეგმარება; იდეის ფორმირება და სათანადო პროექტის შედგენა და მისი ხელმძღვანელობა – რეალიზება; გამოიმუშაოს საკვლევი პრობლემის გადაჭრის უნარი.
  - ე) ტექნოლოგიური უნარები – მაგისტრატურა დამთავრებულს უნარი უნდა შესწევდეს სხვადასხვა სახით წყაროების მოპოვება (არქივში, ინტერნეტზე მუშაობის უნარი), მათი დამუშავება, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა სამეცნიერო ანალიზის საფუძველზე.
  - ვ) ლინგვისტური უნარები – შესატყვისად სტუდენტის მიერ არჩეული ქრისტიანობის მიმართულებისა, ის უნდა ფლობდეს იმ უცხო ენას, რომელზეც წერილობითი წყაროებისა და ისტორიოგრაფიული ხასიათის მასალათა უმრავლესობა მოიძიება. საამისოდ კი, სტუდენტს გარდა მშობლიური ენისა, უცხო ენაზეც უნდა შესწევდეს უნარი ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია-პრეზენტაციისა; უცხოენოვანი მასალის მეცნიერული დამუშავებისა.

- ზ) სოციალური უნარები – სტუდენტს უნდა შეეძლოს ინტერდისციპლინარულ ჯგუფში მუშაობა, სადაც ის გაუძღვება ქრისტიანული პრობლემატიკის საკითხთა კვლევა-სწავლებას. ამასთან, დაიცავს კოლეგების სამეცნიერო აზრისა და დებულებებისადმი პატივისცემის ეთიკურ ნორმებს და გამოავლენს კოლექტიური მუშაობის უნარს.
- თ) სისტემური უნარები – მაგისტრანტს უნდა ჰქონდეს გამომუშავებული უნარი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული მუშაობისა; ასევე, დამოუკიდებლად საკვლევი პროექტის შემუშავებისა და მისი ხელმძღვანელობისა.

#### ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: 120 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერითი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს მოწვეულ პროფესორს ქეთევან პავლიაშვილს ტელეფონზე: 23 06 96; ელ-ფოსტა: [ketevan.pavliashvili@yahoo.com](mailto:ketevan.pavliashvili@yahoo.com)

**სამაგისტრო პროგრამის დასახელება:** ფილოსოფია  
ოთხი სასპეციალიზაციო მოდულით:

1. კულტურის ფილოსოფია და ესთეტიკა.
2. პოლიტიკური ფილოსოფია.
3. მორალის ფილოსოფია და გამოყენებითი ეთიკა,
4. ლოგიკა და ფილოსოფიის ისტორიის ონტოლოგიურ-ეპისტემოლოგიური ასპექტები.

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** ფილოსოფიის მაგისტრი / MA in Philosophy

**სამაგისტრო პროგრამის მიზნები:** ფილოსოფიასთან მიმართებაში ექვს არ იწვევს ხელოვნების და კულტურის, პოლიტიკის, ლოგიკის ფილოსოფიური პრობლემების, ფილოსოფიის ისტორიის ონტოლოგიურ-ეპისტემოლოგიური ასპექტით შესწავლის აქტუალობა. ადამიანისათვის ფუნდამენტურია სამყაროსადმი ფილოსოფიური მიმართება, სამყაროს ფილოსოფიური სურათის შექმნას უზარმაზარი ტრადიცია გააჩნია, სამაგისტრო პროგრამის მოდულები ისეა აგებული, რომ სტუდენტებს მისცემს საშუალება გაერკვეს კლასიკურ და არაკლასიკურ ფილოსოფიურ პარადიგმებს შორის მიმართების საფუძვლებში. თითოეულ მოდულში ექსისტენცის ტრანსცენდირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ონტოლოგიური მოდუსია წარმოდგენილი, რომელთა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ფილოსოფიის მიერ საკუთარი მოწოდების რეალიზება და სამყაროში ადამიანის ადგილის (სრულფასოვანი) განსაზღვრა.

სამაგისტრო პროგრამაში თანამედროვე ფილოსოფიის სწორედ ეს სპეციფიკაა გათვალისწინებული. იგი იმ ფილოსოფიური მიმდინარეობების, კონცეფციების, სტრატეგიების შესწავლაზეა ორიენტირებული, რომელთა გარეშეც დღევანდელ ინტელექტუალურ ვითარებაში წარმოუდგენელია ფილოსოფიური პრობლემების თემატიზირება და გადაწყვეტა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა კლასიკურ და არაკლასიკურ პარადიგმებს შორის კონფლიქტის არსის გაშუქებას, პოსტმოდერნული პოსტულატების სისტემატურ და კრიტიკულ გააზრებას.

მაგისტრატურის კურსის გავლა მაგისტრს საშუალებას მისცემს ჩამოუყალიბდეს მეცნიერული აზროვნების უნარი, ხელოვნების და კულტურის, პოლიტიკის ანალიტიკოსისა და ექსპერტისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. პროგრამა წარმოდგენილია ოთხი სასპეციალიზაციო მოდულით. სპეციალობის არჩევა ხდება მეორე სემესტრიდან, გარდა IV მოდულისა, სადაც I სემესტრში აირჩევა ორი სასპეციალიზაციო საგანი.

**სწავლის შედეგები:** სასწავლო პროგრამის დანერგვა ხელს შეუწყობს ანტიკურიდან დღევანდელმდე ფილოსოფიის მიღწევების ღრმა ათვისებას, პოლიტიკის, ენის და ლოგიკის, ეთიკის, ხელოვნების აგრეთვე კულტურის სხვა მოვლენების ჰუმანიტარული კვლევების აუცილებელი კონცეპტუალური ბაზით უზრუნველყოფას, საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამისი პროფილის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობას.

### 1. ცოდნა და გაცნობიერება

მოდულების გაერთიანება ქმნის როგორც ფილოსოფიური ცოდნის ერთიან სისტემას, ასევე მოდულთა სპეციფიკურ ნიშან-თვისებებს. პროგრამისთვის სავალდებულო საგნებიდან მაგისტრს ეძლევა ცოდნისა და გაცნობიერების შესაძლებლობა.

- ხელოვნებასა და ზოგად კულტურასთან დაკავშირებული კონცეპტუალური საკითხების ცოდნა.
- პოლიტიკურ ღირებულებათა სისტემის ცოდნა, როგორცაა თავისუფლება, სამართლიანობა, თანასწორობა, წესრიგის არსი, როგორ ხდება მათი რეალიზაცია.
- დედუქციურ მეცნიერებათა მეთოდოლოგიის ცოდნა.

- ენის დაუფლება სოციალურ, პოლიტიკურ, კულტუროლოგიურ, ლოგიკურ-ფილოსოფიები პროფესიულ თემებზე სასაუბროდ და წერითი კულტურის დაუფლება.
- კომპლექსური ტექსტების გაგება და თხზულების, წერილისა ან ანგარიშის ფორმით გადმოცემა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. პრაქტიკული უნარები

- შეეძლება კომპლექსურად (ოთხივე მოდულიდან) პრობლემების ორიგინალურად გადაჭრა
- შესაბამის დისციპლინასთან დაკავშირებულ ან მომიჯნავე (მულტიდისციპლინარულ) კონტექსტში ცოდნის გამოყენება.
- ცოდნის ინტეგრირების უნარი, სირთულეებისათვის თავის გართმევა
- დასკვნების საჯარო წარდგენა. მკაფიო დასაბუთება შესაბამისი ცოდნით და ლოგიკით სპეციალისტებთან.
- სრულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოსაზრებების წარმოჩენა, რომელიც ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაში აისახება.

ზოგადი ტრანსფერული უნარები

- შემოქმედებითი, დამოუკიდებელი, სინთეზური აზროვნების უნარი.
- საზღვრითი პრობლემების გამიჯვნის და ერთიანობაში განხილვის უნარი.
- არასრულ და შეზღუდულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოსაზრებების ჩამოყალიბება, პრობლემის გადასაჭრელად დამატებითი რესურსების მოძიება.
- ახალი ღირებულებების, კულტურათა დიალოგში ძირითადი და სპეციფიური ნიშან-თვისებების გამორჩევის უნარი.
- ცოდნის ისეთ უნარ-ჩვევების გამომუშავება, რომელიც დამოუკიდებლად სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას მისცემს.

ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: 120 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერითი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F



მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მსურველებმა კონსულტაციისათვის შეიძლება მიმართონ პროგრამის ხელმძღვანელს და მოდულის ხელმძღვანელებს. საკონტაქტო ტელ: 22-11-87. 893. 10. 02. 14. საგამოცდო საკითხების შესახებ ლიტერატურა შეიძლება მოიპოვოთ ფილოსოფიის მიმართულების (ინსტიტუტის) ბიბლიოთეკაში. ასევე შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამაში მონაწილე პროფესორებს: სრული პროფესორი ლელა ალექსიძე, სრული პროფესორი კახა კაციტაძე, სრული პროფესორი გიორგი ბარამიძე, ასოცირებული პროფესორი რეზო გორდეზიანი, ასოცირებული პროფესორი ანასტასია ზაქარიაძე, ასოცირებული პროფესორი ლერი მჭედლიშვილი, ასოცირებული პროფესორი დემურ ჯალაღონია, ასოცირებული პროფესორი მამუკა ბიჭაშვილი.

**სამაგისტრო პროგრამის დასახელება:** თეოლოგია

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** თეოლოგიის მაგისტრი / MA in Theology

**სამაგისტრო პროგრამის მიზანები:** პროგრამის მიზანია მოამზადოს მკვლევრები და პრაქტიკოსები, რომელთაც შეეძლებათ რელიგიებისა და რელიგიური პროცესების კვლევა თანამედროვე მეთოდებით, რელიგიურ პროცესებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა შემუშავებაში მონაწილეობის მიღება; მკვლევარები, რომლებიც შეძლებენ მსოფლიო გლობალიზაციის პროცესებზე რელიგიური ფაქტორების გავლენის შესწავლას, კულტურული და რელიგიური თავისთავადობის შენარჩუნების გზების დასახვას, რელიგიური ხასიათის პრობლემატურ საკითხთა ანალიზსა და რეკომენდაციების შემუშავებას რალიგიური ფუნდამენტალიზმისა თუ რელიგიური ფანატიზმის წინააღმდეგ.

**გამომუშაოს მაგისტრანტს:**

- გარკვეული მეთოდოლოგიური, კოგნიტური და ლინგვისტური უნარები და ინტერპერსონული კომპეტენციები, რელიგიურ, კულტურულ, ისტორიულ თუ სხვა საკითხთა განხილვისას, სხვადასხვა ეთნიკურ თუ კონფენსიურ წარმომადგენლობებსა და ცალკეულ პირებთან ურთიერთობებისას.
- ასევე სისტემური კომპეტენციები კონფერენციების, სიმპოზიუმების თუ სხვადასხვა ოფიციალური და არაოფიციალური შეხვედრების მომზადებისა და მიმდინარეობის პროცესში მიღებული თეოლოგიური ცოდნის სწორად გამოყენებისათვის.

**სწავლის შედეგები:** სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ, მაგისტრი უნდა ფლობდეს ღრმა ცოდნას შემდეგ საგნებში: წმიდა წერილი; ეკლესიის ისტორია; ღვთისმეტყველება; მსოფლიო რელიგიების ისტორია; საეკლესიო სამართალი; აპოლოგეტიკა.

**პრაქტიკული უნარები**

საღვთისმეტყველო ძირითად კატეგორიულ აპარატს და რელიგიურ პროცესებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ბაზის გამოყენება თეოლოგიური ხასიათის კომენტარების დართვა.

რელიგიური ხასიათის აქტუალურ საკითხთა ღრმა ანალიზი და კვლევა;

**ტრანსფერული უნარები:**

სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, წერილობითი თუ ზეპირი პრეზენტაცია,

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:** 120 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერიტი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
--------	----------	--------

91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს ეპისკოპოს იოანეს (გამრეკელი): ტ. 899-94-52-27; 98-89-78 (საპატრიარქო).

**სამაგისტრო პროგრამის დასახელება:** თურქოლოგია

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** თურქოლოგიის მაგისტრი/ MA in Turkish Studies

**სამაგისტრო პროგრამის მიზნები:** მიზანი: დღევანდელ მსოფლიოში დღითიდღე მატულობს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ინტერესი აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ, რასაც განაპირობებს ამ ქვეყნების მზარდი პოტენციალი და როლი გლობალური პრობლემების გადაწყვეტაში. დღეს ორიენტალისტიკური კვლევითი და სასაწავლო ცენტრები იხსნება დასავლეთის იმ ქვეყნებში და უნივერსიტეტებში, სადაც აქამდე ასეთი ინტერესი არ არსებობდა. მთელს მსოფლიოში შეიმჩნევა მოთხოვნილების ზრდა აღმოსავლური ენების სპეციალისტებზე.

ქართული ორიენტალისტიკური სკოლა კი ცნობილი და აღიარებულია მსოფლიოში და ქართველი აღმოსავლეთმცოდნეები დღესაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ სამეცნიერო წრეებში. აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის სათავეებთან მდგომ დიდ ქართველ მეცნიერებს კარგად ჰქონდათ გააზრებული ამ სკოლის განვითარების გამორჩეული როლი. აღმოსავლეთთან მეზობლობა და მჭიდრო ურთიერთობა ბუნებრივად მოითხოვს ჩვენი ქვეყნისგან სათანადო პრობლემატიკისა და ცოდნის ფლობას, რაც აღმოსავლეთმცოდნეობას საქართველოსათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან დარგად აქცევს.

თურქული ენა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისწავლება დღიდან მისი დაარსებისა ჯერ ფილოლოგიის ფაკულტეტის ფორმატში (აკაკი შანიძე, სერგი ჯიქია), 1945 წლიდან კი ქართველ ორიენტალისტთა ინიციატივით დაარსებულ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის აღმოსავლური ფილოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების

განყოფილებებზე. აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დაარსებიდან მოყოლებული თურქოლოგიის კათედრა ამზადებდა აღმოსავლეთმცოდნე – ფილოლოგებს.

მიმდინარე სამაგისტრო პროგრამა ორგანული გაგრძელებაა საბაკალავრო major პროგრამისა თურქულ ენასა და ლიტერატურაში. იგი მოამზადებს თურქოლოგიის მაგისტრს, რომელსაც ეძლევა ფილოლოგიური, ისტორიოგრაფიული, ქვეყანათმცოდნეობითი კომპეტენციები. პროგრამა შეინარჩუნებს და გაამდიერებს ქართული ორიენტალისტიკური სამეცნიერო სკოლის ტრადიციებს და მოამზადებს მაგისტრებს როგორც საკუთრივ თურქოლოგიური, ისე ქართველოლოგიური კვლევებისთვის.

**სწავლის შედეგები:**

**ცოდნა და გაცნობიერება:**

სამაგისტრო პროგრამით მომზადებული მაგისტრი იქნება ერუდირებული სპეციალისტი, მიღებული ექნება შესაბამისი სისტემური ცოდნა სპეციალობის განმსაზღვრელ ძირითად ზოგადთეორიულ და პრაქტიკულ დისციპლინებში იმ მოცულობით, რაც აუცილებელია კვალიფიკაციის მისაღებად დადგენილი სტანდარტების დასაძლევად. ასევე მას შეეძლება დარგის მომიჯნავე სფეროებში გარკვევა. მაგისტრს ექნება ფუნდამენტური სამეცნიერო და პრაქტიკული მომზადება, სრულყოფილად იქნება დაუფლებული აღმოსავლური (და კერძოდ, თურქული) ფილოლოგიის სპეციალობას, შეეძლება მიღებული მეცნიერული ცოდნის, უნარ-ჩვევების პრაქტიკული გამოყენება. მისი კომპეტენცია მიწვდება სხვადასხვა ლიტერატურული და ლინგვისტური გამოკვლევებისა თუ კონცეფციების შეფასებას.

**პრაქტიკული და ტრანსფერული უნარები**

მაგისტრს ექნება უნარი სამეცნიერო ინფორმაციის ეფექტურად მოპოვებისა როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტის გამოყენებით, ასევე ამ ინფორმაციის დამუშავებისა და სინთეზისა ინოვაციური მეთოდების გამოყენებით. შეეძლება საბიბლიოთეკო, საარქივო და სამუზეუმო ფონდებზე მუშაობა, სამეცნიერო შინაარსის

ტექსტების რედაქტირება, რეფერირება და რეცენზირება, პუბლიკაციისათვის ხელნაწერებისა და სამეცნიერო დოკუმენტების მომზადება, კომენტირება, ანოტირება.

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: 120 ECTS კრედიტი**

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერითი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს სრულ პროფესორ მარიკა ჯიქიას. ტელ: 231437 (ბინა); 220301 (სამსახური) ელ-ფოსტა: [marikajikia@hotmail.com](mailto:marikajikia@hotmail.com); [marinajikia@gmail.com](mailto:marinajikia@gmail.com)

**სამაგისტრო პროგრამის დასახელება:** ირანისტიკა

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** ირანისტიკის მაგისტრი / MA in Persian Studies

**სამაგისტრო პროგრამის მიზნები:**

1. სპარსული სალიტერატურო, სასაუბრო და პრესის ენის საფუძვლიანი შესწავლა; სპარსული დიალექტებისა და დიალექტოლოგიის თეორიული და პრაქტიკული საკითხების გაცნობა.
2. ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების საკითხების შესწავლა და ძველი და საშუალო ირანული ენების საფუძვლების დაუფლება.
3. სპარსული ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის საკითხების შესწავლა; სპარსული ლიტერატურის ძველი, კლასიკური და თანამედროვე პერიოდის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლების შემოქმედების გაცნობა.
4. ირანის ძველ რელიგიებსა და ისლამის საფუძვლებში გარკვევა.
5. ირანის ისტორიის წყაროების გაცნობა, რაც საშუალებას მისცემს მაგისტრანტს უკეთ გაიაზროს სპარსული ისტორიული აზრის ევოლუციის პროცესი.

**სწავლის შედეგები:**

მომზადდება ფართო პროფილის სპეციალისტი, რომელსაც ექნება პროფესიული ცოდნა როგორც სპარსულ ენასა და ლიტერატურაში, ისე ირანის ისტორიაში. პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას სპარსულ ენაზე, სპარსული წყაროებისა და ლიტერატურული ტექსტების წაკითხვას, თარგმნას და მათ პოეტიკურ, სტილისტურ და ენობრივ ანალიზს; მას ექნება დისკუსიაში მონაწილეობის, ესეებისა და რეცენზიების წერისა და პრეზენტაციების მომზადების უნარი.

- მაგისტრს მიღებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი სისტემური ცოდნა სპეციალობის განმსაზღვრელ ძირითად ზოგადთეორიულ და პრაქტიკულ დისციპლინებში იმ მოცულობით, რაც აუცილებელია კვალიფიკაციის მისაღებად დადგენილი სტანდარტების დასაძლევად. ასევე მას უნდა შეეძლოს დარგის მომიჯნავე სფეროებში გარკვევა.
- მაგისტრს უნდა ჰქონდეს ფუნდამენტური სამეცნიერო და პრაქტიკული მომზადება აღმოსავლური (სპარსული) ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სპეციალობით; გარდა მშობლიურისა უნდა იცოდეს რამდენიმე უცხო ენა: ინგლისური, ფრანგული ან გერმანული – კარგად, რუსული – საშუალოდ; უნდა შეეძლოს მიღებული მეცნიერული ცოდნის, უნარ-ჩვევების, მეცნიერული ორგანიზაციის პრინციპების პრაქტიკული გამოყენება კონკრეტული ანალიტიკური, სამეცნიერო-პრაქტიკული, პედაგოგიური, საინფორმაციო-ძიებითი, მეთოდოლოგიური და სხვა ამოცანების გადაწყვეტაში; სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს დაგეგმვა, ორგანიზება და ხელმძღვანელობა; ენობრივი და ლიტერატურული მოვლენებისა და პროცესების არსის და გენეზისის წვდომა და კრიტიკული შეფასება, მათი ანალიზი თანამედროვე სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით.
- მაგისტრის კომპეტენცია უნდა წვდებოდეს სხვადასხვა ისტორიული, ლიტერატურული და ლინგვისტური გამოკვლევებისა თუ კონცეფციების შეფასებას.
- მაგისტრს უნდა ჰქონდეს დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარების პირობებში სამეცნიერო ინფორმაციის ეფექტურად მოპოვების უნარი როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტის გამოყენებით, ასევე ამ ინფორმაციის დამუშავება და სინთეზი ინოვაციური მეთოდების გამოყენებით. მას უნდა შეეძლოს საბიბლიოთეკო, საარქივო და სამუზეუმო ფონდებზე მუშაობა, სამეცნიერო შინაარსის ტექსტების რედაქტირება, რეფერირება და რეცენზირება, პუბლიკაციისათვის ხელნაწერებისა და სამეცნიერო დოკუმენტების მომზადება, კომენტირება, ანოტირება და საავტორო კონტროლის განხორციელება მათ გამოცემაზე.

- დამოუკიდებლობა სამეცნიერო პრობლემების გადაჭრისას, კომუნიკაცია და ჯგუფური მუშაობის უნარი
- მაგისტრს უნდა ესმოდეს დარგი კონცეპტუალურ დონეზე, ჰქონდეს დამოუკიდებლად როგორც სამეცნიერო\_თეორიული, ისე პრაქტიკული მუშაობის უნარი, შეეძლოს კვლევის კრიტიკული შეფასება და პრობლემათა გადასაჭრელი ალტერნატიული მეთოდების შეთავაზება. მაგისტრს მოეთხოვება აკადემიურ და პროფესიულ სფეროებში თავისუფალი კომუნიკაცია და საკვლევ თემატიკაზე ჯგუფური პრინციპით მუშაობა როგორც რიგითი წევრის, ასევე შესაძლოა, ლიდერის როლში, ჯგუფის წევრთა შორის ამოცანათა ეფექტური განაწილება.

#### ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: 120 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერითი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

კონსულტაციისათვის მიმართეთ პროგრამის ხელმძღვანელს ასოცირებული პროფესორ მარინა ალექსიძეს: ტელ: 222597 /899 921647, ელ-ფოსტა: [marinalexidze@hotmail.com](mailto:marinalexidze@hotmail.com)

სამაგისტრო პროგრამის დასახელება: არაბისტიკა

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: არაბისტიკის მაგისტრი / MA in Arabic Studies.

**სამაგისტრო პროგრამის მიზნები:** დღევანდელ მსოფლიოში საზოგადოდ დღითიდღე მატულობს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ინტერესი აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ, რასაც განაპირობებს ამ ქვეყნების მზარდი პოტენციალი და როლი გლობალური პრობლემების გადაწყვეტაში. დღეს ორიენტალისტიკური კვლევითი და სასაწავლო ცენტრები იხსნება დასავლეთის იმ ქვეყნებში და უნივერსიტეტებში, სადაც აქამდე ასეთი ინტერესი არ არსებობდა. მთელს მსოფლიოში შეიმჩნევა მოთხოვნილების ზრდა აღმოსავლური ენების სპეციალისტებზე.

ქართული ორიენტალისტიკური სკოლა კი ცნობილი და აღიარებულია მსოფლიოში და ქართველი აღმოსავლეთმცოდნეები დღესაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ სამეცნიერო წრეებში. აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის სათავეებთან მდგომ დიდ ქართველ მეცნიერებს კარგად ჰქონდათ გააზრებული ამ სკოლის განვითარების გამორჩეული როლი. აღმოსავლეთთან მეზობლობა და მჭიდრო ურთიერთობა ბუნებრივად მოითხოვს ჩვენი ქვეყნისგან სათანადო პრობლემატიკისა და ცოდნის ფლობას, რაც აღმოსავლეთმცოდნეობას საქართველოსათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან დარგად აქცევს.

არაბული ენა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისწავლება დღიდან მისი დაარსებისა ჯერ ფილოლოგიის ფაკულტეტის ფორმატში (აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი), 1945 წლიდან კი, ქართველ ორიენტალისტთა ინიციატივით გახსნილ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ორივე განყოფილებაზე – აღმოსავლური ფილოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების. აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ტრადიციულად მზადდებოდნენ არაბისტი-აღმოსავლეთმცოდნე (და ქართველოლოგი) ფილოლოგები და არაბული ქვეყნების ისტორიის სპეციალობის ქვეყანათმცოდნე-ისტორიკოსები.

მიმდინარე სამაგისტრო პროგრამა ორგანული გაგრძელებაა ამჟამად მოქმედი საბაკალავრო major პროგრამისა არაბისტიკაში. იგი მოამზადებს არაბისტიკის მაგისტრს, რომელსაც ეძლევა ფილოლოგიური, ისტორიოგრაფიული, ქვეყანათმცოდნეობითი კომპეტენციები. პროგრამა შეინარჩუნებს და გაამდიერებს ქართული ორიენტალისტიკური სამეცნიერო სკოლის ტრადიციებს და მოამზადებს მაგისტრებს როგორც საკუთრივ არაბისტიკული, ისე ქართველოლოგიური კვლევებისთვის.

ამასთან პროგრამაში ასახულია დარგისთვის წაყენებული თანამედროვე მოთხოვნებიც – სათარჯიმნო, პოლიტოლოგიური, დიპლომატიური და ა.შ. სპეციფიკის გათვალისწინებით.

**სწავლის შედეგები:** მიმდინარე სამაგისტრო პროგრამით მომზადებული მაგისტრი უნდა იყოს ერუდირებული სპეციალისტი, მიღებული ჰქონდეს შესაბამისი სისტემური ცოდნა სპეციალობის განმსაზღვრელ ძირითად ზოგადთეორიულ და პრაქტიკულ დისციპლინებში იმ მოცულობით, რაც აუცილებელია კვალიფიკაციის მისაღებად დადგენილი სტანდარტების დასაძლევად. ასევე მას უნდა შეეძლოს დარგის მომიჯნავე სფეროებში გარკვევა.

მაგისტრს უნდა ჰქონდეს ფუნდამენტური სამეცნიერო და პრაქტიკული მომზადება, სრულყოფილად ფლობდეს არაბისტიკის სპეციალობას, უნდა შეეძლოს მიღებული მეცნიერული ცოდნის, უნარ-ჩვევების პრაქტიკული გამოყენება. მაგისტრის კომპეტენცია უნდა წვდებოდეს სხვადასხვა ლიტერატურული, ლინგვისტური და ისტორიოგრაფიული გამოკვლევებისა თუ კონცეფციების შეფასებას.

მაგისტრს უნდა ჰქონდეს უნარი სამეცნიერო ინფორმაციის ეფექტურად მოპოვებისა როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტის გამოყენებით, ასევე ამ ინფორმაციის დამუშავება და სინთეზი ინოვაციური მეთოდების გამოყენებით.



მას უნდა შეეძლოს საბიბლიოთეკო, საარქივო და სამუზეუმო ფონდებსა და წყაროებზე მუშაობა, სამეცნიერო შინაარსის ტექსტების რედაქტირება, რეფერირება და რეცენზირება, პუბლიკაციისათვის ხელნაწერებისა და სამეცნიერო დოკუმენტების მომზადება, კომენტირება, ანოტირება.

მაგისტრს უნდა ესმოდეს დარგი კონცეპტუალურ დონეზე, შესწევდეს დამოუკიდებლად როგორც სამეცნიერო\_თეორიული, ისე პრაქტიკული მუშაობის უნარი. მაგისტრს შეეძლება სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში.

### **ცოდნა და გაცნობიერება**

1.1. არაბული ენის ზოგად-თეორიული ასპექტების ცოდნა; არაბული მორფოლოგიისა და სინტაქსის პრინციპების სისტემური ცოდნა; შუა საუკუნეების არაბული ენათმეცნიერული ნააზრევის და არაბ და ევროპელ ენათმეცნიერთა უახლესი ნაშრომების, მათი სამეცნიერო მიღწევების ცოდნა.

1.2. შუა საუკუნეების არაბულ პოეტურ ძეგლთა მხატვრულ-გამომსახველობით ხერხთა შესწავლა, ამ ძეგლთა სახისმეტყველების საერთო ტენდენციების ანალიზი, კერძოდ, ამ პოეზიის მეტაენის კვლევა \_ მყარი მეტაფორების, ე.წ. მუდმივი ეპითეტების, სიმბოლო-ფორმულების და სხვ. და მათი ინტერპრეტაცია.

1.3. შუა საუკუნეების არაბული პროზის სტრუქტურული მოდელების შესწავლა, (კომპოზიციისა და სტრუქტურის პრობლემების განხილვა), მისი ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის, სტილისტურ თავისებურებებში გარკვევა (მათ შორის თავისუფალი და გარითმული პროზის).

1.4. ყურანის, როგორც ლიტერატურული ძეგლის შესწავლა და მისი, როგორც საღვთო წიგნისა და ისლამური იდეოლოგიის საფუძვლის გააზრება. ყურანის ანალიზი ენობრივ, მხატვრულ, ისტორიულ-პოლიტიკურ დონეებზე. ყურანის შუა საუკუნეების არაბ კომენტატორების ნააზრევის ცოდნა.

1.5. ისლამური სამართლის თეორიისა და პრაქტიკის საბაზისო ცოდნა. ისლამური სამართლის არაბული ტერმინების ცოდნა; ისლამური სამართლის ძირითადი დარგების საბაზისო ცოდნა; ისლამური სასამართლო სისტემის საფუძვლების ცოდნა.

1.5. არაბულ დიალექტთა გავრცელების არეალისა და არაბულ დიალექტთა კლასიფიკაციის პრინციპების ცოდნა; ეგვიპტური არაბული დიალექტის დამახასიათებელ ნიშნებში გარკვევა (ფონოლოგიის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკის სფეროში) და მისი პრაქტიკული ათვისება.

1.6. ზოგადსემიტოლოგიური განათლების გასაღრმავებლად მეორე სემიტური ენის (ებრაულის, და არჩევის შემთხვევაში, სირიულის) თეორიულ (ენის სტრუქტურის) დონეზე ათვისება.

1.7. თანამედროვე არაბული პრესის სხვადასხვა თემატიკის (პოლიტიკური პრესა, ეკონომიკა, კონფლიქტოლოგია, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მიმართულება) მყარი ლექსიკური შესიტყვებების და კონსტრუქციების ცოდნა და მათი სემანტიკური ანალიზი. თანამედროვე დიპლომატიური და პოლიტიკური ტერმინოლოგიისა და ფრაზეოლოგიის ცოდნა და შესაბამისი დოკუმენტების ანალიზის უნარი ენობრივი თვალსაზრისით.

1.8. სათარჯიმნო დოკუმენტაციის და საქმიანი მიმოწერის არაბულიდან ქართულად და პირუკუ თარგმნის უნარი; საქმიანი საუბრების არაბულიდან ქართულად და პირუკუ სათარჯიმნო პრაქტიკის უნარ-ჩვევები.

1.9. თანამედროვე არაბული ლიტერატურის ძირითადი ტენდენციებისა და მიმართულებების ცოდნა, თანამედროვე არაბულ ლიტერატურაზე დასავლური ლიტ. გავლენებისა და მასში კლასიკური არაბული ლიტერატურული მემკვიდრეობის ნაკვალავის ანალიზის უნარი.

1.10. კლასიკური არაბული ლექსთწყობის (არუდის) არაბული თეორიის ცოდნა და არაბული ლექსთწყობის სისტემის ანალიზი თანამედროვე ლექსთმცოდნეობის კვლევის მეთოდების ცოდნით.

1.11. არაბული ისტორიოგრაფიის განვითარების კანონზომიერების, თავისებურებებისა და შედეგების საბაზისო ცოდნა; არაბული წყაროთმცოდნეობის თეორიული პრობლემატიკის, თითოეულ ჟანრის ცალ-ცალკე და ასევე კონკრეტული ძეგლების სისტემური ცოდნა; არაბული წყაროების ურთიერთშეჯერება, კრიტიკული შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ჩამოყალიბება; არაბთა ბატონობის ხანის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საბაზისო ცოდნა.

1.12. არაბულ ქვეყნებში ისლამური ფუნდამენტალისტური მოძრაობის, ისლამური ექსტრემიზმის საბაზისო ცოდნა; რელიგიური ფაქტორის როლის გაცნობიერება თანამედროვე არაბული ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში; ისლამისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთმიმართების ძირითადი საკითხების გაცნობიერება; ისლამის პოლიტიზაციის პროცესების ანალიზი; ანტიტერორისტული კანონმდებლობისა და რადიკალურ ისლამთან ბრძოლის სხვადასხვა საშუალებების ცოდნა.

### **პრაქტიკული უნარები:**

2.1. ფუნდამენტური სამეცნიერო ცოდნის საფუძვლები არაბისტიკულ დისციპლინებში. დარგის ფლობა კონცეპტუალურ დონეზე.

2.2. სამეცნიერო ინტერესთა სფეროს შერჩევისა და სამეცნიერო კვლევის წარმართვის უნარი აღმოსავლური და, კერძოდ, არაბისტიკული კვლევების ასპექტებიდან, კერძოდ, ლინგვისტური (მორფოლოგიურ-სინტაქსური), შუა საუკუნეების და თანამედროვე არაბული პოეზიისა და პროზის, ლიტერატურის ისტორიის და თეორიის, პოეტიკის, ვერსიფიკაციის, ყურანისა და ისლამოლოგიის პრობლემატიკიდან. არაბული ისტორიული წყაროების ანალიზის უნარი, რომლებიც საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საფუძველს წარმოადგენენ. თანამედროვე არაბულ ქვეყნებში მიმდინარე რელიგიური პროცესების ანალიზის უნარი. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში რელიგიური ფაქტორის როლის განსაზღვრა ექსპერტის დონეზე.

2.3. მიღებული მეცნიერული ცოდნის, უნარ-ჩვევების, მეცნიერული საქმიანობის ორგანიზაციის პრინციპების პრაქტიკული გამოყენება კონკრეტული ანალიტიკური, სამეცნიერო-პრაქტიკული, საინფორმაციო-ძიებითი, მეთოდური და სხვა ამოცანების გადაწყვეტაში.

2.4. ენობრივი, ლიტერატურული, ისტორიული მოვლენებისა და პროცესების არსის და გენეზისის წვდომა და კრიტიკული შეფასება, მათი ანალიზი თანამედროვე სამეცნიერო კვლევის მეთოდების გამოყენებით. ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების განზოგადებისა და ისტორიულ კონტექსტში განხილვის უნარი.

2.5. სხვადასხვა ლიტერატურული, ლინგვისტური და ისტორიოგრაფიული გამოკვლევებისა თუ კონცეფციების კრიტიკული შეფასება. სადაო პროფესიულ საკითხებზე ექსპერტის სტატუსით ჩართვის უნარი.

2.6. საარქივო და სამუზეუმო ფონდებზე მუშაობა, სამეცნიერო შინაარსის ტექსტების რედაქტირება, რეფერირება და რეცენზირება, პუბლიკაციისათვის ხელნაწერებისა და სამეცნიერო დოკუმენტების მომზადება, კომენტირება, ანოტირება.

### ტრანსფერული უნარები:

3.1. კოგნიტური და მეთოდოლოგიური უნარები: სინთეზი და ანალიზი  
მინიმალური დახმარების პირობებში დამოუკიდებლად როგორც სამეცნიერო\_თეორიული კვლევის, ისე პრაქტიკული მუშაობის უნარი. სხვადასხვა წყაროს კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი.

### 3.2. სოციალური უნარები

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს დაგეგმვა, ორგანიზება და ხელმძღვანელობა.

### 3.3. სისტემური უნარები

ფაქტობრივი და ემპირიული მასალის ანალიზის, ურთიერთდაკავშირებისა და განზოგადების უნარი. პრობლემის სინქრონიაში და დიაქრონიაში ანალიზის უნარი; სიტუაციაში ადაპტირების და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი.

### 3.4. საკომუნიკაციო უნარები

პროფესიულ წრეებში თავისუფალი კომუნიკაციის უნარი. კონკრეტული, ვიწროდარგობლივი მონაცემების გააზრება როგორც ლინგვისტური, ისე ლიტერატურის თეორიისა და ისტორიულ-კულტუროლოგიური მონაცემების კონტექსტში.

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:** 120 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერითი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუფროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

კონსულტაციისათვის მიმართეთ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს სრულ პროფესორ აპოლონ სილაგაძეს, ელ.ფოსტა: [apolon.silagadze@tsu.ge](mailto:apolon.silagadze@tsu.ge)

**სამაგისტრო პროგრამის დასახელება:** ებრაულ-არამეული ფილოლოგია

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** ფილოლოგიის მაგისტრი / MA in Philology

**სამაგისტრო პროგრამის მიზნები:** ებრაისტიკა-არამეისტიკა აღმოსავლეთმცოდნეობის, კერძოდ სემიტოლოგიის ტრადიციული დარგია, როგორც მსოფლიოს წამყვან ორიენტალისტურ ცენტრებში, ასევე საქართველოში. მსოფლიოს რეალური თუ პროგნოზირებადი განვითარება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს აზიისა და ჩრდილოაფრიკულ კვლევებს ისტორიულ, კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ასპექტში, რეგიონული და გლობალური, ტრადიციული და თანამედროვე თვალსაზრისით.

სრულიად განსაკუთრებულია საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან. განუზომლად დიდია ებრაული და არამეული ენების მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის, რაც მეტად თვალსაჩინო გახდა მცხეთის არქეოლოგიური გათხრების შედეგად. ცხადია, როგორც ებრაულის, ისე არამეული ენების შესწავლა ქართველოლოგიის პრინციპებიდან გამომდინარეობს. ამ ენების შესწავლისადმი ინტერესი არის არა მხოლოდ საკუთრივ ებრაული თუ არამეული ენების სტრუქტურისა და ისტორიის კვლევა, არამედ მათი შესწავლა უწინარესად იმდენად, რამდენადაც ეს სჭირდება ჩვენი კულტურის ისტორიას, იქნება ეს ქართული ენის, ქართული დამწერლობის ისტორია თუ ქართული კულტურის ისტორიის საკითხები.

მსოფლიო აღმოსავლეთმცოდნეობა ამჟამად ახალ ეტაპზე გადის. გლობალიზაციის ეპოქა, თავისი ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილი პოზიტივითა და ნეგატივით, ახალი შინაარსით ავსებს როგორც მსოფლიო, ისე ქართულ აღმოსავლეთმცოდნეობას და ეს ვითარება აუცილებლად გასათვალისწინებელია. დღეს აღმოსავლეთის ქვეყნებს (მათ შორის ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს) აქვთ პლანეტის მომავალზე გავლენის დიდი პოტენციალი. ამიტომ აღმოსავლეთმცოდნეობის ზოგადად, და კერძოდ სემიტოლოგიის მნიშვნელობა კარგა ხანია გასცდა «აკადემიური ცნობისმოყვარეობის» ჩარჩოებს, დღეს ის - სტრატეგიული მეცნიერებაა.

საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებში აქტიური ჩართვა გარკვეულწილად განაპირობებს აღმოსავლეთმცოდნეთა, მათ შორის ებრაისტიკა-არამეისტიკის მომავალი თაობისათვის, როგორც ტრადიციული, ისე თანამედროვეობის შესაბამისი განათლების მიღებას.

სამაგისტრო პროგრამის აქტუალობას უდავოდ განაპირობებს საქარველოში მნიშვნელოვანი ებრაული და არამეული დიასპორების არსებობა.

**სწავლის შედეგები:** სამაგისტრო პროგრამა ვარაუდობს ბაკალავრიატში მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაღრმავებასა და დახვეწას სათანადო საგნების დაუფლებით, რაც კარგ საფუძველს მისცემს სამეცნიერო, კერძოდ, სემიტოლოგიის დარგში მომუშავე მაგისტრს. პროგრამა საშუალებას აძლევს მაგისტრანტს იმისათვის, რომ მისი სამეცნიერო და პრაქტიკული ინტერესები, რაც შეიძლება ფართო იყოს სპეციალიზაციის შესაძლებლობებთან ერთად.

- პროგრამაში წარმოჩენილია არცთუ ვიწრო სფერო, რომელიც შეთავაზებულია მაგისტრანტებისათვის. ესენია: ზოგადი ბიბლიისტიკა ქართულ პრობლემატიკასთან ერთად (ბიბლიის ქართული თარგმანის ძველი პლასტები), ებრაულ-არამეული ენების სტრუქტურა, სემიტურ-ქართული ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობანი, არამეული ეპიგრაფიკა საქართველოში, არამეული კულტურის კერები და ადრექრისტიანული პრობლემატიკა, იუდაიზმი, ებრაული კულტურა დიასპორებში, თანამედროვე ებრაული ენა და ლიტერატურა, ტექსტოლოგია და ტექსტუალური კრიტიკა.
- სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს ებრაულ-არამეული ენებისა და ლიტერატურის სფეროში შეძენილი ცოდნის გამოყენებას კონკრეტული სამეცნიერო--

პრაქტიკული, საინფორმაციო-ძიებითი, მეთოდური და სხვა ამოცანების გადაწყვეტი-სას; სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს დაგეგმვას, ორგა-ნიზებასა და წარმართვას.

- სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის საფუძველზე კომპარატივისტული და ტიპოლოგიური მეთოდების გამოყენებით სემიტური ენების და ლიტერატურული ძეგლების კვლევას. მომიჯნავე დარგების მონაცემების მოხმობას სემიტური ენათმეცნიერებისა და ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურული კონტაქტების შესწავლასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების საკვლევად და გადასაჭრელად.
- მაგისტრატურის კურსის ფარგლებში მიღებული კომპეტენციის საფუძველზე სემიტოლოგიური პრობლემის გადაჭრას და გადაწყვეტილების მიღებას, დროის სწორად გამოყენებას, ჯგუფში, მათ შორის ინტერდისციპლინარულ კვლევებზე ორიენტირებულ, სამეცნიერო ჯგუფში მუშაობას;
- ეფექტიან მუშაობას დამოუკიდებლად და ჯგუფში, როგორც წევრის, ისე ხელმძღვანელის როლში; შეეძლება ამოცანების მკაფიოდ ჩამოყალიბება, ჯგუფის სხვა წევრთა შესაძლებლობების სწორად გამოყენება, კონფლიქტური სიტუაციების აცილება;
- სასწავლო რესურსების სრული სპექტრის გამოყენებას; კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვასა და მის განხორციელებას უახლეს მეთოდებსა და მიდგომებზე დაყრდნობით;
- მაგისტრანტს კურსის დასრულების შემდეგ ეცოდინება და თავისუფლად გამოიყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, ექნება მულტიმედიური კომპეტენცია, რომელიც ხელს შეწყობს სემიტოლოგიური პრობლემატიკის კვლევისას მათ შემოქმედებით და კრიტიკულ გამოყენებას. მაგისტრს შეუძლია სწავლა განაგრძოს დოქტურანტურაში.

#### ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: 120 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერიტი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს ასოცირებულ პროფესორ მარიამ ჩაჩიბაიას ტელ: 23-33-75 , ელ.ფოსტა: [marika\\_chachibaia@yahoo.com](mailto:marika_chachibaia@yahoo.com)

**სამაგისტრო პროგრამის დასახელება:** განათლების მეცნიერებები  
პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს 3 სასპეციალიზაციო მოდულს:

1. განათლების სფეროს ხელმძღვანელობა და მართვა;
2. განათლების პოლიტიკა;
3. საშუალო და უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** განათლების მაგისტრი/ Master in Education (M.Ed)

**სამაგისტრო პროგრამის მიზნები:**

საზოგადოების განვითარების შესაბამისად, ქვეყნის განათლების სისტემა პერმანენტულად იცვლება და ვითარდება. განათლების სისტემაში ცვლილებების გონივრულ გატარებას შესაბამისი დარგის სპეციალისტები ესაჭიროება. მით უფრო საჭიროა ასეთი სპეციალისტების მომზადება ჩვენი ქვეყნისათვის, ვინაიდან საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის პროცესები აუცილებლობით აყენებს მისი განათლების სისტემის ძირეულ ცვლილებებს. წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს ისეთი უნარებით აღჭურვილი სპეციალისტის მომზადება, რომელიც წარმატებით გაუძღვება ქვეყნის განათლების სისტემაში მიმდინარე სერიოზულ ცვლილებებს და ამასთანავე მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს პედაგოგიკის მეცნიერების განვითარების საქმეში.

**სწავლის შედეგები:**

**ცოდნა და გაცნობიერება**

**პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა უნდა იცოდეს:**

- პედაგოგიკურ/ფსიქოლოგიური დისციპლინები;
- მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემების აგების პრინციპები;
- საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა;
- საგანმანათლებლო სივრცეში არსებული აკრედიტაციისა და ევალუაციის მოდელები;
- ბოლონიის პროცესის ამსახველი დოკუმენტები;
- ზოგადი და უმაღლესი განათლების მეთოდოლოგიური საფუძვლები და თანამედროვე ტექნოლოგიები;
- ქვეყნის განათლების სისტემის საკანონმდებლო ბაზა;
- პედაგოგიური კვლევის მეცნიერული მეთოდები;
- განათლების ეკონომიკისა და მართვის ძირითადი პრინციპები;
- განათლების ისტორია;
- ზრდასრულთა განათლების საკითხები;
- განათლების პოლიტიკის სფეროსთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები და თეორიები.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება**

**პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:**

- საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის ხედვა მსოფლიო კონტექსტში;
- ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამის საკანონმდებლო ბაზის შექმნაში მონაწილეობის მიღება;
- საგანმანათლებლო სისტემის ყველა დონეზე განათლების ხარისხის შეფასება;
- მეცნიერული კვლევის დაგეგმვა და განხორციელება;
- ტრენინგ-კურსებისა და სემინარების ორგანიზება და გაძღვლა;
- კონკრეტული საგანმანათლებლო ობიექტის მიზნისა და მისი განსაზღვრა, ხელმძღვანელობა და მართვა;
- საგანმანათლებლო დოკუმენტაციის დამუშავება;
- სხვადასხვა კონტექსტში უმაღლესი განათლების პრობლემების თანამშრომლობით გადაწყვეტა, პერსონალური და ფართო ავტონომიური ინიციატივების გამოჩენა;



- უმაღლესი განათლების მმართველობის სფეროსთან ინსტიტუციურ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე საკუთარი პრაქტიკული და კვლევითი საქმიანობის ადაპტირება.

**ზოგადი უნარები**

**პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს:**

- საგანმანათლებლო კონცეფციების, თეორიებისა და პოლიტიკის საკითხების სისტემური ანალიზის უნარი;
- დარგობრივი ცოდნის ასპექტებისა და საგანმანათლებლო პოლიტიკაში მათ გამოყენებას შორის პოტენციური კავშირების იდენტიფიცირების უნარი;
- პროფესიულ სფეროში პრობლემების ხედვისა და მისი გადაწყვეტის უნარი;
- სასწავლო პროცესის კომპლექსურობისა და მოსწავლეთა მრავალფეროვნების აღიარებისა და პროცესის ორგანიზების უნარი;
- საგანმანათლებლო სისტემების სტრუქტურისა და შესამაბისი მიზნების ანალიზის უნარი;
- პროფესიულ სფეროში კომუნიკაციის ყველა ფორმის გამოყენების უნარი;
- კონსულტირებისა და ექსპერტიზის უნარი;
- საგანმანათლებლო სისტემების ყველა დონეზე განათლების ხარისხის შეფასების უნარი;
- სამუშაოს დამოუკიდებლად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი საკუთარი და ჯგუფის სხვა წევრების შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების, ინფორმაციის პროფესიულ დონეზე დამუშავების უნარი;
- პროფესიულ ჯგუფში მუშაობის უნარი, როგორც წევრის, ასევე ლიდერის როლში;
- სხვადასხვა კონტექსტში საგანმანათლებლო კვლევის განხორციელების უნარი;
- საგანმანათლებლო პროგრამების მართვის უნარი;
- ახალი საგანმანათლებლო საჭიროებებისა და მოთხვნების დანახვის/განჭვრეტის უნარი;
- მულტიდისციპლინარული საგანმანათლებლო ჯგუფის კოორდინირების უნარი;
- საკუთარი საქმიანობის რეფლექსიის, შეფასებისა და თვითკრიტიკის უნარი.

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: 120 ECTS კრედიტი**

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერითი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX

0-40	ჩაიჭრა	F
------	--------	---

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს სრულ პროფესიო ქეთევან ჭკუასელს მაილზე: [ketevan.chkuaseli@tsu.ge](mailto:ketevan.chkuaseli@tsu.ge)

**სამაგისტრო პროგრამის დასახელება:** მასწავლებელთა განათლება

სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს 5 სასპეციალიზაციო მოდულს საგნობრივი მიმართულების მიხედვით:

1. ქართული ენა და ლიტერატურა;
2. მათემატიკა;
3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
4. ისტორია, გეოგრაფია და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებები;
5. უცხოური ენები

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** განათლების მაგისტრი / MA in Education

**სამაგისტრო პროგრამის მიზნები:** ქვეყანაში მიმდინარე განათლების რეფორმა საჭიროებს ახალი, პრინციპულად განსხვავებული მასწავლებლის მომზადებას. ასეთ მასწავლებელს უნდა გააჩნდეს ისეთი უნარები, როგორცაა ლიდერობა, ინიციატიურობა, შემოქმედებითობა, სასწავლო პროგრამისა და გეგმის განვითარების დამოუკიდებელი ხედვა, მოსწავლითა სწავლისადმი მოტივირება და სხვა. ამასთან, ამ ტიპის მასწავლებელი უნდა ფლობდეს მეთოდისტ-მასწავლებლის უნარებსაც, რომელზეც განსაკუთრებული აქცენტი, კეთდება განათლების კანონში. ბუნებრივია, ასეთი კადრის მომზადება მოითხოვს სპეციალურ სასწავლო პროგრამას, რომელშიც ასახული იქნება თანამედროვე მოთხოვნები მასწავლებლისა და დარგის მეთოდის სპეციალისტის მიმართ, და რომელიც შესაბამისობაში იქნება მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცესთან. ამ უნარების განვითარებას ემსახურება წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა.

**ბ) სწავლების შედეგები:**

**ცოდნა და გაცნობიერება**

**კურსის დასრულების შემდეგ მაგისტრანტმა უნდა იცოდეს:**

- მეთოდოლოგიურ/ფსიქოლოგიური დისციპლინების (პროფესიული სტანდარტი);
- სასწავლო პროცესში მოზარდის უფლებებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხები;
- ზოგადი განათლების თანამედროვე ტექნოლოგიები;
- კვლევის მეცნიერული მეთოდები;
- სასწავლო დისციპლინების სწავლების მეთოდოლოგია;
- ქვეყნის განათლების სისტემის საკანონმდებლო ბაზა;
- პროფესიულ-ეთიკური ნორმები;
- მშობლებთან თანამშრომლობის ფორმები;
- უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროების შესახებ.
- სასწავლო დისციპლინა (საგნობრივი სტანდარტი)

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება**

**პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:**

- სასწავლო საგნობრივი პროგრამის ანალიზი და დაგეგმვა;
- საგნის სწავლების პრობლემების განსაზღვრა და დამოუკიდებლად გადაწყვეტა;
- საგნის სწავლების მეთოდოლოგიური საფუძვლის და შესაბამისი ტექნოლოგიის შერჩევა
- სწავლება/სწავლის პროცესის მრავალფეროვანი მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენება;

- შეფასების სისტემის მეთოდების მორგება კონკრეტულ სასწავლო სიტუაციასთან;
- სასწავლო პროცესის მიზანმიმართული დაგეგმვა და მართვა;
- სასწავლო თემატიკის შერჩევა აღმზრდელობითი მიზნებიდან გამომდინარე;
- კლასგარეშე მუშაობის მიზნობრივად წარმართვა;
- სასწავლო-სააღმზრდელი პროცესში ინკლუზიის სწორად განხორციელება;
- პროფესიულ-ეთიკური ნორმების დაცვა;
- ტრეინინგ-კურსებისა და სემინარების ორგანიზება და გაძღოლა;
- სასწავლო პროცესში მშობლებთან და კოლეგებთან თანამშრომლობა.

### ზოგადი უნარები

#### პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრანტს უნდა ჰქონდეს:

- სასწავლო პროცესში არსებული ვითარების კრიტიკული ანალიზის, პრობლემის განსაზღვრის და უახლესი მონაცემების გამოყენებით მისი გადაჭრის უნარი;
- სამუშაოს დამოუკიდებლად დაგეგმვის და ორგანიზების უნარი საკუთარი და ჯგუფის სხვა წევრების შესაძლებლობის გათვალისწინებით;
- პროფესიულ დონეზე კომუნიკაციის ყველა ფორმის გამოყენების უნარი;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი, ინფორმაციის პროფესიულ დონეზე დამუშავების უნარი;
- პროფესიულ ჯგუფში ეფექტური მუშაობის უნარი, როგორც წევრის, ასევე ლიდერის როლში;
- კონფლიქტური სიტუაციების მოგვარების უნარი;
- სასწავლო რესურსების სრული სპექტრის გამოყენების უნარი;
- პროფესიული კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და ჩატარების უნარი;
- საკუთარი საქმიანობის რეფლექსიის, შეფასებისა და თვითკრიტიკის უნარი;
- პროფესიულ პრაქტიკაში ინიციატივის უნარი.

#### ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: 120 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერიტი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუფროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX

0-40	ჩაიჭრა	F
------	--------	---

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს ასოც. პროფესორი ი. მინდაძეს ელ-ფოსტაზე: [iva.mindadze@tsu.ge](mailto:iva.mindadze@tsu.ge)

**სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება:** კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა /  
Cultural Heritage and Modernity

სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს სწავლების სამ მოდულს:

1. ძველი ხელოვნება;
2. ახალი და თანამედროვე ხელოვნება;
3. მუზეუმმცოდნეობა

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია:**

ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი, მუზეუმმცოდნეობის მაგისტრი  
MA in Art History and Theory, MA in Museology

**პროგრამის მიზნები:**

პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულებს მისცეს საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი ცოდნა ძველი ხელოვნების, თანამედროვე ხელოვნების, მუზეუმმცოდნეობისა და არტ მენეჯმენტის სპეციალობით; ჩამოაყალიბოს ფართო ერუდიციის მქონე სპეციალისტად.

საქართველო ევროპასთან ინტეგრაციის გზით ვითარდება, რაც ხელოვნებათმცოდნეობითი, მუზეუმმცოდნეობითი და არტ მენეჯმენტის სპეციალიზაციის გაფართოვების წინაპირობას ქმნის. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ამგვარი მიდგომა მაქსიმალურად არის გათვალისწინებული.

სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ განავითარონ კვლევითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევები და მოემზადონ სწავლის გასაგრძელებლად შემდგომ აკადემიურ საფეხურზე ან დამოუკიდებელი პრაქტიკული და სამეცნიერო მუშაობისათვის.

სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს სწავლების სამ მოდულს. პროგრამის ფარგლებში თითოეული მოდული ითვალისწინებს როგორც ვიწრო სპეციალიზებული, ისე საერთო საგნების სწავლებას. ამასთანავე, დამატებით გათვალისწინებულია საგნები ჰუმანიტარული ფაკულტეტის სხვა სამაგისტრო პროგრამებიდან რაც პროგრამას „კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა“ ინტერდისციპლინარულ ხასიათს ანიჭებს.

დღევანდელ საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა და დაცვა ქვეყნის პრიორიტეტს წარმოადგენს, რაც თავისთავად განაპირობებს სამაგისტრო პროგრამის პირველი მოდულის აქტუალობას და თანამედროვე მოთხოვნებთან შესატყვისობას. მოდულის კონცეპცია და საგნების შერჩევის პრინციპი უზრუნველყოფს პროფესიული ცოდნის მიღებას და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებას. მოდული აერთიანებს ძველი ხელოვნების სხვადასხვა დარგებს, ამასთანავე მასში გათვალისწინებულია როგორც ვიწრო სპეციალიზირებული, ისე ზოგადკულტუროლოგიური საგნები.

თანამედროვე სახვითი და ვიზუალური ხელოვნების შესწავლა აუცილებელია ქართველი სპეციალისტების ინტეგრაციისათვის თანამედროვე დასავლეთის სამეცნიერო და სახელოვნებო სივრცეში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ქართული კულტურის პოპულარიზაციას. შესაბამისად, პროგრამის მეორე მოდული სტუდენტებს სთავაზობს სასწავლო კურსს ახალ და თანამედროვე ხელოვნებაში. პროგრამა მოიცავს ხელოვნების ისტორიის სხვადასხვა დარგებსა და მიმართულებებს XIX საუკუნიდან XXI საუკუნის აქტუალური ხელოვნების ჩათვლით.

პროგრამის მესამე მოდული ითვალისწინებს თანამედროვე სამუზეუმო სტანდარტების შესაბამისად სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც შეისწავლიან სამუზეუმო ფასეულობებსა და მოდელებს და, შესაბამისად, შეძლებენ სხვადასხვა ტიპის მუზეუმში მუშაობას. ეს მოდული ინოვაციური ხასიათისაა და მოიცავს სამუზეუმო მოღვაწეობის ყველა ასპექტს – როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ სამუშაოებს. მოდული ინტერდისციპლინარულია და აღმოსავლეთმცოდნეობის, ეთნოლოგიის, არქეოლოგიის, გეოგრაფია-გეოლოგიის მაგისტრატურის სტუდენტებს სთავაზობს ასევე კონცენტრირებულ (მიზნობრივ) სწავლებას მუზეოლოგიაში.

**სწავლის შედეგები:****ცოდნა და გაცნობიერება**

1. ხელოვნების ფენომენის, მისი განვითარების ზოგადი და სპეციფიკური კანონზომიერებების ცოდნა.
2. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რაობის, მისი დაცვის და ადაპტაციის პრობლემების ცოდნა; კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის გაცნობიერება საქართველოს სახელმწიფოს განვითარების კონტექსტში.
3. მუზეუმების სოციალური და კულტურული ასპექტების, სამუზეუმო სტრუქტურების ფუნქციონირების, მუზეუმმცოდნეობის თანამედროვე თეორიებისა ცოდნა.
4. ღრმა ცოდნა სამაგისტრო პროგრამის არჩეული მოდულის შესაბამის საგნებში.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/პრაქტიკული უნარები**

1. კულტურული მემკვიდრეობისა და თანამედროვე ხელოვნების სფეროში ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების უნარი.
2. თანამედროვე ეპოქაში მხატვრული შემოქმედების კვლევასა და მართვის პრობლემების წარმოჩენისა და პრიორიტეტულობის მიხედვით მათი რანგირების უნარი.
3. კულტურისა და ხელოვნების დარგში არსებული პრობლემების გადაწყვეტის ოპტიმალური, რეალური განხორციელების გზების ძიების უნარი.
4. კულტურული მემკვიდრეობისა და ხელოვნების კვლევასა და მართვასთან დაკავშირებული კონკრეტული, პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის უნარი.
5. მეთოდოლოგიურ უნარ-ჩვევები, კვლევითი ტექნიკა და ყველა სხვა უნარ-ჩვევა პროფესიული პოზიციებით განპირობებული სამუშაოს შესრულებისათვის.
6. ინტეგრირების, დაგეგმარებისა და პრობლემების გადაწყვეტის, ლოგიკური აზროვნებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის უნარი დისციპლინის ინტერპრეტაციულ მეთოდოლოგიასთან კავშირში.
7. უნარ-ჩვევებს და ცოდნის ისეთ ხარისხი, რომელიც სტუდენტს სპეციალობის შესაბამისი პოზიციის დაკავების ან შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას მისცემს.

**ზოგადი/ტრანსფერული უნარები:**

1. კულტურული მემკვიდრეობისა და თანამედროვე ხელოვნების არსში წვდომის უნარი.
2. კულტურული მემკვიდრეობისა და თანამედროვე ხელოვნების სფეროში მიღებული უნარის გამოყენება მათი შესწავლისა და მართვის პრობლემების გადასაჭრელად.
3. აუდიტორიის წინაშე საკუთარი დაკვირვებების, მოსაზრებებისა და არგუმენტების წარმოჩენის, ლოგიკური დასაბუთების უნარი.
4. ვიზუალური მასალისა და ტექსტის ღრმა ცოდნა და ანალიზის უნარი.

**ტექნოლოგიური უნარები:**

1. კულტურული მემკვიდრეობისა და თანამედროვე ხელოვნების შესახებ ვიზუალური და ტექსტური ინტერნეტ რესურსების გამოყენება.
2. Power Point-ში პრეზენტაციისა, აქციის მომზადება და განხორციელება.

**ლინგვისტური უნარები**

1. პროფესიულ დონეზე მშობლიურ ენაზე, ასევე რომელიმე ევროპულ ენაზე, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი.
3. საკუთარი მოსაზრების საჯარო პრეზენტაციას და არგუმენტირებული დასაბუთების უნარი.

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: 120 ECTS კრედიტი**

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერითი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით.

დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის კოორდინატორს სრულ პროფესორ ზაზა სხირტლაძეს, ელ ფოსტა: [zazaskhirtladze@hotmail.com](mailto:zazaskhirtladze@hotmail.com), ტელ: 899 90 43 34

**სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება:** სახვითი ხელოვნება და დიზაინი

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია:** ხელოვნების მაგისტრი /Master of Fine Art (MFA)

**პროგრამის მიზნები:** პროგრამის მიზანია ბაკალავრიატის ოთხწლიანი სასწავლო პროგრამის შემდეგ აამაღლოს მომავალი სპეციალისტის კვალიფიკაციის დონე უკვე მიღებული ცოდნისა და ჩვევების გაღრმავებით და ამავე დროს პრინციპულად ახალ ჭრილში გადაიყვანოს მისი შემოქმედებითი და ინტელექტუალური მუშაობა. ამ უკანასკნელ ასპექტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამაგისტრო ნაშრომისა და შემოქმედებითი პროექტის ფუნქციური ურთიერთობის ამოცანების განსაზღვრისას.

პროგრამა გათვალისწინებულია იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც მიღებული აქვთ საბაკალავრო ან ხუთწლიანი სპეციალისტის განათლება სახვითი ხელოვნების და დიზაინის სპეციალობებით და იმ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრთათვის, ვისაც დამატებითი პროგრამის ან გავლილი საგნების მეშვეობით მიღებული აქვთ დაზგური მხატვრობის და დიზაინის სფეროში პრაქტიკული მუშაობის გარკვეული გამოცდილება.

არსებობს სრულიად ლოგიკური, რამდენიმე მნიშვნელოვანი კომპონენტისგან შემდგარი საფუძველი, რომელიც ასეთი პროგრამის შემუშავების და ამოქმედების მიზანშეწონილობას განსაზღვრავს. ეს კომპონენტები დარგის სპეციფიკას, უმაღლეს სასწავლებლებში (კერძოდ თსუ-ში) მოქმედ საბაკალავრო პროგრამის თავისებურებას და თანამედროვე დასაქმების ბაზრის მხატვრობისა და დიზაინის სფეროს სპეციალისტებზე მოთხოვნებს ემყარება.

1. მხატვრობის სწავლება მოითხოვს დახელოვნებისთვის ეტაპობრივ და ხანგრძლივ სამუშაო პროცესს, რომლის ბაკალავრიატის პროგრამით შემოსაზღვრა ნამდვილად არასაკმარისია.
2. ბაკალავრიატში მიღებული ზოგადჰუმანიტარული განათლება მოითხოვს ლოგიკურ გაგრძელებას და კონკრეტული საგნებით პრაქტიკოსი მხატვრისთვის ხელოვნების ფილოსოფიის აუცილებელი თეორიული ცოდნის შეძენას.

აქედან გამომდინარეობს პროგრამის სტრუქტურის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა - ბაკალავრიატში ჩამოყალიბებული მხატვრული ხედვის და აზროვნების, ოსტატობის და ტექნიკური უნარ-ჩვევების დახვეწა, განვითარება და ხელოვნების ფილოსოფიისა და თეორიის ღრმა ცოდნით გამყარება.

პრაქტიკული ხასიათის საგნები (წიგნის გრაფიკა და ილუსტრაცია, კინო-ტელე და თეატრის მხატვრობა, შემოქმედებითი პროექტი) მიზნად ისახვს ბაკალავრიატში გარკვეულ დონემდე ათვისებული მხატვრობის კლასიკური, ტრადიციული მეთოდების თანამედროვე შემოქმედებითი პრაქტიკით და ტექნოლოგიებით გამდიდრება-დაბალანსებას მხატვრობის კონკრეტულ დარგებში.

**სწავლის შედეგები:** საბაკალავრო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშაოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შესაბამისი მიმართულებებით:

### I. ცოდნა და გაცნობიერება

- სახვითი ხელოვნების და ხელოვნების ფილოსოფიის განვითარების ისტორიის ფუნდამენტური ცოდნა.
- სახვითი ხელოვნების ძირითადი, ტრადიციული დარგების (ფერწერა, გრაფიკა) ხელოვნების დარგების დამახასიათებელი ნიშან-თვისებების, ამოცანების და სტილისტიკის ცოდნა.
- სტუდენტი ზედმიწევნით კარგად იცნობს დაზგური მხატვრობისთვის საჭირო მრავალფეროვან მასალას, მისი სწორად გამოყენების თეორიულ მეთოდებს.



- მხატვრობის ტრადიციული მეთოდების ცოდნასთან ერთად სტუდენტი იცნობს თანამედროვე, ალტერნატიულ და არატრადიციულ ტექნოლოგიებს სახვითი და აზროვნების სფეროში.
- სტუდენტს კარგად ესმის ზოგადად მხატვრობის სპეციფიკა და ამ სფეროში შეფასების კრიტერიუმების არაერთგვაროვნება – აცნობიერებს, რომ როგორც ხელოვნების ნიმუშის, ასევე მხატვრული იდეის და მისი კონკრეტული ამოცანის და გარემოსთვის მისადაგების შეფასებისას არ უნდა შეზღუდოს მისი დიაპაზონი.
- შემენილი აქვს სახვითი ხელოვნებისთვის ფუნდამენტური ცოდნა ფერის, ფორმის, ჩრდლისა და განათების, სივრცისა და სასურათე სიბრტყის ურთიერთდამოკიდებულების, მხატვრული იდეის და თემატიკის შემოქმედების საბოლოო პროდუქტთან დაკავშირების შესახებ.
- ესმის და აცნობიერებს სახვით ხელოვნებაში
- კომპოზიციური აზროვნების მნიშვნელობას; აქვს მხატვრული კომპოზიციის სხვა და სხვა დარგში და მასალაში სტილისტური და მიზნობრივი დატვირთვის გათვალისწინებით გამოყენების ცოდნა.
- იცის, თუ რას ნიშნავს ყოველდღიურობის ვიზუალიზაცია და მედიის როლი სოციოკულტურულ საზრისში და ხელოვნების ვიზუალიზაციის კონსტრუირებაში. სანახაობა, ვიზუალიზაცია, ზედამხედველობა, არტმედია, ვიზუალური რეპრეზენტაცია და ვიზუალური მანიპულაცია. სტუდენტმა იცის ესთეტიკურის და ეთიკურის მიმართება ხელოვნებაში, ფემინიზმის და ხელოვნების ვიზუალიზაციის მიმართება.
- იცის, თუ რა არის ვიზუალიზაცია, როგორც სიმდიდრისა და ძალაუფლების მოცემულობის ფორმა, დიზაინის და ვიზუალური ხელოვნების პერფორმანსული ხასიათი.
- იცის ფილოსოფიურ-კულტურული პარადიგმის როლი მხატვრული ხედვის ჩამოყალიბებაში და პოსტმოდერნის ვიზუალური სტრატეგია და ვიზუალური სტრატეგიების ტრანსფორმაციის საკითხი, ვიზუალურისა და ვერბალურის მიმართება, თანამედროვე ვიზუალური ხელოვნებისა და კულტურის თეორია.
- იცის ვიზუალური აზროვნების თავისებურებებისა და ვიზუალურობის არსებობის ფორმების მიმართების საკითხი თანამედროვე ხელოვნებაში.
- გარემოს ესთეტიკაცია: მისი გაგება და მართვა. დიზაინი – ვიზუალური რეპრეზენტაცია, რეკლამა – ვიზუალური მანიპულაცია.

## II. ცოდნის პრაქტიკული გამოყენება / პრაქტიკული უნარები:

პრაქტიკული უნარების დახვეწა პროგრამისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

- დაზღურ ფერწერასა და გრაფიკაში, აგრეთვე კინო-ტელე და თეატრის მხატვრობაში, ფერწერის რესტავრაციაში სამუშაოდ საჭირო მასალების, ინსტრუმენტებისა და დამხმარე ინვენტარის პრაქტიკაში სწორად და ოპტიმალურად გამოყენების უნარ-ჩვევები.
- სტუდენტი სრულყოფილად ფლობს აკადემიური ხატვის ტექნიკას და ხერხებს – შეუძლია ნებისმიერი სირთულის კომპოზიციის და ცალკეული მოდელის ამ მეთოდიკით სწორი კონსტრუქციული გადმოტანა სასურათე სიბრტყეზე სხვა და სხვა მასალით.
- სტუდენტი ფლობს ზეთის ფერწერის, აკვარელის, ტემპერისა და გუაშის ტექნიკას. მას შეუძლია ამ სახეობის სადებავების მრავალფეროვანი შესამდებლობების გამოყენება დაზღურ და ფერწერაში (სასურათე სიბრტყის მასალისა და დანიშნულების მიხედვით მათი სწორად შერჩევიდან ტექნიკური და სტილისტური ნიუანსების შეჯერებამდე) და გრაფიკაში.

- შეუძლია სხვა და სხვა სამხატვრო ტექნიკის სინთეზისა ან მათი სამუშაოს შესრულების ეტაპების მიხედვით მონაცვლეობის მეშვეობით შექმნას მაღალმხატვრული პროდუქცია და შეასრულოს გაფორმებითი ხასიათის მხატვრული სამუშაო, იმუშაოს რესტავრაციაში.
- თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების და პროგრამების (Adobe Photoshop, CorelDrow, AdobeIllustrator) ცოდნის საფუძველზე შეუძლია იმუშაოს მაკეტზე და მხატვრულად გააფორმოს ნებისმიერი ნაბეჭდი პროდუქცია, აგრეთვე გამოიყენოს ეს პროგრამები დამოუკიდებელი მხატვრული და პროდუქციის შესაქმნელად.
- სტუდენტს შეუძლია თავისუფალი მსჯელობა, აზრის ჩამოყალიბება და დისკუსია თანამედროვე ვიზუალური ხელოვნებისა და ტექნიკური ესთეტიკის და მისი გამოყენებითი მხარის საკითხებში: ექსპერული შეფასება შესაბამის სფეროში.
- შეუძლია პრაქტიკული აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება (გამოფენა, შოუ, პრეზენტაცია, პერფორმანსი).

### III. ზოგადტრანსფერული უნარები

- მხატვრობის სპეციფიკიდან გამომდინარე იდეის ჩამოყალიბების და სწორად გაანალიზების ეტაპი საბოლოო პროდუქციის შექმნის წარმატების აუცილებელი ბაზისია. ასეთი უნარის ჩამოყალიბება ხდება კომპლექსურად სწავლების მთელი პერიოდის მანძილზე და მიბმულია იდეის ხორცშესხმისათვის საჭირო პრაქტიკული უნარების განვითარებასა და თეორიული ცოდნის მიღებაზე. როგორც დამოუკიდებელი, დაზგური მხატვრული ნაწარმოების, ასევე გაფორმებითი სამუშაოს დროს ილუსტრაცასა და კინო-ტელე –მხატვრობაში იდეაც დაკავშირებულია კომპოზიციურ აზროვნებასთან, რაც არა მხოლოდ საგნებისა და ფორმების სიბრტყობრივ და სივრცობრივ მანიპულირებას, არამედ ადამიანის აზროვნების, ქმედების და განწყობის შემოქმედებითდ სინთეზირებას წარმოადგენს.
- სწავლის და პრაქტიკული მუშაობის სტრატე-გიისა და დროის ორგანიზება სწავლების პერიოდში ბუნებრივად შეძენილი უნარია, რადგან მხატვრობის შესწავლა პროგრამის მიხედვით შედგება არაერთგვაროვანი მეთოდიკისგან (თეორიული ცოდნის მიღება, სახელოვნებო ტექნიკისა და უნარ-ჩვევების განვითარება, მხატვრულ-კომპოზიციური აზროვნება) და ხარისხიანი მხატვრული პროდუქტის მიღებაც მხოლოდ სწორად გაწერილი ციკლების შესრულების შედეგად შეიძლება. განსაკუთრებით ეს ეხება დიზაინის სფეროს, სადაც დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი შემოქმედებითი იდეის დამკვეთისთვის მისაღები, წარმატებული მხატვრული ფორმის პროდუქციად გადაქცევის აუცილებლობაა.
- ტექნოლოგიური მოწყობილობების და ტექნიკის გამოყენებისა და ინფორმაციის მენეჯმენტის უნარი ვითარდება თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების და პროგრამების სწავლების გვერდით. მითუმეტეს, რომ მხატვრობის და დიზაინის სფეროში ასათვისებელი პროგრამები უფრო რთული და ტევადია, ვიდრე უბრალო საინფორმაციო პროგრამები. სტუდენტი ინფორ-მაციას იღებს აგრეთვე სასწავლო და დამხმარე ლიტერატურიდან, რომლის ნაწილი კლასიკური სახვითი ხელოვნების და მისი განვითარების შესწავლას ემსახურება – აქედან გამომდინარე მას განსხვავებული ინფორმაცია მიეწოდება სხვა და სხვა ჭრილში და მათი შეჯერების და გაანალიზების უნარი უვითარდება ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ჩვევასთან ერთად.
- მხატვრობის წმინდა ინდივიდუალისტური სფეროების გამოკლებით (დაზგური ფერწერა და გრაფიკა და ა.შ.) ინტერდისციპლინარულ ჯგუფში მუშაობის ჩვევას სტუდენტი ეუფლება კინოსა და თეატრის მხატვრობის შესწავლისას.
- ავტონომიურად მუშაობის უნარი მხატვრის მოღვაწეობის ქვაკუთხედი ყველა დარგში (ინტერდისციპლინარულ ჯგუფში მუშაობის ჩათვლით).

ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: 120 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერიტი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს ასოც. პროფესორი ი. ბრაჭული, ასოც. პროფესორი ლ. სილაგაძე, ელ.ფოსტა [favorite1g@yahoo.com](mailto:favorite1g@yahoo.com)

**სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება:** ხელოვნების მენეჯმენტი

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი /კვალიფიკაცია:** ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი/  
Master of Business Administration (MBA)

**პროგრამის მიზნები:** სამაგისტრო პროგრამა ინტერფაკულტეტურია, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტებს შორის. იგი ითვალისწინებს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად სპეციალისტების მომზადებას არტ მენეჯმენტის სფეროში. პროგრამის საფუძველზე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ მიიღონ ფართო ცოდნა არტ მენეჯმენტის მინიმართულებით, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ასპექტით. თანამედროვე ეპოქაში ეს მიმართულება ერთ-ერთი პრიორიტეტულია, რადგან სწორედ მისი პროფესიული დაუფლების შედეგად ხდება შესაძლებელი სახელმწიფო და კერძო გალერეების, სხვადასხვა სახის გამოფენებისა და პერფორმანსების, ისევე როგორც თემატური სამხატვრო აქციების მაღალ პროფესიულ დონეზე ორგანიზება. შესაბამისად პროგრამა ხელს შეუწყობს ქართველი სპეციალისტების ინტეგრაციას თანამედროვე სახელოვნო სივრცეში. იმავდროულად, ესაა ერთ-ერთი წარმატებული გზა ქართული კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციისათვის თანამედროვე სივრცეში.

**სწავლის შედეგები:** სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრი უნდა ფლობდეს:

- ღრმა ცოდნას სამაგისტრო პროგრამის შესაბამის საგნებში.
- მეთოდოლოგიურ უნარ-ჩვევებს, კვლევით ტექნიკასა და ყველა სხვა უნარ-ჩვევას პროფესიული პოზიციებით განპირობებული სამუშაოს შესრულებისათვის.

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:** 120 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერიტი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუფროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეულ პროფესორ ირინა მირიჯანაშვილს ან თანახელმძღვანელს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორ იანაცვლიშვილს.

**სამაგისტრო პროგრამის დასახელება:** არქეოლოგია

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** არქეოლოგიის მაგისტრი / MA in Archaeology

**სამაგისტრო პროგრამის მიზნები:** მსოფლიოში არც ერთი ჰუმანიტარული დარგის მიმართ არ არსებობს ისეთი მზარდი ინტერესი, როგორც არქეოლოგიის მიმართ. არქეოლოგიური მეცნიერების მიზნიდან გამომდინარე როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო მასშტაბებით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეროვნული და საერთაშორისო კულტურული მემკვიდრეობის კვლევასა და საზოგადოებისათვის მისი შინაარსის მიწოდებას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ უკანასკნელ წლებში ნათლად გამოიკვეთა არქეოლოგიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დანიშნულება - წარმოაჩინოს არა მხოლოდ საზოგადოების, არამედ ბუნების გარკვეული მოვლენების განვითარების

ტენდენციებიც, რაც შეუდარებლად ზრდის მისი, როგორც მეცნიერების თანამედროვე დარგის განვითარებისა და გამოყენების აუცილებლობის ინდექსს. ესაა არქეოლოგიის ინტერდისციპლინარული ხასიათი, რაც გამოიხატება არქეოლოგიურ

კვლევებში საბუნებისმეტყველო დარგების მიღწევათა ფართო დანერგვითა და საბუნებისმეტყველო დარგების კონკრეტულ ამოცანათა დასახვისა და გადაჭრის შესაძლებლობებში. ამავე დროს არქეოლოგია ინარჩუნებს თავის ღრმა კულტურულ, სოციალურ და პოლიტიკური კვლევის ასპექტებს. ამდენად, არქეოლოგიის სწავლებას და ამ დარგის განვითარებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. არქეოლოგიის მიმართულებაზე დადგენილია ის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. ესაა არა მხოლოდ ქვის და ბრინჯაოს ხანის, ასევე ისტორიული

პერიოდის არქეოლოგიის კარდინალური საკითხები, აგრეთვე თანამედროვე კვლევების (მათ შორის, დათარიღების ახალი მეთოდების) საერთაშორისო ნორმები. ყველაფერი ეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უქმნის საერთაშორისო არქეოლოგიური სამეცნიერო კვლევების ცენტრის რეალურ სტატუსს.

არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოს, კავკასიის, მახლობელი აღმოსავლეთისა და ანტიკური სამყაროს მატერიალური კულტურის არსის, მისი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობის, სოციალური ხასიათის დადგენას. პროგრამის მიზანია მოამზადოს თანამედროვე არქეოლოგიური მეთოდების, თეორიებისა და პრაქტიკული ცოდნის მქონე სპეციალისტები, რომელთაც შეეძლება მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ თანამედროვე ქართული სახელმწიფოს შენებაში პრაქტიკული კვლევების განხორციელების, ისტორიული ფაქტების რეკონსტრუქციის, მოვლენების პროგნოზირება-მართვის უნარისა და რეკომენდაციების შემუშავების გზით. თანამედროვეობის მოთხოვნებმა დამატებითი კორექტივები შეიტანა, როგორც დისციპლინის მეთოდოლოგიაში და მეთოდოლოგიაში, ასევე განსახილველი პრობლემებისა და საკითხების ნუსხაში, ბოლო დროინდელმა

არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა საქართველოს ტერიტორიაზე (მხედველობაშია დმანისში აღმოჩენილი “ჰომო ერგასტერი”, რომლის ასაკია 1.800.000 წელი) ორჯერ გაზარდა ევროპაში ადამიანის არსებობის ისტორიის ხანგრძლივობა და დასახა ახალი

პერსპექტივა გადაისინჯოს დედამიწაზე ადამიანის განსახლების თეორიები. პროგრამის მიზანია მოამზადოს არქეოლოგიური რეალობისა და თავისებურებების მცოდნე კვალიფიციური სპეციალისტი, რომლისთვისაც კარგად იქნება ცნობილი

არქეოლოგიური პრობლემები. რეგიონის არქეოლოგიური კვლევის აქტუალობა ქართული სახელმწიფოს გეოპოლიტიკური მდგომარეობისა და სახელმწიფოებრივი მშენებლობის დღევანდელი საჭიროებებიდანაც გამომდინარეობს. პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე მაგისტრატურაში სწავლის დროს მოხდება ძირითადი აქცენტის გადატანა არქეოლოგიის იმ მიმართულების უმთავრეს საკითხებზე, რომელიც მაგისტრანტის კონკრეტული ინტერესების სფეროს სრულიად შეესაბამება.

**სწავლების შედეგები:** პროგრამის განხორციელების შედეგი იქნება კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება არქეოლოგიის დარგში, სათანადო თეორიული და პრაქტიკული გამოცდილებით, რომელთაც შეეძლება მონაწილეობის მიღება ეთნიკურ საკითხთა განხილვა-მოგვარების მიმართულებით წარმართულ საქმიანობაში. სწავლის დასრულებისათვის მაგისტრებს ექნებათ თეორიული ცოდნა რომელიც შეჯერებული იქნება პრაქტიკულ უნართან დაგეგმონ და აწარმოონ არქეოლოგიური და ეთნოლოგიური კვლევები, მოახდინონ შეკრებილი მასალის ანალიზი და სინთეზი, მოამზადონ სამეცნიერო ნაშრომი. მაგისტრანტებს გამოუმუშავდებათ ჯგუფური და ჯგუფთან მუშაობის უნარი.

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:** 120 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერითი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს სრულ პროფესორ გურამ გრიგოლიას მაილზე: [guram.grigolia@tsu.ge](mailto:guram.grigolia@tsu.ge)

## სამაგისტრო პროგრამის დასახელება: ეთნოლოგია

### მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი ეთნოლოგიის მაგისტრი / MA in Ethnology

**სამაგისტრო პროგრამის მიზნები:** ეთნოლოგია ესაა მეცნიერება ხალხებისა და მათი ეთნიკური მახასიათებლების შესახებ. ეთნოლოგიურ მეცნიერებასაც თავისი კვლევის საგანი აქვს. ეთნოლოგიის საგანი და კვლევის არე მუდმივად ფართოვდებოდა. ამით ის მეცნიერების სხვა დარგებისაგან ერთგვარად განსხვავდება. ეთნოლოგია სხვა მეცნიერებებისაგან იმითაც განსხვავდება, რომ მას შეხების წერტილები აქვს სხვა მეცნიერებებთან. ეთნოლოგიისა და სხვა მომიჯნავე დარგების გადაჯაჭვით, შერწყმით არაერთი მიმართულება გაჩნდა ეთნოლოგიაში. მიუხედავად ამისა, ეთნოლოგიის წარმოქმნიდან დღემდე მისი კვლევის უპირველეს თემას ეთნოსი, ეთნიკური კულტურა და ეთნოსთაშორის ურთიერთობები წარმოადგენს. ეთნოლოგიას, როგორც მეცნიერებას, კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებს. გარდა ეთნოლოგიისა, ის სხვადასხვა სახელწოდებებით არის ცნობილი. სულ ცოტა ხნის წინ ის საქართველოში **ეთნოგრაფიის** სახელწოდებას ატარებდა. დასავლეთში მას **კულტურულ ანთროპოლოგიას**, **სოციალურ ანთროპოლოგიას** უწოდებენ. ამავე დროს ის სხვადასხვა მიმართულებითაც განვითარდა. ზოგან აქცენტი მის საისტორიო მიმართულებაზე გამახვილდა, ზოგან – სოციოლოგიურ, ფილოსოფიურ და კულტუროლოგიურ მიმართულებებზე. ერთ შემთხვევაში თუ წინ ეთნოსების (ხალხების) კვლევამ წამოიწია, მეორე შემთხვევაში მისთვის ამოსავალი ადამიანი და ადამიანთა ერთობა (სოციუმი) იყო.

ეთნოლოგთა ინტერესის სფეროში ყველა ხალხი (ეთნოსი) შედის. მას ხალხები აინტერესებს, როგორც კულტურების შემქნელი ერთობები, რომელთა კულტურაც თაობიდან თაობას ტრადიციით გადაეცემოდა და რომელსაც სხვადასხვა თაობები შემოქმედებითად ამდიდრებდნენ და ავითარებდნენ. XIX საუკუნის დასაწყისიდან ეთნოლოგიის კვლევის საგანი გახდა ეთნოსთა შორის ურთიერთობები. ეს ურთიერთობები ეთნოსთა წარმოქმნის დღიდან მუდმივად არსებობდა და ამდენად, ეთნოლოგიას სხვადასხვა ხალხების ურთიერთქმედება, ურთიერთობა (მშვიდობიანი თუ მტრული), ამ ხალხების კულტურათა ურთიერთშეღწევა აინტერესებს როგორც ისტორიის სიღრმეში, ისე თანამედროვეობაში. ეთნოლოგიის კვლევის სფეროში ეთნოსთა ისტორიულად არსებული ფორმებიც შედის. თანამედროვე გაგებით ეთნოლოგია სწავლობს არა მხოლოდ ეთნოსების წარმოშობას, მათ ძირითად თავისებურებებსა და მახასიათებლებს, ეთნიკური პროცესებით განპირობებულ ეთნოსთა ურთიერთობებსა და მათ ცვლილებებს, არამედ ეთნოსოციალურ (ნაციონალურ), ეთნოპოლიტიკურ, ეთნოფსიქოლოგიურ, ეთნოლინგვისტურ და საზოგადოებრივი სფეროს ეთნონაციონალურ ურთიერთობებსა და სხვა პროცესებს. თავდაპირველად კი ეთნოლოგიის კვლევის სფერო მხოლოდ ხალხური კულტურის შესწავლა, ამა თუ იმ ხალხის სოციალურ ურთიერთობათა კვლევა იყო. დღეისათვის ეთნოლოგიური მეცნიერება ცოდნის საკმაოდ რთულ და განტოტებულ სისტემას წარმოადგენს. ეთნოლოგიური მეცნიერების დიფერენციაციის ეს პროცესი ჯერაც არ არის დასრულებული და როგორც ფიქრობენ, უახლოეს მომავალში ახალი მიმართულებების წარმოქმნაც არ იქნება მოულოდნელი. როგორც ზემოთაც აღინიშნა, სწორედ ეს გარემოება და სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომები აბრკოლებს და ხელს უშლის ეთნოლოგიის საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრების ფორმულირებას.

ამრიგად, **ეთნოლოგიის ობიექტს წარმოადგენენ ეთნოსები – ხალხები და ეთნოლოგია შეისწავლის:** ეთნოსების წარმოქმნას (ეთნოგენეზს); ეთნოსების ისტორიულ ევოლუციას (ეთნიკურ ისტორიას); ეთნოსების თანამედროვე ცხოვრებას; მომავალში ეთნოსთა განვითარების შესაძლო გზებს. ამრიგად, ეთნოლოგიური მეცნიერება შეისწავლის ეთნოსთა ცხოვრების სხვადასხვაგვარ, მრავალფეროვან ასპექტებს, ტრადიციულ (ეთნიკურ) კულტურას, მათ შორის ადამიანთა მიერ ეთნიკური თვითშეგნებისა და ეთნიკური მიკუთვნებულობის შეცვლას. თანამედროვე ეთნოლოგიის საგნობრივი ველი (არე) საკმაოდ ფართოა და მისი



სხვადასხვა მიმართულებები გადაეკვეთება მონათესავე, ახლოს მდგომ მეცნიერებებს. ეს განსაკუთრებით ითქმის ისეთ მეცნიერებებზე, როგორებიცაა ისტორია, ეთნოგრაფია, კულტუროლოგია, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია, პოლიტოლოგია.

ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ ეთნოლოგიური კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩო უაღრესად ფართოა. მისი ინტერესების სფეროში შედის როგორც წარსული (პირველყოფილი საზოგადოების ისტორია), ისე თანამედროვეობა. ვრცელი ქრონოლოგიური ჩარჩოსა და იმის გამო, რომ ეთნოლოგიას უშუალო კავშირი აქვს თანამედროვე პროცესებთან (სწავლობს ეთნოსთაშორის ურთიერთობებს, ეთნიკურ კონფლიქტებს, ნაციონალურ-კულტურული მშენებლობის საკითხებს, გამოიმუშავებს ნაციონალური პოლიტიკის კონცეფციებს), მეცნიერების ამ დარგს შემეცნებით და თეორიულ მნიშვნელობასთან ერთად დიდი პრაქტიკული და გამოყენებითი მნიშვნელობაც გააჩნია.

ეთნოლოგიას, როგორც სამეცნიერო დისციპლინას, მნიშვნელოვანი ფუნქციები გააჩნია, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს: თეორიულ-შემეცნებითი, პრაქტიკულ-გამოყენებითი, კულტურულ-აღმზრდელობითი, პროგნოსტიკული. ეთნოლოგიას პრაქტიკულ-გამოყენებითი ფუნქცია ნამდვილად გააჩნია. მიღებული კვლევის შედეგებს ძალიან ხშირად მმართველობით, მარეგულირებელ საქმიანობაში გამოიყენებენ. თეორიული კვლევა-ძიება მხოლოდ მაშინ იძენს პრაქტიკულ მნიშვნელობას, როდესაც ის გამოყენებული იქნება ნაციონალური პოლიტიკის შემუშავებისას, მმართველობითი საქმიანობის კორექტირებისას. ამასთან ერთად პრაქტიკული რეკომენდაციები შეიძლება ეხებოდეს საქმიანობის, მოქმედების პერსპექტიულ მიმართულებებს, ანდა შეიძლება მისი დანიშნულება მომავალი პერსპექტივის კონკრეტული ცვლილებებისათვის იყოს განკუთვნილი. ეთნოლოგიის პრაქტიკულ-გამოყენებითი ფუნქცია იმაშიც მდგომარეობს, რომ ეთნოლოგია, როგორც ცნობილია, ადამიანთა მოღვაწეობის მრავალ სფეროს შეისწავლის. ამ სფეროში კი ადამიანს და ადამიანთა დიდსა თუ პატარა ჯგუფს არაერთი პოზიტიური ცოდნა დაუგროვდა, ეთნოსებმა და ეთნიკურმა ჯგუფებმა თანამედროვეობისათვის მისაღები ეთნიკური ტრადიციები შექმნეს, რომელთა გაცოცხლებას და აღორძინებას მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს. ბევრი ეთნოლოგიური რეალიის გაცოცხლება შეიძლება ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებასთანაც იყოს დაკავშირებული. ეთნოლოგიის კულტურულ-აღმზრდელობითი ფუნქცია ადამიანებს ეხმარება გაერკვნენ ეთნიკურობის რთულ მოვლენებში, ეთნიკური თავისებურებებისა და მსოფლიოს საზოგადოების მრავალგვარობის რთულ მოვლენებში. ეთნოლოგია ფაქტობრივად გასაღებს წარმოადგენს ადამიანის ეთნიკური ქცევის სწორად გასაგებად, საერთოდ, მთლიანად ეთნოსისა და საზოგადოების ცხოველქმედების აღნიშვნა. ამ თვალსაზრისით ეთნოსთა შორის ურთიერთობის კულტურის ფორმირებაში ეთნოლოგიის როლი შეუფასებელია. ეთნოლოგიას თანამედროვეობის სასახურში აყენებს მისი კიდევ ერთი ფუნქცია. ესაა პროგნოსტიკული ფუნქცია. ეთნოლოგიური გამოკვლევების ღირებულება არ განისაზღვრება მხოლოდ იმით, რამდენად ადეკვატურად ასახავს ამა თუ იმ ტენდენციასა და პროცესს, არამედ მხოლოდ იმით, გვამღებს თუ არა მეცნიერულად დასაბუთებულ პროგნოზებს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ეთნოსთა შორის ურთიერთობებში, კონფლიქტებში დღეს მიღებული გადაწყვეტილებების შედეგების წინასწარი განსაზღვრა. საერთოდ, პროგნოსტიკული ფუნქცია მიმართულია ახლო და შორეულ მომავალში კონკრეტული ქვეყნის ეთნიკური და ეთნოსთაშორისი ურთიერთობების პერსპექტივების განსასაზღვრად.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის, რომ პოლიეთნიკური საქართველოს ბოლოდროინდელი ბევრი პრობლემა, მათ შორის ეთნიკური კონფლიქტების სახელით ცნობილი დაპირისპირებები, არის ეთნოლოგიური ცოდნის დაბალი დონის შედეგი. ცხოვრებამ დიდი ხანია დაადასტურა, რომ თანამედროვე პირობებში არ შეიძლება ეთნონაციონალური პროცესების მართვა ხელის შეხებით, რომელიც ცოდნის გარეშე მხოლოდ ემპირიულ მონაცემებს ეყრდნობა. ამავ დროს არ განისაზღვრება ეთნოკულტურული კონტაქტებისა და ეთნოსთა შორის კომუნიკაციების

სხვადასხვა ტიპის ცოდნა შესაძლებლობას გვაძლევს ავხსნათ თანამედროვე ეთნიკური პროცესების მექანიზმები. ნათელია, რომ ეთნოლოგია სერიოზულ და სისტემატურ მოპყრობასა და შესწავლას მოითხოვს. მხოლოდ ასეთი მიდგომით შეიძლება ავხსნათ ეთნიკური ისტორიისა და თანამედროვე მსოფლიოს ბევრი "საიდუმლო".

ამდენად, ეთნოლოგიის სამაგისტრო პროგრამას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ქართული და საერთოდ ხალხთა ეთნიკური კულტურის შესასწავლად, არამედ ქვეყნის თანამედროვე და მომავალი პრობლემების დარეგულირების საკითხისათვის, საქართველოში ხალხთა ჰარმონიული თანაცხოვრებისათვის.

სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს თანამედროვე ეთნოლოგიური მეთოდების, თეორიებისა და პრაქტიკული ცოდნის მქონე სპეციალისტები, რომელთაც შეეძლებათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ თანამედროვე ქართული სახელმწიფოს შენებაში პრაქტიკული კვლევების განხორციელების, ისტორიული ფაქტების რეკონსტრუქციის, მოვლენების პროგნოზირება-მართვის უნარისა და რეკომენდაციების შემუშავების გზით. ეთნოლოგიური დისციპლინების მიზანი სავსე მონაცემების საფუძველზე, ერთი მხრივ, ხალხების ეთნოგენეზისა და კულტურულ-ისტორიული კავშირების, მეორე მხრივ, მსოფლიოს ხალხთა სოციო-კულტურული განსხვავებულობის რელატივისტური შესწავლაა. თანამედროვეობის მოთხოვნებმა დამატებითი კორექტივები შეიტანა, როგორც დისციპლინების მეთოდოლოგიაში და მეთოდოლოგიაში, ასევე განსახილველი პრობლემებისა და საკითხების ნუსხაში. ეთნოლოგიურ კვლევებს, ეთნოგრაფიული რეალიებისა და მოვლენების ახსნის საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციებს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება. ეთნოლოგების მომზადებას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ქართული სახელმწიფოსთვის, რადგან დღეისთვის და მომავალშიც ქართული სახელმწიფოსა და პოლიტიკის განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი უნდა იყოს რეგიონში ისტორიული და მიმდინარე ეთნო-კულტურული პროცესები. ეთნოლოგიური კვლევის აქტუალობა ქართული სახელმწიფოს გეოპოლიტიკური მდგომარეობისა და სახელმწიფოებრივი მშენებლობის დღევანდელი საჭიროებებიდანაც გამომდინარეობს. საქართველოს გაუმწიფდება სახელმწიფოებრიობის განმტკიცება და განვითარება თუ არ ეყოლება სპეციალისტები, რომლებიც სათანადო ეთნოლოგიური ცოდნის საფუძველზე შეძლებენ პროგნოზირებადი გახადონ საქართველოსა და მის მიმდებარე რეგიონებში მიმდინარე ინტერეთნიკური პროცესები.

### **სწავლების შედეგი:**

#### **ცოდნა და გაცნობიერება:**

პროგრამის განხორციელების შედეგი იქნება კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება ეთნოლოგიის დარგში. სწავლის დასრულებისათვის მაგისტრებს ექნებათ თეორიული ცოდნა კავკასიის ხალხთა და საქართველოს ეთნოლოგიაში,

#### **პრაქტიკული უნარები**

მათ ექნებათ უნარი განავითარონ ორიგინალური საკვლევი ჰიპოთეზა, იმუშაონ ინტერდისციპლინარული მიდგომებით და მოახდინონ ცოდნის ინტეგრირება. პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ დამოუკიდებელი კვლევები აწარმოონ საზოგადოების ეთნო-კულტურული სხეულის შესასწავლად. რომელიც შეჯერებული იქნება პრაქტიკულ უნართან დაგეგმონ და აწარმოონ ეთნოლოგიური კვლევები, მოახდინონ შეკრებილი მასალის ანალიზი და სინთეზი, მოამზადონ და საჯაროდ წარადგინონ სამეცნიერო ნაშრომი. მაგისტრანტებს გამოუმუშავდებათ ინდივიდუალური, ჯგუფური და ჯგუფთან მუშაობის უნარი.

**ტრანსფერული უნარებიდან** გამოუმუშავდებათ, აგრეთვე ახალ სიტუაციაში ადაპტირების, მოპოვებული მასალისა და ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის უნარი და ეთნიკური პრობლემებისადმი ცნობიერი დამოკიდებულება.

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: 120 ECTS კრედიტი**

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერიტი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს ასოცირებულ პროფესორ როლანდ თოფჩიშვილს მაილზე [roland.topchishvili@tsu.ge](mailto:roland.topchishvili@tsu.ge)

**სამაგისტრო პროგრამის დასახელება:** კავკასიოლოგია

პროგრამა შედგება 3 მოდულისაგან:

- იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება (აფხაზურ-ადირეური, ნახური, დაღესტნური)
- პალეოკავკასიური და ასეალოური ლინგვისტიკა (ზასკური, მცირე აზიის უძველესი ენები, ოსური, აზერბაიჯანული)
- კავკასიის ხალხთა ისტორია.

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** კავკასიოლოგიის მაგისტრი / MA in Caucasian Studies

**სამაგისტრო პროგრამის მიზნები** - პროგრამის მიზანია მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე, აგრეთვე ქართულის მონათესავე მთის იბერიულ-კავკასიურ ენების, კავკასიაში გავრცელებულ არაიბერიულ-კავკასიურ ენათა და კავკასიის ხალხთა ისტორიისა და კულტურის მცოდნე მკვლევარი კავკასიოლოგების მომზადება.

ქართველურ ენათა სრულყოფილად კვლევა შეუძლებელია მონათესავე მთის იბერიულ-კავკასიური (აფხაზურ-ადიღური, ნახური და დაღესტნური) ენების გათვალისწინების გარეშე და, პირიქით, მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა სრულყოფილად კვლევისათვის აუცილებელია, მდიდარი, მრავალსაუკუნოვანი წერილობითი ტრადიციის მქონე ქართული ენისა და მის დიალექტთა მონაცემების გათვალისწინება. კავკასიაში იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის გვერდით ისტორიულად სხვადასხვა ეპოქაში შემოვიდა და დამკვიდრდა სხვა ოჯახის ენები, ამიტომ კავკასიოლოგიის სამაგისტრო პროგრამა იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის პარალელურად მიზნად ისახავს არაიბერიულ-კავკასიურ ენათაგან ოსურისა და აზერბაიჯანულის შესწავლასა და კვლევას.

ქართული ფოლკლორის, ქართველი ერის ისტორიისა და კულტურის კვლევა წარმოდგენილია კავკასიის სხვა ხალხთა ფოლკლორის, ისტორიისა და კულტურის მონაცემთა გათვალისწინებლად და, პირიქით, სხვა კავკასიელ ხალხთა ფოლკლორი, ისტორია და კულტურა სრულყოფილად ვერ იქნება გამოკვლეული ქართულ ფოლკლორთან, საქართველოს ისტორიასა და ქართულ კულტურასთან დაუკავშირებლად და ქართულ წერილობით წყაროთა ცნობების გათვალისწინების გარეშე.

**სწავლის შედეგები****ცოდნა და გაცნობიერება:**

"იბერიულ-კავკასიური ენების" სასპეციალიზაციო მოდულზე სწავლის შედეგად ახალგაზრდა მკვლევარს პრაქტიკულად **B1** დონეზე ეცოდინება ერთ-ერთი ძირითადი მთის იბერიულ-კავკასიური ენა. შესძლებს ამ ენაზე მკაფიოდ წარმართული საუბრის გაგებას, თავისი გამოცდილებისა და ტიპური მოვლენების აღწერას. მაგისტრანტი გაეცნობა რამდენიმე მონათესავე ენის სტრუქტურისა და ისტორიის იმ სპეციფიკურ თავისებურებებს, რომლებიც არ ისწავლება ბაკალავრიატის დონეზე; შეისწავლის სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ განსხვავებულ თვალსაზრისებს

**პრაქტიკული უნარები**

ექნება განსხვავებულ თვალსაზრისთა ობიექტური შეფასების, კონკრეტული ენობრივი მასალის მოპოვების, სისტემატიზაციისა და სწორი მეთოდოლოგიით ანალიზის ჩვევებს;

**ტრანსფერული უნარები**

დასკვნათა არგუმენტირებისა და საჯაროდ წარმოდგენის უნარ-ჩვევები.

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:** 120 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ

კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერიტი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელებს: სრულ პროფესორ ცირა ბარამიძეს ტელეფონზე: 384935, სრულ პროფესორს ჯონი კვიციანს

**სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება:** კულტურის მეცნიერებები

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** კულტურის მეცნიერებათა მაგისტრი / MA in Cultural Studies

**სამაგისტრო პროგრამის მიზნები:** კულტურის მეცნიერებები ბოლო 30 წლის მანძილზე განვითარდა დასავლურ უნივერსიტეტებში და გავრცელდა მსოფლიოს უდიდეს ნაწილში. კულტურის მეცნიერებათა როგორც კვლევისა და სწავლების ცალკე სფეროს სამშობლოდ დიდი ბრიტანეთი და აშშ ითვლება, მაგრამ დროთა განმავლობაში სხვადასხვა რეგიონსა და ქვეყანაში ჩამოყალიბდა კულტურის კვლევათა განსხვავებული პრობლემატიკა და ტრადიცია.

ჩვენთვის, ისევე როგორც, ვთქვათ, ბალკანეთისა და ცივილიზაციათა მიჯნაზე არსებული სხვა რეგიონებისათვის, რომლებიც ცივი ომის შემდგომ პერიოდში კონფლიქტების მთავარ კერებად იქცა, მნიშვნელოვანია კულტურული იდენტურობის, კულტურათა კომუნიკაციის, მიმდინარე კონფლიქტების კულტურული საფუძვლების, ძალადობის კულტურული კონტექსტისა და სხვა საკითხების კვლევა. ჩვენთვის საყურადღებოა პოლიეთნიკურ, მულტიკულტურულ და მრავალკონფესიურ საზოგადოებათა ისტორიული დინამიკა და მისი თანამედროვე შედეგები.

ყველა დასახელებული პრობლემა, აკადემიურთან ერთად, პოლიტიკური ინტერესის საგანია. პოლიტიკური გადაწყვეტილებები მით უფრო ადეკვატურია, რაც მეტადაა გათვალისწინებული კულტურული რეალობა და წარსული. ეს ნათლად წარმოაჩენს კულტურის მეცნიერებათა პრაქტიკულ და გამოყენებით მნიშვნელობას. ამერიკელი კულტურანთროპოლოგის, ერთ-ერთი ცნობილი სახელმძღვანელოს ავტორის ადამ კუპერის სიტყვით, კულტურული იდენტობის პრობლემა განუყოფელია კულტურის პოლიტიკისაგან. პიროვნება მხოლოდ იქ და მაშინ შეიძლება იყოს თავისუფალი, სადაც მის ფასეულობებს პატივს სცემენ. მრავალკულტურულ საზოგადოებებში კულტურული განსხვავებები ყურადღებისა და ზრუნვის საგანი უნდა იყოს (Adam Kuper. Culture. The Anthropologists' Account. Harvard University Press, 2000, p.233).

კონფლიქტებითა და დაპირისპირებებით მოცულ გლობალურ სამყაროში თანაარსებობს, ერთი მხრივ, ინტეგრაციისა და უნივერსალიზაციის, მეორე მხრივ კი დეზინტეგრაციისა და ლოკალიზაციის ტენდენციები. მეცნიერება ლოგიკურად მივიდა ისტორიისა და თანამედროვეობის კულტუროცენტრულ ხედვამდე. კულტურის ფენომენისადმი ინტერესი სულ უფრო იზრდება, მას საგანგებო ადგილი ეთმობა მსოფლიოს მომავალი განვითარების ყველა მეტ-ნაკლებად საყურადღებო ვერსიაში.

ჩვენში კულტურის მეცნიერებათა სწავლება უნდა შეესაბამებოდეს და ემყარებოდეს დასავლეთის უნივერსიტეტებში არსებულ გამოცდილებას. მაგრამ, ამავე დროს, საჭიროა გამოიკვეთოს პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებშიც სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შეძლებს წამყვანი პოზიციის დაკავებას რეგიონული და საერთაშორისო მასშტაბით. ეს მიმართულებები შეიძლება იყოს: კულტურათა და ცივილიზაციათა A ურთიერთქმედება კავკასიაში; კავკასიის კონფლიქტების რელიგიური და კულტურული საფუძვლები; კულტურული იდენტობის პრობლემები; ინტერკულტურული ურთიერთობების პრობლემა კავკასიაში – წარსული და თანამედროვეობა; ქართული კულტურის არსის გააზრება კულტურის მეცნიერებათა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს კულტურის კვლევათა გარკვეული ტრადიცია, თუმცა კულტურის ფენომენის შესწავლა აქ ჯერჯერობით ისევ დანაწევრებულია ცალკეულ სამეცნიერო დისციპლინებსა და მიმართულებებს შორის. კულტურის მეცნიერებათა ინტერდისციპლინური ბუნებიდან გამომდინარე, სასურველია მათი კოორდინაცია, რაც უზრუნველყოფს კულტურის კვლევის სხვადასხვა მიმართულების ურთიერთდაკავშირებასა,

თავიდან აგვაცილებს პარალელიზმს, გაზრდის კვლევისა და სწავლების ეფექტურობას. ინტერდისციპლინურობა ერთ-ერთი იმ ფაქტორთაგანია, რამაც ხელი შეუწყო კულტურის მეცნიერებათა დამკვიდრებას კვლევისა და სწავლების ცალკე დარგად. კულტურის კვლევები ინტერდისციპლინურ საფუძველზე აღმოცენდა და მისი განვითარება სხვაგვარად, თუ არა ინტერდისციპლინურ ჭრილში, წარმოუდგენელია.

კულტურის მეცნიერებათა ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის სტიუარტ ჰოლის სიტყვით, კულტურის მეცნიერებები, როგორც პროექტი, უსასრულოა და, ამ თვალსაზრისით, პლურალისტურია, იგი არ არის რაიმე სახის გაბატონებული დისკურსი ან მეტა-დისკურსი. ეს არის პროექტი, რომელიც ყოველთვის გახსნილია იმისათვის, რაც აქამდე ცნობილი არ იყო. მაგრამ მას აქვს გარკვეული ღერძი, საყრდენი, რასთანაც ყველაფერი ეს დაკავშირებულია, აქვს არჩევანი და სწორედ ამიტომ კულტურის კვლევები არის ეს, და არა სხვა რამ (Hall S. Cultural Studies and its Theoretical Legacies. – The Cultural Studies Reader. 2<sup>nd</sup> ed. Ed. by Simon During. London; New York: Routledge, 2003).

პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ საკითხებს, ასევე კულტურათა კონკრეტული კვლევის მეთოდებსა და მაგალითებს (case studies). სტუდენტმა უნდა გაიაზროს ემპირიული მასალის თავმოყრისა და ანალიზის წესი და მიზანი კულტურის კვლევათა სფეროში. ფართო და მრავალფეროვანი თეორიული მიდგომების საფუძველზე, სტუდენტი უნდა დაეუფლოს კულტურის ფენომენის ანალიზის ხერხებსა და მეთოდებს, გაიაზროს კულტურის კვლევის ინტერდისციპლინური ხასიათი. პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კურსები, ასევე სამაგისტრო ნაშრომი სტუდენტს საშუალებას აძლევს, გაიფართოოს თეორიული თვალსაწიერი, განავითაროს და დახვეწოს ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი, შეიძინოს და განამტკიცოს დამოუკიდებელი კვლევის ჩვევები.

შესაბამისად, პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კურსები საერთოა სხვადასხვა სამაგისტრო პროგრამასთან. ეს უზრუნველყოფს კულტურის მეცნიერებათა სფეროსათვის აუცილებელ მრავალმხრივ და ინტერდისციპლინურ ცოდნას. პროგრამა ამზადებს სტუდენტს შემდგომი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის. იგი უნდა ჩამოყალიბდეს ანალიტიკოსად და პრაქტიკოსად კულტურის კვლევათა სფეროში. პროგრამა განკუთვნილია სტუდენტებისათვის, რომლებიც დაინტერესებული არიან ცოდნის გაღრმავებით თეორიულ სფეროში, მისი გამოყენებით კონკრეტულ კულტურათა კვლევასა და პრაქტიკულ საქმიანობაში.

### **პროგრამის შედეგები:**

#### **ცოდნა და გაცნობიერება:**

პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს უნდა ჰქონდეს ღრმა ცოდნა შემდეგ საგნებში: ცნებითი აპარატი და ძირითადი კონცეფციები კულტურის მეცნიერებებში; სოციალური და კულტურული ანთროპოლოგია. აგრეთვე არჩეულ კურსებში. ფართო და მრავალფეროვანი თეორიული მიდგომების საფუძველზე, სტუდენტი უნდა დაეუფლოს კულტურის ფენომენის ანალიზის ხერხებსა და მეთოდებს, გაიაზროს კულტურის კვლევის ინტერდისციპლინური ხასიათი, გაეცნოს ძირითად პრობლემებს და განვითარების ტენდენციებს კულტურის მეცნიერებებში. პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კურსები, რომლებიც საერთოა სხვადასხვა სამაგისტრო პროგრამასთან, უზრუნველყოფს კულტურის მეცნიერებათა სფეროსათვის აუცილებელ მრავალმხრივ ცოდნას. ამის საფუძველზე, ის შეძლებს კულტურული ფაქტებისა და მოვლენების გააზრებას საერთო სოციალურ კონტექსტში.

#### **პრაქტიკული უნარები:**

პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტს, განავითაროს და დახვეწოს ემპირიული მასალის ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი, სრულყოს კულტურის მეცნიერებათა სფეროში გამოყენებული კვლევის მეთოდების ცოდნა, შეიძინოს და განამტკიცოს დამოუკიდებელი

კვლევის ჩვევები. მას უნდა შეეძლოს შესასწავლი/საკვლევ საკითხის მკაფიო იდენტიფიცირება, მასალის მოძიება, კრიტიკული ანალიზი, სისტემატიზაცია, კვლევის მეთოდისა და თეორიული ჩარჩოს შერჩევა, ემპირიული და თეორიული მასალის შეჯერება და ამის საფუძველზე კულტურული პროცესების ანალიზი; მიღებული შედეგების ჩამოყალიბება ზეპირი და წერილობითი ფორმით.

### **ტრანსფერული უნარები:**

პროგრამა ამზადებს სტუდენტს შემდგომი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის. იგი უნდა ჩამოყალიბდეს ანალიტიკოსად და პრაქტიკოსად კულტურის კვლევათა სფეროში. სალექციო და სასემინარო მუშაობა, ცოდნის შუალედური შემოწმების სხვადასხვა ფორმა სტუდენტს უყალიბებს დროის დაგეგმვისა და ორგანიზების, სამუშაოს დაგეგმვის, პრიორიტეტების გამოყოფის უნარს. გარდა ამისა, იგი იძენს აუდიტორიასთან ურთიერთობის, ფაქტობრივი მასალის მოძიებასთან დაკავშირებულ დაწესებულებებში მუშაობის და შესაბამისი კომუნიკაციის უნარებს.

### **ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: 120 ECTS კრედიტი**

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერიტი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს სრულ პროფესორ ნინო ჩიქოვანს ტელეფონზე: 220050 (ბინა), E-mail: [tsuculturologia@yahoo.com](mailto:tsuculturologia@yahoo.com)



**სამაგისტრო პროგრამის დასახელება:** ძველი ენები და ცივილიზაციები

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** ფილოლოგიის მაგისტრი/ ისტორიის მაგისტრი MA in Philology/ MA in History

**სამაგისტრო პროგრამის მიზნები:** სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ძველი ენებისა და ცივილიზაციის სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ კვლევას თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებისა და უახლესი ინტერდისციპლინარული მეთოდების გამოყენებით. სამაგისტრო პროგრამის აქტუალობას განაპირობებს საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიული და კულტურული კონტაქტები აღნიშნულ რეგიონებთან; ამ სამყაროს როლი და მნიშვნელობა ქართველური ტომებისა და ძველი ქართული კულტურის ფორმირების პროცესში. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში წარმოდგენილი დარგები - ასირიოლოგია (ფართო გაგებით), ეგვიპტოლოგია, მიკენოლოგია საკმაოდ იშვიათი და პრესტიჟული დარგებია, რომლებითაც მსოფლიოს მხოლოდ წამყვანი ქვეყნები და წამყვანი უნივერსიტეტები თუ დაიკვებნენ. ქართულ უნივერსიტეტში ჯერ კიდევ 1918-21 წლებში დაიწყო სიძველეთმცოდნეობის სხვადასხვა დარგების შესწავლა. უკანასკნელ ხანებამდე თსუ ცალკეული სტრუქტურული უჯრედები საკმაოდ წარმატებით მოღვაწეობდნენ ამ დარგებში. წარმოდგენილი პროგრამა არის ერთგვარი მცდელობა მათი ძალისხმევის გაერთიანებისა.

**სწავლის შედეგები:**

**ცოდნა და გაცნობიერება:**

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრი უნდა ფლობდეს ღრმა ცოდნას ძველ ენებსა და ცივილიზაციის ისტორიაში. მაგისტრს უნდა შეეძლოს: ძველი ენებიდან თარგმნა, თარგმნილი ტექსტისათვის ფილოლოგიური, ისტორიული და ზოგადად კულტუროლოგიური ხასიათის კომენტარების მომზადება; კვლევა არა მხოლოდ ქართული, არამედ დასავლური მეცნიერების უახლესი მიღწევების გათვალისწინებით, **პრაქტიკული უნარები**

მაგისტრს ექნება თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებისა და უახლესი ინტერდისციპლინარული მეთოდების გამოყენების უნარ-ჩვევები; მისთვის საინტერესო ისტორიულ მონაკვეთში მიმდინარე ლიტერატურული და კულტურული პროცესების ანლიზის უნარი.

**ტრანსფერული უნარები:**

პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს უნდა შეეძლოს თეორიული, კვლევითი და პრაქტიკული შედეგების მაღალკვალიფიციური წერითი და ზეპირი პრეზენტაცია.

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:** 120 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერითი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს ლევან გორდეზიანს  
მაილზე: [levan.gordeziani@tsu.ge](mailto:levan.gordeziani@tsu.ge)

**სამაგისტრო პროგრამის დასახელება:** სლავისტიკა

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** სლავისტიკის მაგისტრი / MA in Slavonic Studies

**სამაგისტრო პროგრამის მიზნები:** საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის, საერთაშორისო კონტაქტების ინტენსიფიკაციისა და ევროპულ კულტურულ საგანმანათლებლო სივრცეში ორგანული ინტეგრაციისათვის კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებზედაც დიდი მოთხოვნაა თანამედროვე საკომუნიკაციო სივრცეში; შესაბამისი საკადრო რეზერვის ფორმირება სლავური ქვეყნების ენების, ლიტერატურის, კულტურისა და ისტორიის დარგში თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების გათვალისწინებით, რომელსაც შეეძლება მიიღოს სტრატეგიული გადაწყვეტილებები ამ ქვეყნებთან ეკონომიკურ, კულტურულ თუ პოლიტიკურ სფეროებში ურთიერთობისას და წარმოადგინოს ქვეყნის ინტერესები საერთაშორისო ასპარეზზე;

პროგრამის მიზანია პროფესიული ცოდნის ფუნდამენტის შექმნა, რომელიც ორიენტირებული იქნება კომპლექსური, მეცნიერულად დასაბუთებული ანალიტიკური რეკომენდაციების შემუშავებაზე ენის, ლიტერატურის, კულტურის, და სხვა სფეროებში; საერთაშორისო პროფილის სლავისტების მომზადება შესაბამისი ენობრივი კომპეტენციით;

პროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდა სპეციალისტების ფუნდამენტურ, მულტიდისციპლინარულ მომზადებას სლავისტიკის სფეროში; პროგრამის ინოვაციური მხარე განპირობებულია სლავური სამყაროს შესწავლისადმი სისტემური დისციპლინათშორისი მიდგომით კომუნიკაციის თეორიისა და პრაქტიკის საფუძველზე.

**სწავლის შედეგები:**

**ცოდნა და გაცნობიერება:**

კურსის დამთავრების შემდეგ მაგისტრანტს ეცოდინება:

- სლავური ლიტერატურების (მინიმუმ ორის) ისტორია,
- ერთ–ერთი სლავური ენა,
- სლავური ენების, კულტურისა და ლიტერატურის განვითარების ტენდენციები,
- სლავური ქვეყნების ისტორია,
- თანამედროვე რუსული სამეცნიერო, მედია და ბიზნესკომუნიკაციის ენა,
- სამეტყველო ურთიერთობის ძირითადი კომუნიკაციურ–პრაგმატული ერთეულები და მათი ფუნქციები;
- სლავური ლიტერატურების ტიპოლოგიური ურთიერთკავშირების ძირითადი საკითხები;
- მაგისტრანტი დაეუფლება სლავური ენების და ასევე რუსული და ქართული ენების
- შეპირისპირებითი ანალიზის მეთოდებს და
- მიიღებს სხვა აუცილებელ ცოდნას სლავური მენტელობისა და სლავური სამყაროს შესახებ.
- პროგრამის მოსმენის შედეგად მსმენელებს ეძლევა შესაძლებლობა აითვისონ ინოვაციური საგანმანათლებლო პროგრამები სლავურ ფილოლოგიაში; აქტიური მონაწილეობა მიიღონ ფილოლოგიური განათლებისა და სლავურენოვანი მასმედიის სფეროს ენობრივი უზრუნველყოფის სფეროში არსებული მოდერნიზაციის პროცესში.

### პრაქტიკული უნარები

- პროგრამა ორიენტირებულია საბაზო კომპეტენციების განვითარებაზე, რაც საშუალებას მისცემს მომავალ სპეციალისტებს იმუშაონ საერთაშორისო საინფორმაციო სივრცის გლობალიზაციის პირობებში.
- პროგრამის ათვისება უზრუნველყოფს სლავური სამყაროს კომუნიკაციურ სივრცეში თავისუფლად ორიენტირების და ჩამოყალიბებული საექსპერტო დასკვნების გაკეთების უნარის შემუშავებას, კონკრეტულ ადამიანებთან, სახელისუფლებო ორგანოებთან და მასმედიასთან მუშაობის ჩვევების ჩამოყალიბებას, პრობლემათა საექსპერტო-ანალიტიკური და პროფესიული შეფასების უნარის ფორმირებას.
- პროგრამა, ასევე, უზრუნველყოფს სწავლის შედეგად მიღებული ცოდნის კონკრეტულ ამოცანათა გადასაწყვეტად გამოყენების, პრობლემის ფორმულირების, მისი განხორციელების ეტაპების დაგეგმვის, ამოცანათა გადაწყვეტაში ინოვაციური მეთოდებისა და მიდგომების გამოყენების, კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და გამხორციელების უნარების შეძენას.

### ზოგადი/ტრანსფერული უნარები

#### კოგნიტიური უნარები:

- პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის საფუძველზე სლავისტიკის ზოგადი პრობლემების კომპარატივისტულ, დესკრიპციულ, ტიპოლოგიურ, ასოციაციურ და კროსკულტურულ მეთოდების გამოყენებით კვლევა;
- მომიჯნავე დისციპლინების მონაცემთა გამოყენება ამა თუ იმ რელევანტური ამოცანის საკვლევად და გადასაჭრელად;
- შესასწავლი დისციპლინის პრობლემატიკიდან გამომდინარე ამოცანების გადაჭრა და გადაწყვეტილების მიღება, დროის სწორად გამოყენება;
- ჯგუფში, მათ შორის, ინტერდისციპლინარულ კვლევებზე ორიენტირებულ, სამეცნიერო ჯგუფში მუშაობა.

#### საკომუნიკაციო უნარები:

- სწავლის შედეგად შეძენილი კომპეტენციის საფუძველზე ყველა მნიშვნელოვან პრობლემაზე მაღალპროფესიული და კომპეტენტური ურთიერთობა როგორც ქართველ, რუს, პოლონელ და სხვ. უცხოელ კოლეგებთან.
- უცხო ენის პროფესიულ დონეზე ცოდნის საფუძველზე სლავთმცოდნეობაში არსებული სამეცნიერო ლიტერატურის კითხვა და მასში კოდირებული ინფორმაციის ამოცნობა და გამოყენება;
- უცხოელ კოლეგებთან როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ინფორმაციის გაცვლა და სამეცნიერო დისკუსიებში ჩართვა.

#### ტექნოლოგიური უნარები:

- მონაცემთა ბაზის შედგენა ინდექსებითა და საძიებლებით;
- დამოუკიდებელი კვლევისთვის საჭირო ბიბლიოგრაფიის მოძიება და შერჩევა როგორც ქართულ და რუსულ, ისე უცხოურ ენებზე თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

#### სოციალური უნარები:

- შეძლებს ეფექტურ მუშაობას დამოუკიდებლად და ჯგუფში, როგორც წევრის, ისე ხელმძღვანელის როლში; შეეძლება ამოცანების მკაფიოდ ჩამოყალიბება, ჯგუფის სხვა წევრთა შესაძლებლობების სწორად გამოყენება, კონფლიქტური სიტუაციების აცილება.

#### სისტემური უნარები:

- არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების უნარი;

- სლავისტიკის პრობლემის გადასაწყვეტად მონაცემთა მოძიების, განმარტების და გამოყენების უნარი;
- სოციალური, სამეცნიერო და ეთიკური საკითხების შესახებ მოსაზრებების ამსახველი დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;
- კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და მის განხორციელება უახლეს მეთოდებსა და მიდგომებზე დაყრდნობით;
- სლავისტიკის დარგში დამოუკიდებლად კვლევის დაგეგმვა და მისი განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
- სამეცნიერო ლიტერატურის ახლებურად გააზრება კონკრეტული ემპირიული მასალის მოხმობით.

#### ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: 120 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერიტი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს სრულ პროფესორ დავით გოცირიძეს მაილზე [david.gotsiridze@tsu.ge](mailto:david.gotsiridze@tsu.ge)

**სამაგისტრო პროგრამის დასახელება:** რუსეთისმცოდნეობა

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** რუსეთისმცოდნეობის მაგისტრი / MA in Russian Studies

**სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი:** მოწვეული პროფესორი დალი კანდელაკი.

**სამაგისტრო პროგრამის მიზნები:** საქართველოში, კერძოდ კი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამგვარ სამაგისტრო პროგრამას დღემდე არ მოეძებნება ანალოგი. დარგის სინთეზურად სწავლება ან კვლევა სადღეისოდ უნივერსიტეტში არ ხდება. სწორედ ამ ხარვეზის შევსებას ისახავს მიზნად ჩვენს მიერ შემოთავაზებული სამაგისტრო პროგრამა.

სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებას შეძლებენ ისეთი სტუდენტები, რომლებმაც ერთი რომელიმე დარგის მიმართულებით მიიღეს განათლება, ამიტომ სწავლება მაგისტრატურაში უნდა წარიმართოს მულტიდისციპლინურიდან ინტერდისციპლინური პროგრამის მიმართულებით - დისციპლინების პარალელური სწავლების გზით; შესწავლილი დისციპლინები შეავსებს ერთმანეთს შესაბამის პედაგოგიურ და მეთოდოლოგიურ გარემოში.

პროგრამის მიზანია კვალიფიციური მკვლევარების მომზადება რუსეთისმცოდნეობაში; საზოგადოებისთვის კონკურენტუნარიანი, სათანადო ცოდნითა და დამოუკიდებელი კვლევის უნარ-ჩვევებით აღჭურვილი ისეთი კადრის მომზადება, რომელიც შესძლებს რუსეთის ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის, კულტურის და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებზე მუშაობას.

სასწავლო პროგრამა საინტერესო და სასარგებლო უნდა იყოს მაგისტრანტებისათვის მათი სამომავლო კარიერისა და ინტელექტუალური ზრდის თვალსაზრისით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მოღვაწეობას საერთაშორისო სამართლისა და სოციალური მეცნიერებების სფეროში, დიპლომატიურ ასპარეზზე, განაგრძობენ. მაგისტრანტს უნდა ჩამოუყალიბოთ ობიექტური, ჭეშმარიტად მეცნიერული და არა კონიუქტურული შეხედულება რუსეთზე, განსაკუთრებით, მეზობელ სახელმწიფოებთან მიმართებაში.

**სწავლის შედეგები:** რუსეთისმცოდნეობის მაგისტრს შეეძლება:

- მუშაობა საკითხებზე, რომლებიც ეხება რუსეთის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ სტრუქტურებსა და ინსტიტუტებს;
- რუსეთთან დაკავშირებული ზოგადი საკითხების ინტეპრეტირება ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ კონტექსტში;
- ინტერდისციპლინურ საკითხებზე მუშაობა;
- დარგის მულტიდისციპლინურობისა და დისციპლინებს შორის კავშირების აღქმა;
- რუსეთის პოლიტიკის კრიტიკული ანალიზი და ინტერპრეტირება;
- სხვადასხვა დისციპლინების მეთოდოლოგიის ინტეგრირებულად გამოყენება;
- კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს კვლევა სამეცნიერო ხელმძღვანელის დახმარებით, იმუშაოს აგრეთვე დამოუკიდებლად;
- კომუნიკაცია ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით;
- კომპიუტერული და ინტერნეტ-რესურსების ფლობა მონაცემების დამუშავებისას.

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:** 120 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერიტი შეფასება

სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს  
 კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს პროფესორ დალი  
 კანდელაკს ტელ: 77-14-55 (ბინა), 22-54-50 (სამსახური), ელ-ფოსტა: [dalikandelaki@rambler.ru](mailto:dalikandelaki@rambler.ru)

## სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება: ბრიტანეთისმცოდნეობა

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ბრიტანეთისმცოდნეობის მაგისტრი/ MA in British Studies

**სამაგისტრო პროგრამის მიზნები:** უცხო ენებისა და ქვეყნების შესწავლის მნიშვნელობა საყოველთაოდაა აღიარებული როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. უცხო ენის ცოდნისა და გამოყენების უნარი უაღრესად ფასეულია როგორც ცალკეული ინდივიდისათვის, ისე მთლიანად საზოგადოებისათვის. უცხო ენების ცოდნის მნიშვნელობა დასაქმებაზეც აისახება. ჰუმანიტარული დარგების კურსდამთავრებულთა შორის, უცხო ენების ფაკულტეტების კურსდამთავრებულებს დასაქმების ყველაზე მაღალი პროცენტი აქვთ. ენები უაღრესად დიდ როლს თამაშობენ ამ ენებზე მოლაპარაკე საზოგადოებათა კულტურის თუ ეროვნული ცნობიერების ჩაწვდომის საქმეში. ენების ცოდნა არის სწორედ ის გასაღები, რაც ადამიანებსა და ქვეყნებს შორის ურთიერთგაგებასა და თანამშრომლობას უწყობს ხელს.

ენებისა და საზოგადოებების მჭიდრო ურთიერთკავშირის გამო, ენათა შესწავლა საუნივერსიტეტო დონეზე მულტიდისციპლინარული სასწავლო პროცესია, რომელიც მოიცავს ლინგვისტურ, ლიტერატურულ, კულტურულ, სოციალურ, პოლიტიკურ, ისტორიულ თუ სხვა ასპექტებს.

წინამდებარე მულტიდისციპლინარული სამაგისტრო პროგრამის შექმნა ნაკარნახევია ენების შესწავლისადმი სწორედ ამგვარი თანამედროვე მიდგომით.

ამასთან ერთად, აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის შექმნის მიზანი ჩვენი ქვეყნის განვითარების პოლიტიკური და ეკონომიკური იდეოლოგიაცაა. საქართველო ისწრაფვის ევროპულ ოჯახში ინტეგრაციისაკენ და სურს გახდეს თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოების აქტიური წევრი. აქედან გამომდინარე, საქართველოს სჭირდება სპეციალისტები, რომლებიც კარგად იცნობენ სხვადასხვა ქვეყნების კულტურასა და საზოგადოებას.

ამრიგად, ბრიტანეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის დანერგვა პასუხობს თანამედროვე პრიორიტეტულ პრობლემატიკას, აქტუალურია იმიტომაც, რომ მაგისტრანტს აძლევს ფართო მულტიდისციპლინარული კვლევის საშუალებას, ზრდის მისი კომპეტენციის დონესა და ხარისხს, რითაც აფართოვებს მისი მომავალი დასაქმების შესაძლებლობებს.

აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა საშუალებას მისცემს მაგისტრანტს მიიღოს ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა ბრიტანეთის

ისტორიის, მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური მოწყობის, კულტურული და ეთნიკური თავისებურებების შესახებ, ბრიტანეთის ადგილისა და მისი მისიის შესახებ ზოგადევროპულ კონტექსტში. გვარდა ამისა, პროგრამით გათვალისწინებულია ინგლისური ენის ცოდნის სრულყოფა და, მაგისტრანტის მიერ არჩეული მეორე უცხო ენის შესწავლა.

პროგრამის სტრუქტურა სავსებით პასუხობს საერთაშორისო მოთხოვნებს (იხ. Languages and related studies) და ინგლისური ენა განიხილება არა როგორც მხოლოდ პრაქტიკულად დასაუფლებელი სასწავლო საგანი (ამას ემსახურება მისთვის გამოყოფილი 15 კრედიტი, მოდულის დასრულების შემდეგ მაგისტრანტის პრაქტიკული ცოდნა ინგლისურ ენაში უნდა პასუხობდეს C1 დონეს), არამედ როგორც გასაღები და საშუალება ბრიტანული კულტურის, ბრიტანეთის ისტორიისა თუ საზოგადოების კანონზომიერებების შესასწავლად.

**სწავლის შედეგები:** სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრანტებს ეცოდინებათ ინგლისური ენა C1 დონეზე, შეისწავლიან მათთვის სასურველ მეორე უცხო ენას.

ამასთან ერთად, მაგისტრანტებს ექნებათ:

- თეორიული და პრაქტიკული ცოდნა თანამედროვე ბრიტანეთისა და ზოგადად ევროპის პოლიტიკური, ეკონომიკური, სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების მოწყობის შესახებ;
- საფუძვლიანი ცოდნა ბრიტანული ლიტერატურის, ხელოვნებისა და თანამედროვე ბრიტანული საზოგადოების კულტურულ-ეთნიკური შემადგენლობისა და პრობლემატიკის შესახებ;



- საფუძვლიანი ცოდნა ბრიტანეთის როლისა და მისიის შესახებ ევროპულ კონტექსტში;
- ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემატიკის შესახებ მსჯელობის, დასაბუთების, პრობლემის კრიტიკული შეფასების უნარი;
- თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ბრიტანული და ქართული კულტურების შედარებისათვის;
- ბრიტანეთის კულტურის უნიკალურობის აღქმისა და შეფასების უნარი;
- მნიშვნელოვანი ცოდნა ბრიტანული კულტურის წვლილის შესახებ ევროპულ და გლობალურ დონეზე;
- უნარი ინტერდისციპლინარულ კონტექსტში, მიღებული ცოდნის დახმარებით, ჩამოაყალიბონ საკუთარი მოსაზრება, კონცეფცია, რომელიც დაეყრდნობა სხვადასხვა პარამეტრების ანალიზის შედეგებს;
- პროფესიული დასკვნების საჯარო წარდგენის უნარი;
- სხვა ექსპერტებთან თანამშრომლობის უნარი.

#### ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: 120 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერიტი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს მანანა რუსიეიშვილს ელ-ფოსტა: [manana.rusieishvili@tsu.ge](mailto:manana.rusieishvili@tsu.ge)

**სამაგისტრო პროგრამის დასახელება:** ამერიკისმცოდნეობა

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია:** ამერიკისმცოდნეობის მაგისტრი / MA in American Studies

**სამაგისტრო პროგრამის მიზანები** - სამაგისტრო პროგრამა ინტერდისციპლინარულია. ის მიზნად ისახავს აშშ-ის ყოველმხრივ შესწავლას და, როგორც მკვლევარი, ასევე, პრაქტიკოსი ამერიკისმცოდნეების მომზადებას, რომლებსაც ეცოდინებათ ამერიკის ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფერო: ისტორია, ფილოსოფია, პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება, სულიერი და მატერიალური კულტურა.

აშშ-ის პოლიტიკური და სოციალური ისტორიის, ამერიკელი ხალხის თვითმყოფადობის, მულტიკულტურული, პოლიეთნიკური, პოლიკონფესიური საზოგადოების თავისებურებების, პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების, კულტურისა და პრესის, ლიტერატურის ანალიზი კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს გახდეს პროფესიონალი ამერიკისმცოდნე, რომელიც შეძლებს ამ ზესახელმწიფოს მიღწევებისა თუ პრობლემების შესახებ ობიექტური ცოდნის გამოყენებას საკუთარი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

პროგრამაში შეტანილი კურსები მრავალფეროვანი, ძირითადად, ინტერდისციპლინარულია, რის გამოც სწავლების პროცესში ჩართული არიან სხვადასხვა ფაკულტეტისა და მიმართულების (ზოგიერთ შემთხვევაში კი, სხვადასხვა უნივერსიტეტის) პროფესორები. პროგრამაში მონაწილეობას მიიღებენ სტენფორდისა და რატგერსის უნივერსიტეტების პროფესორები, რომლებიც ჩაატარებენ ლექციების ციკლს ამერიკის საზოგადოებისა და კულტურის საკითხებზე ინტერნეტის (ე.წ. ვიდეო კონფერენციების) მეშვეობით და კონსულტაციას გაუწევენ, ან უხელმძღვანელებენ სამაგისტრო ნაშრომებს.

სწავლების პროცესში, აქტიურად არის ჩართული პროგრამის კონსულტანტი, რატგერსის უნივერსიტეტის პროფესორი მაიკლ როკლენდი. გათვალისწინებულია მისი ერთობლივი კურსი ქართველ პროფესორთან ერთად. პროგრამაში მონაწილეობას მიიღებენ სხვა ამერიკელი პროფესორებიც, (მაგ. პენსილვანიის უნივერსიტეტიდან) რომლებიც სემესტრის ან სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ მაინც ჩაატარებენ ლექციების მოკლე კურსს, ცალკეულ ლექციებს, ან ინტერნეტ კურსებს. პროგრამა უზრუნველყოფს არა მარტო ემპირიულ და თეორიულ ცოდნას, არამედ შემდგომი ინდივიდუალური, თუ კოლექტიური სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

ჩვენი ძირითადი კურსები კონცენტრირებულია ინტერესების რამდენიმე სფეროზე, კერძოდ, პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებებზე, ამერიკის ფილოსოფიაზე, ლიტერატურასა და კულტურაზე.

**სწავლის შედეგები:** პროგრამის დასრულების შემდგომ მაგისტრი უნდა ფლობდეს ღრმა ცოდნასა და შეეძლოს შემდეგი საკითხებისა და პრობლემების გაცნობიერება:

- ამერიკის ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროს: ისტორიის, ფილოსოფიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, საზოგადოების, სულიერი და მატერიალური კულტურის მიმართულებით;
- აშშ-ისა და ლათინური ამერიკის ძირითადი ქვეყნების პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების, ასევე, ამერიკელთა თვითმყოფადობის, მულტიკულტურული, პოლიეთნიკური, პოლიკონფესიური საზოგადოების თავისებურებების, პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების, კულტურისა და პრესის, ლიტერატურის გაცნობიერება;
- ნებისმიერი სფეროდან (ისტორია, ფილოსოფია, ლიტერატურა, ეკონომიკა, კულტურა და ა.შ.) ამერიკისმცოდნისათვის აუცილებელი აქტუალური პრობლემებისა და მიღწევების ცოდნა და გაცნობიერება;

- აშშ-საქართველოს მრავალმხრივი ურთიერთობის ისტორიისა და მისი განვითარების პერსპექტივების გაცნობიერება, ასევე, ამერიკაში ქართული დიასპორის ისტორიისა და მისი თანამედროვე პრობლემების ისტორიის ცოდნა; მაგისტრს უნდა შეეძლოს:
  - აშშ-ის და ლათინური ამერიკის ქვეყნების როგორც მიღწევების, ასევე პრობლემების ცოდნის გამოყენება, საკუთარი ქვეყნის პრობლემების უკეთ გაცნობიერებისა და მათი გადაჭრის გზების მოძიება;
  - ნებისმიერი ასპექტით (ისტორიული, ფილოსოფიური, მხატვრულ-ესთეტიკური, პოლიტიკური) იკვლიოს ამერიკული ფენომენი, განსაზღვროს მსოფლიო ფილოსოფიურ და პოლიტიკურ-მორალურ აზრთან მიმართებაში მისი ადგილი.
  - ინგლისურ და ესპანურენოვანი ლიტერატურისა და პროფესიული წყაროების კითხვა-თარგმნა. ენის თავისუფლად გამოყენება სოციალურ, აკადემიურ და პროფესიულ თემებზე სასაუბოდ.
  - გარდა ამისა, ის დახელოვდება გუნდურ მუშაობაში, რეფერატისა და ესსეს წერაში, პრეზენტაციების მოწყობაში; ჩამოუყალიბდება ანალიტიკური აზროვნებისა და დამოუკიდებელი კვლევის უნარ-ჩვევები, რომლებიც ნებისმიერ სფეროში წარმატების მიღწევის საწინდარია.

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: 120 ECTS კრედიტი**

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერითი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	მალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

კონსულტაციებისათვის გამოცდასთან დაკავშირებით შეგიძლიათ მიმართოთ ასოცირებული პროფესორს ელენე მეძმარიაშვილი, e-mail: [elene.medzmariashvili@tsu.ge](mailto:elene.medzmariashvili@tsu.ge), ტელ. 899988423

**სადოქტორო პროგრამის სახელწოდება:** ფილოსოფია

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია** - ფილოსოფიის დოქტორი / PhD in Philosophy.

**სადოქტორო პროგრამის მიზნები:** სადოქტორო პროგრამა ფილოსოფიაში დოქტორანტს სთავაზობს შემდეგ სპეციალიზაციებს: მეტაფიზიკა და ეპისტემოლოგია, ფილოსოფიის ისტორია, კულტურის ფილოსოფია და ესთეტიკა, სოციალური და პოლიტიკური ფილოსოფია, ლოგიკა და ენის ფილოსოფია, ეთიკა და რელიგიის ფილოსოფია და ა.შ. ბოლონის პროცესში საქართველოს ჩართვამ ახალი მოთხოვნილებების წინაშე დააყენა უმაღლესი განათლება. საჭირო გახდა ახალი ტიპის სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ სწრაფცვალებად გარემოში ახალი ორიენტირების, მოთხოვნილებებისა და პრობლემების შემოქმედებითად და დამოუკიდებლად გააზრებასა და გადაწყვეტას. დოქტორანტურის საერთაშორისოდ აპრობირებული სტანდარტების შესაბამისად სადოქტორო პროგრამა ფილოსოფიაში ითვალისწინებს დოქტორანტის ინტელექტუალურ ზრდას, აკადემიური და კვლევითი რესურსების ურთიერთდაახლოებას, სამეცნიერო მუშაობის გააქტიურებას და კვლევის ხარისხის ამაღლებას, საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ჩართვას და ახალი ცოდნის შექმნისა და დანერგვისათვის ხელისშეწყობას. აქედან გამომდინარე, სადოქტორო პროგრამის მიზანია: მოამზადოს სპეციალისტი, რომელიც მაღალ თეორიულ დონეზე გააანალიზებს და ერთიან დისკურსში წარმოადგენს ადამიანის სამყაროსადმი ფუნდამენტურ მიმართებებს, უპასუხებს თანამედროვე სამყაროს გამოწვევებს. სადოქტორო პროგრამაში თანამედროვე ფილოსოფიის სწორედ ამგვარი სპეციფიკაა გათვალისწინებული - იგი იმ ფილოსოფიური მიმდინარეობების, კონცეფციების, სტრატეგიების შესწავლაზეა ორიენტირებული, რომელთა გარეშეც დღევანდელ ინტელექტუალურ ვითარებაში წარმოუდგენელია ფილოსოფიური პრობლემების თემატიზირება და გადაწყვეტა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა კლასიკურ და არაკლასიკურ პარადიგმებს შორის კონფლიქტის არსის გაშუქებას, პოსტმოდერნული პოსტულატების სისტემატურ და კრიტიკულ გააზრებას, პროგრამა ითვალისწინებს ტრადიციული ფილოსოფიური სტრატეგიების კონკრეტიზაციას ექსისტენცის ტრანსცენდირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ონტოლოგიურ მოდულში. კერძოდ, სწავლებას, სწავლასა და კვლევას მეტაფიზიკისა და ეპისტემოლოგიის, ფილოსოფიის ისტორიის, ეთიკის, ესთეტიკის, კულტურის ფილოსოფიის, პოლიტიკური და სოციალური ფილოსოფიის, ენის ფილოსოფიის, ლოგიკის, რელიგიის ფილოსოფიის და ა.შ. მიმართულებით. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესორებს აქვთ მდიდარი გამოცდილება სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობაში:

მათი ეს გამოცდილება გამოყენებულ იქნება სადოქტორო თემების დამუშავების პროცესში, დოქტორანტები აქტიურად იქნებიან ჩართულნი სამეცნიერო გრანტების განხორციელებაში.

**სწავლის შედეგები:** დოქტორანტი შესძლებს განსახილველი საკითხის ნათლად არტიკულირებას სხვადასხვა სფეროებში. აზრის სიზუსტის მიღწევასა და მის ადექვატურ გამოყენებას რთული და წინააღმდეგობრივი დებატებისას. სხვადასხვა ტრადიციაში და ეპოქაში გამოთქმულ შეხედულებათა და ტექსტის აზრის ინტერპრეტაციას. წარმოდგენილი არგუმენტების კრიტიკული შეფასებას. დოქტორანტი თავისუფლად შესძლებს პოზიციის დამადასტურებელი, ან საწინააღმდეგო მაგალითების აღმოჩენას და შესაფერისი ძლიერი და სუსტი მოსაზრებების განცალკევებას. სხვადასხვა დროის და ტრადიციის ტექსტების აღქმას. მეთოდოლოგიური შეცდომების გაცნობიერებას.

### **1. ცოდნა და გაცნობიერება**

1.1. თანამედროვე დასავლური ტრადიციის გათვალისწინებით ფილოსოფიის განვითარების ისტორიული ეპოქების ცოდნა. ქართული ფილოსოფიური აზრის *adgilis* გაცნობიერება.

1.2. თანამედროვე ფილოსოფიის თეორიებისა და მეთოდოლოგიის დაუფლება მეტაფიზიკა და ეპისტემოლოგია, ფილოსოფიის ისტორია, ეთიკა, ესთეტიკა, კულტურის ფილოსოფია,

პოლიტიკური და სოციალური ფილოსოფია, ენის ფილოსოფია, ლოგიკა, რელიგიის ფილოსოფია დონეებზე.

1.3. თანამედროვე ფილოსოფიის ძირითადი მეთოდების და მეთოდოლოგიების ცოდნა.

## 2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/პრაქტიკული უნარები

2.1. სამეცნიერო ნაშრომების წერის უნარი

2.2. სამეცნიერო მოხსენებების წარდგენის უნარი. აზრის სიზუსტის მიღწევის უნარი და მისი ადექვატური გამოყენების უნარი რთულ და წინააღმდეგობრივ დებატებისას.

2.3. სხვადასხვა ტრადიციაში და ეპოქაში გამოთქმულ შეხედულებათა და ტექსტის აზრის ინტერპრეტაციის უნარი. სხვადასხვა დროის და ტრადიციის ტექსტების აღქმის უნარი

2.3. სალექციო კურსების მომზადებისა და წაკითხვის უნარი

## 3. ზოგადი/ტრანსფერული უნარები

3.1. სამეცნიერო ნაშრომისათვის საჭირო მასალის მოპოვების უნარი. უნარი გადალახოს საგნის ტრადიციული საზღვრები, სხვა დისციპლინათა ნაკლოვანებებისა და ღირსების განხილვით და აღმოაჩინოს ფილოსოფიური დოქტრინები უცნობ არეებზე.

3.2. ემპირიული მასალის ანალიზისა და კლასიფიკაციის უნარი

3.3. მეცნიერული არგუმენტირების უნარი

3.4. დისკუსიებში მონაწილეობის უნარი. კულტურათა დიალოგში მონაწილეობის და დებატების უნარი.

3.5. საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტების გამოყენების უნარი

3.6. საკუთარი თავის მოტივირების უნარი.

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: 180 ECTS კრედიტი**

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერითი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დოქტორანტურაში დასკვნითი სემესტრული გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX

0-40	ჩაიჭრა	F
------	--------	---

FX შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება, ხოლო F შეფასების შემთხვევაში სტუდენტმა კრედიტების მისაღებად კურსი თავიდან უნდა გაიაროს.

სადისერტაციო ნაშრომი ფასდება:

ა) (P) – დაიცვა;

ბ) (F) – ვერ დაიცვა.

დისერტაციის დაცვის შემთხვევაში, მისი საბოლოო შეფასება ხდება შემდეგი სისტემით:

summa cum laude – ფრიადი;

magna cum laude – ძალიან კარგი;

cum laude – კარგი;

bene – საშუალო;

rite – დამაკმაყოფილებელი.

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს სრულ პროფესორ აკაკი ყულიჯანიშვილს მაილზე: [akaki.kulidjanishvili@tsu.ge](mailto:akaki.kulidjanishvili@tsu.ge)

**საკონტაქტო პირი/პირები:** სრული პროფესორი აკაკი ყულიჯანიშვილი, ასოცირებული პროფესორი ანასტასია ზაქარიაძე, ასოცირებული პროფესორი დემურ ჯალაღონია, ასოცირებული პროფესორი მამუკა ბიჭაშვილი

**სადოქტორო პროგრამის სახელწოდება:** ისტორია

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია:** ისტორიის დოქტორი / PhD In History

**პროგრამის მიზნები:** სადოქტორო პროგრამა აერთიანებს ისტორიის ყველა სფეროსა და პერიოდს (საქართველოს ისტორია, კავკასიის ისტორია, მსოფლიო ისტორია – ძველი, შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი), აგრეთვე კულტურის მეცნიერებების იმ კომპონენტებს, რომლებიც ისტორიულ მეცნიერებასთან მჭიდროდაა გადაჯაჭვული (კულტურის ისტორია, ისტორიული კულტუროლოგია და სხვ.).

პროგრამის მიზანია თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოამზადოს ისტორიის სხვადასხვა სფეროში მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევასა და დარგის ცალკეული დისციპლინის სწავლებას უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში.

სწავლის შედეგი:

- დოქტორანტი უნდა ფლობდეს ღრმა ცოდნას საკუთარ სპეციალობაში და კარგად ერკვეოდეს მომიჯნავე დარგების სპეციფიკაში.
- მას უნდა შეემლოს კვლევა არა მხოლოდ ქართული, არამედ დასავლური მეცნიერების უახლესი მიღწევების გათვალისწინებით, თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებისა და უახლესი ინტერდისციპლინარული მეთოდების გამოყენებით.
- მას უნდა შეემლოს დარგის შემადგენელი ცალკეული დისციპლინის სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში.
- შეემლება არა მხოლოდ დამოუკიდებელი და თვითკრიტიკული იყოს საკუთარი სწავლისა და მუშაობის დროს, არამედ ხელი შეუწყოს სხვებსაც სწავლის პროცესში, ამასთანავე მას უნდა ჰქონდეს პასუხისმგებლობის გამოკვეთილი გრძნობა და იმ შემთხვევაში, თუ წარმოიქმნება რთული და მოულოდნელი სიტუაციები, გამოიჩინოს ავტონომიური ინიციატივა.
- შეემლება ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა. ასევე კვლევის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების დამოუკიდებლად შემუშავება.

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:** 180 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერითი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დოქტორანტურაში დასკვნითი სემესტრული გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A

81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

FX შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება, ხოლო F შეფასების შემთხვევაში სტუდენტმა კრედიტების მისაღებად კურსი თავიდან უნდა გაიაროს.

სადისერტაციო ნაშრომი ფასდება:

ა) (P) – დაიცვა;

ბ) (F) – ვერ დაიცვა.

დისერტაციის დაცვის შემთხვევაში, მისი საბოლოო შეფასება ხდება შემდეგი სისტემით:

summa cum laude – ფრიადი;

magna cum laude – ძალიან კარგი;

cum laude – კარგი;

bene – საშუალო;

rite – დამაკმაყოფილებელი.

**საკონტაქტო პირი:** სრული პროფესორი ლევან გორდეზიანი



**სადოქტორო პროგრამის სახელწოდება:** საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია** - ისტორიის დოქტორი / PhD in History

**სადოქტორო პროგრამის მიზნები:**

როგორც ცნობილია, წყაროთმცოდნეობა ისტორიული სამეცნიერო დისციპლინაა, რომლის საგანს წყაროთა ინფორმაციული შესაძლებლობის განსაზღვრა წარმოადგენს. ისტორიული მეცნიერების სტრუქტურაში ამგვარი მიზანდასახულების დარგის გაფორმების აუცილებლობას განაპირობებს ისტორიული შემეცნების უმთავრესი თავისებურება, კერძოდ, ის, რომ შემეცნების ობიექტი ანუ გარდასული სინამდვილე – დამკვირვებელს უშუალოდ ცდაში არ ეძლევა, ისტორიკოსი მას “ადადგენს” წარსულის მიერ დატოვებული კვალის – ისტორიული წყაროს – მეშვეობით. რაც უფრო სრულყოფილად იცნობს ისტორიკოსი წყაროს, მით უფრო კორექტულია კითხვები, რომლებსაც ის, როგორც მკვლევარი, სვამს წყაროს წინაშე, მით უფრო სრულია ამ კითხვების საფუძველზე აღდგენილი ისტორიული სინამდვილის სურათი.

საქართველოში წყაროთმცოდნეობით ძიებებს ხანგრძლივი და მყარი ტრადიცია აქვს. როგორც მეცნიერება ეს დარგი ჩვენში XX საუკუნის დასაწყისში ყალიბდება. ამ დროიდან მოყოლებული დღემდე გამოცემულია წყაროთმცოდნეობითი პროფილის ასობით სამეცნიერო ნაშრომი, წყაროთა გარეგან და შინაგან კრიტიკას რომ ისახავენ მიზნად. არსებობს თეორიული ნაშრომებიც და მრავალრიცხოვანი თანამედროვე სამეცნიერო აპარატით აღჭურვილი პუბლიკაციები და წყაროთა თარგმანები. ასე რომ, წყაროთმცოდნეობა საქართველოში არის დიდი ტრადიციის მქონე, ამასთან მომავალი კვლევების თვალსაზრისით პერსპექტიულიც, ისტორიული კვლევის წყაროთმცოდნეობითი ეტაპი ხომ ისტორიული შემეცნების საფუძველია. საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა ძალიან ფართო ქრონოლოგიის მომცველი ინტერდისციპლინური სამეცნიერო მიმართულებაა. 2009-2010 სასწავლო წლისათვის პროგრამა კონცენტრაციას მოახდენს მხოლოდ ორ ისტორიულ ეპოქაზე (შუა საუკუნეები და ახალი – მოდერნული – დრო), წყაროთა ერთ ტიპზე (წერილობითი წყაროები) და ენობრივი თვალსაზრისით ორ განსხვავებულ ჯგუფზე (ადგილობრივი ანუ ქართული და უცხოური: ამ შემთხვევაში აღმოსავლური – ოსმალურ და არაბული - წყაროები).

წყაროთმცოდნეობასთან ერთად სპეციალურ ისტორიულ დისციპლინას წარმოადგენს ისტორიოგრაფიაც. ყოველი სამეცნიერო დარგის წინსვლისათვის აუცილებელია პერიოდულად განვლილი გზის შეჯამება. ამგვარ ძიებებს ორგვარი ინტერესი აქვთ. ერთი მხრივ, ესაა მეცნიერების ისტორია, რომლის შემეცნებითი მნიშვნელობა ეჭვს არ იწვევს; მეორე მხრივ, წარსულის შედეგების გათვალისწინება საფუძველს იძლევა მომავლის პერსპექტივების დასახვისათვის. ეს დარგიც საკმაოდ განვითარებულია საქართველოში. არსებობს არაერთი ისტორიოგრაფიული გამოკვლევა, რომელიც ახალ პერიოდს შეეხება, აგრეთვე შუა საუკუნეებში ისტორიული აზროვნების ამსახველი ნაშრომები.

საქართველოს ისტორიის ისტორიოგრაფიაშიც 2009-2010 წლებისათვის კონცენტრაციის სფეროს წარმოადგენს ორი ისტორიული ეპოქა ანუ შუა საუკუნეები და ახალი – მოდერნული – დრო. პროგრამა გულისხმობს განახლებას ყოველი სემესტრის შემდგომ. ამ დროს, უპირველეს ყოვლისა, მოსალოდნელია ცვლილებანი კონცენტრაციის სფეროების და ქრონოლოგიის თვალსაზრისით ანუ პერიოდულად შეიცვლება ის კვლევითი არეალები და პერიოდები, რომლებშიც დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის თემის შერჩევა შეეძლება. შესაბამისად განახლდება პროგრამაში დაკავებულ პროფესორთა სიაც. წინამდებარე შემთხვევისათვის კი ეს არეალები განსაზღვრულია შემდეგნაირად: შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის ქართული ნარატიული წყაროების კვლევა; შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის ქართული დოკუმენტური წყაროების კვლევა; შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროების კვლევა. შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის არაბული წყაროების კვლევა. შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფია; ახალი დროის საქართველოს ისტორიის

ნარატიული წყაროების კვლევა; ახალი დროის საქართველოს ისტორიის დოკუმენტური წყაროების კვლევა; ახალ დროის ქართული ისტორიოგრაფიის ისტორიის კვლევა.

პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტის დახელოვნებას ისტორიულ კვლევებში განსაკუთრებული აქცენტით საქართველოს ისტორიის შუა საუკუნეებისა და ახალი პერიოდის წყაროთმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიაზე. იგი გულისხმობს როგორც მრავალმხრივი საგნობრივად სპეციფიკური კონკრეტული წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ფაქტობრივი მასალის მიწოდებას დოქტორანტიისათვის, ასევე აღნიშნული მიმართულების შესაბამისი თეორიული ცოდნით და სათანადო კვლევის ჩატარებისათვის აუცილებელი სამეცნიერო ინსტრუმენტარიუმით მის აღჭურვას.

**სწავლის შედეგი:** პროგრამის წარმატებით გავლის შემთხვევაში სტუდენტს ექნება სრულყოფილი და შემოქმედებითი გზით მიღებული ცოდნა ორი სპეციალური ისტორიული დისციპლინის - ისტორიოგრაფიისა და წყაროთმცოდნეობის - უმთავრესი პრობლემატიკისა, ექნება ამომწურავი ინფორმაცია მთლიანად საქართველოს ისტორიის წყაროთა ბაზაზე, შუა საუკუნეებში და ახალ დროში ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების ძირითად ეტაპებზე და წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევების სპეციფიკაზე; შეეძლება თანამედროვე ისტორიული მეცნიერების მოთხოვნილებათა შესატყვისი სამეცნიერო კვლევის ჩატარება რომელიმე ზემოთ აღნიშნულ სფეროში, რაც გულისხმობს: სათანადო ფაქტობრივი მასალის შემოქმედებით ათვისებას, ამ მონაცემების თეორიულ საფუძველზე სისტემატიზების უნარს და წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული რეკონსტრუქციის მეთოდის და ტექნოლოგიის ცოდნასა და მათი პრაქტიკაში გამოყენების სათანადო ჩვევას. ამასთან დოქტორანტს შეეძლება საქართველოს ისტორიის დარგში სასწავლო პროცესის სრულყოფილი წარმართვა, წყაროთა მონაცემებით კარგად დოკუმენტირებული სამეცნიერო ექსპერტიზის ჩატარება. დოქტორანტს ექნება ისტორიული მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონის შესატყვისი უნარი სამეცნიერო ინფორმაციის მოძიებისა, სამეცნიერო ნაშრომის გაფორმებისა და პრეზენტაციის, აგრეთვე გუნდში, მაგალითად, პროექტში მუშაობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები.

#### **ცოდნა და გაცნობიერება:**

- 3.1. დოქტორანტს ექნება ორი სპეციალური ისტორიული დისციპლინის - ისტორიოგრაფიისა და წყაროთმცოდნეობის - უმთავრესი პრობლემატიკის სრულყოფილი და შემოქმედებითი გზით მიღებული ცოდნა
- 3.2. დოქტორანტს ექნება შუა საუკუნეებში და ახალ დროში ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების ძირითადი ეტაპების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია
- 3.3. დოქტორანტს ექნება წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევების სპეციფიკის გაცნობიერება
- 3.4. დოქტორანტს ექნება წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული რეკონსტრუქციის მეთოდის და ტექნოლოგიის სრულყოფილი ცოდნა
- 3.5. დოქტორანტს ეცოდინება ისტორიის სწავლების თავისებურებანი, წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ხასიათის მასალის მიწოდების სპეციფიკა ქართული მაგალითის გათვალისწინებით

#### **პრაქტიკული უნარები:**

- 2.1. დოქტორანტს ექნება წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ძიებების სრულყოფილად ჩატარების და მოძიებული ფაქტების ანალიზის, სინთეზის, ისტორიულ რეკონსტრუქციაში გამოყენების უნარი.
- 2.2. დოქტორანტს შეეძლება საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის და ისტორიოგრაფიის დარგში სამეცნიერო წერილობითი ნაშრომის, როგორც სტატიის, ასევე მონოგრაფიის თანამედროვე ისტორიული მეცნიერების მოთხოვნილებების შესაბამისად გაფორმება.

2.6. დოქტორანტს შეეძლება ნაშრომთა და წყაროთა კომენტირება და რეცენზირება, ისტორიოგრაფიული ნარკვევის დაწერა

2.8. დოქტორანტს შეეძლება წყაროთა გამოსაცემად მომზადება, წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კომენტარებით მათი აღჭურვა

**ზოგადი/ტრანსფერული უნარები:**

3.1. დოქტორანტს შეეძლება მუშაობა უცხოენოვან სპეციალურ ლიტერატურაზე და სემინარებში, კონფერენციებში მონაწილეობა დოქტორანტს გაულრმავეებს ენების ცოდნას და ჩამოუყალიბებს პრეზენტაციის უნარს.

3.2. დოქტორანტი ჩამოყალიბდება კომუნიკაბელურ და თვითკრიტიკულ პიროვნებად, რადგან მას ხშირად მიეცემა შესაძლებლობა იმუშაოს ჯგუფში, იყოს ექპედიციაში, სასწავლო პრაქტიკაზე; მოიპოვოს ინფორმაცია ინტერვიუს გზით, დაწეროს კოლექტიური სამეცნიერო პროექტი მონაწილეობა მიიღოს დისკუსიაში.

3.3. წყაროების შესწავლისადმი მიძღვნილი კურსები დოქტორანტს კიდევ უფრო განუვითარებს საზოგადოდ ტექსტების ინტერპირების უნარს და საზოგადებრივ მოვლენებში სწრაფი ორიენტირების და ადეკვატური თეორიული და პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღების ჩვევას.

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: 180 ECTS კრედიტი**

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერიტი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დოქტორანტურაში დასკვნითი სემესტრული გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

FX შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება, ხოლო F შეფასების შემთხვევაში სტუდენტმა კრედიტების მისაღებად კურსი თავიდან უნდა გაიაროს.

სადისერტაციო ნაშრომი ფასდება:

ა) (P) – დაიცვა;

ბ) (F) – ვერ დაიცვა.

დისერტაციის დაცვის შემთხვევაში, მისი საბოლოო შეფასება ხდება შემდეგი სისტემით:

summa cum laude – ფრიადი;

magna cum laude – ძალიან კარგი;

cum laude – კარგი;

bene – საშუალო;

rite – დამაკმაყოფილებელი.

**საკონტაქტო პირი:** სრული პროფესორები: პროფესორი გიული ალასანია, პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი

**სადოქტორო პროგრამის სახელწოდება:** არქეოლოგია

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია** - არქეოლოგიის დოქტორი PhD in Archaeology

**სადოქტორო პროგრამის მიზნები:**

არქეოლოგია, როგორც ჰუმანიტარული მეცნიერების ყველაზე პროგრესულად განვითარებადი დარგია. შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი ჰუმანიტარული დარგის მიმართ არ არსებობს ისეთი მზარდი ინტერესი, როგორც არქეოლოგიის მიმართ. ბოლონის პროცესში საქართველოს ჩართვამ ახალი მოთხოვნილებების წინაშე დააყენა უმაღლესი განათლება. საჭირო გახდა ახალი ტიპის სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ სწრაფცვალებად გარემოში ახალი ორიენტირების, მოთხოვნილებებისა და პრობლემების შემოქმედებითად და დამოუკიდებლად გააზრებასა და გადაწყვეტას. დოქტორანტურის საერთაშორისოდ აპრობირებული სტანდარტების შესაბამისად სადოქტორო პროგრამა არქეოლოგია ითვალისწინებს დოქტორანტის ინტელექტუალურ ზრდას, აკადემიური და კვლევითი რესურსების ურთიერთდაახლოებას, სამეცნიერო მუშაობის გააქტიურებას და კვლევის ხარისხის ამაღლებას, საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ჩართვას და ახალი ცოდნის შექმნისა და დანერგვისათვის ხელისშეწყობას. აქედან გამომდინარე, სადოქტორო პროგრამის მიზანია: მოამზადოს სპეციალისტი, რომელიც მაღალ თეორიულ დონეზე გააანალიზებს და ერთიან დისკურსში წარმოადგენს ადამიანის სამყაროსადმი ფუნდამენტურ მიმართებებს, უპასუხებს თანამედროვე სამყაროს გამოწვევები.

არქეოლოგიის მიზნიდან გამომდინარე როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო მასშტაბებით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეროვნული და საერთაშორისო კულტურული მემკვიდრეობის კვლევასა და საზოგადოებისათვის მისი შინაარსის მიწოდებას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ უკანასკნელ წლებში ნათლად გამოიკვეთა არქეოლოგიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დანიშნულება – წარმოაჩინოს არა მხოლოდ საზოგადოების, არამედ ბუნების გარკვეული მოვლენების განვითარების ტენდენციებიც, რაც შეუდარებლად ზრდის მისი, როგორც მეცნიერების თანამედროვე დარგის განვითარებისა და გამოყენების აუცილებლობის ინდექსს. ესაა არქეოლოგიის ინტერდისციპლინარული ხასიათი, რაც გამოიხატება არქეოლოგიურ კვლევებში საბუნებისმეტყველო დარგების მიღწევათა ფართო დანერგვითა და საბუნებისმეტყველო დარგების კონკრეტულ ამოცანათა დასახვისა და გადაჭრის შესაძლებლობებში. ამავე დროს არქეოლოგია ინარჩუნებს თავის ღრმა კულტურული, სოციალური და პოლიტიკური კვლევის ასპექტებს. ამდენად, არქეოლოგიის განვითარებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. დადგენილია ის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. ესაა არა მხოლოდ ქვის და ბრინჯაოს ხანის, ასევე ისტორიული პერიოდის არქეოლოგიის კარდინალური საკითხები, აგრეთვე თანამედროვე კვლევების (მათ შორის, დათარიღების ახალი მეთოდების) საერთაშორისო ნორმები. ყველაფერი ეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უქმნის საერთაშორისო არქეოლოგიური სამეცნიერო კვლევების ცენტრის რეალურ სტატუსს.

თანახმად საქართველოს კანონისა "უმაღლესი განათლების შესახებ", დოქტორანტურა არქეოლოგიის დარგში განიხილება როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, როგორც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პროფესიული მომზადების დამამთავრებელი ეტაპი, სასწავლო - სამეცნიერო კვლევების ერთობლიობა, რომლის კონკრეტული მიზანია მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადება.

არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოს, კავკასიის, მახლობელი აღმოსავლეთისა და ანტიკური სამყაროს მატერიალური კულტურის არსის, მისი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობის, სოციალური ხასიათის დადგენას. შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში დოქტორანტი შეიძენს თანამედროვე სტანდარტებით

კვლევის ჩვევებს, მიღებული ცოდნის გარკვეულ ეტაპზე და კონკრეტული მიმართულებით აკუმულაციის უნარს.

### სწავლის შედეგი:

#### ცოდნა და გაცნობიერება

1.3. თანამედროვე არქეოლოგიის ძირითადი მეთოდების და მეთოდოლოგიების ცოდნა.

#### 2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/პრაქტიკული უნარები

2.1. სამეცნიერო ნაშრომების წერის უნარი

2.2. სამეცნიერო მოხსენებების წარდგენის უნარი. აზრის სიზუსტის მიღწევის უნარი და მისი ადექვატური გამოყენების უნარი რთულ და წინააღმდეგობრივ დებატებისას.

2.3.2.3. სალექციო კურსების მომზადებისა და წაკითხვის უნარი

#### 3. ზოგადი/ტრანსფერული უნარები

3.1. სამეცნიერო ნაშრომისათვის საჭირო მასალის მოპოვების უნარი. უნარი გადალახოს საგნის ტრადიციული საზღვრები, სხვა დისციპლინათა ნაკლოვანებებისა და ღირსების განხილვა

3.2. ემპირიული მასალის ანალიზისა და კლასიფიკაციის უნარი

3.3. მეცნიერული არგუმენტირების უნარი

3.4. დისკუსიებში მონაწილეობის უნარი. კულტურათა დიალოგში მონაწილეობის და დებატების უნარი.

3.5. საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტების გამოყენების უნარი

3.6. საკუთარი თავის მოტივირების უნარი.

პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე დოქტორანტურაში სწავლის დროს მოხდება ძირითადი აქცენტის გადატანა არქეოლოგიის იმ მიმართულების უმთავრესი საკითხებზე, რომელიც დოქტორანტის კონკრეტული ინტერესების სფეროს სრულიად შეესაბამება. აქედან გამომდინარე, დოქტორანტურაში განსაკუთრებული სისრულით იქნება შესწავლილი საკვლევი თემასთან დაკავშირებული ინტერდისციპლინარული შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს სამეცნიერო ანალიზის განსაკუთრებული შედეგების მიღებას. არქეოლოგიური საქმიანობის სპეციფიური ხასიათიდან გამომდინარე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სამეცნიერო კვლევის მენეჯმენტის შესწავლას.

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:** 180 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერიტი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმას წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დოქტორანტურაში დასკვნითი სემესტრული გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B

71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

FX შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება, ხოლო F შეფასების შემთხვევაში სტუდენტმა კრედიტების მისაღებად კურსი თავიდან უნდა გაიაროს.

სადისერტაციო ნაშრომი ფასდება:

ა) (P) – დაიცვა;

ბ) (F) – ვერ დაიცვა.

დისერტაციის დაცვის შემთხვევაში, მისი საბოლოო შეფასება ხდება შემდეგი სისტემით:

summa cum laude – ფრიადი;

magna cum laude – ძალიან კარგი;

cum laude – კარგი;

bene – საშუალო;

rite – დამაკმაყოფილებელი.

**საკონტაქტო პირი:** ასოცირებული პროფესორები: ვახტანგ ლიჩელი, ზვიად კვიციანი

## სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: მედიევსტიკა

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია** - საკვლევი თემატიკის გათვალისწინებით შესაბამის დისციპლინაში - ისტორიის დოქტორი (PhD in History; ფილოლოგიის დოქტორი PhD in Philology ფილოსოფიის დოქტორი PhD და ა.შ.

**სადოქტორო პროგრამის მიზნები:** სადოქტორო პროგრამა მედიევსტიკაში მოიცავს მსოფლიო ისტორიის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეპოქას, როდესაც ხდება როგორც ევროპის ხალხებისა და ევროპული სახელმწიფოების, ასევე კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ხალხთა და სახელმწიფოთა ფორმირება, ქრისტიანული რელიგიისა და ისლამის ინსტიტუციონალური ჩამოყალიბება. ისტორიის ეს პერიოდი უკვე დიდი ხანია დამოუკიდებელი კვლევის ობიექტი გახდა და ჰუმანიტარულ კვლევებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

მაგისტრატურის შემდგომი ეტაპი მოითხოვს მედიევსტიკის უფრო ღრმა შესწავლას. შუა საუკუნეების დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის, მახლობელი აღმოსავლეთის, კავკასიის და საქართველოს თავისებური განვითარების გზების შესწავლის საფუძველზე, განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება შუა საუკუნეების მწერლობისა და საერთოდ, წყაროთმცოდნეობითი ბაზის შესწავლას, ასევე შუა საუკუნეების განვითარების ეტაპების პერიოდიზაციის განსაზღვრას და მედიევსტიკის მეთოდოლოგიის შესწავლას. ზოგადად მედიევსტიკისა, ბიზანტინისტიკის, აღმოსავლეთმცოდნეობისა და ქართველოლოგიის თანამედროვე მიღწევათა ცოდნას. პრობლემური სწავლების ფორმა, სოციოლოგიური მეთოდების დანერგვა ისეთი საკითხების კვლევის საშუალებას გვაძლევს, როგორცაა სოციალური ყოფა, მენტალობა. მსგავსი პრობლემების კვლევა, რომლებიც თავისთავად შეიცავენ პოლიტიკურ, სამართლებრივ და კონფესიურ ისტორიას, სოციალური ფსიქოლოგიისა და კულტუროლოგიის ელემენტებს, საშუალებას იძლევა გავიგოთ პოლიტიკურ ქმედებათა და საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი მოტივები. კონფესიური საკითხები, რელიგიური ომები, სამოქალაქო და საეკლესიო ინსტიტუტები, რენესანსი, რეფორმაცია, ნაციონალური საკითხები, ახალი ევროპის ფორმირება ის მნიშვნელოვანი პრობლემებია, ფეოდალიზმის თავისებურების შესწავლასთან ერთად, რომელთა ღრმა ცოდნა და შედარებითი დახასიათება იძლევა საშუალებას ახლადჩამოყალიბებული მკვლევარისათვის, როგორც ზოგადი მედიევსტიკის პრობლემებში, ასევე საქართველოს ისტორიის და კულტურის საკითხებში უფრო ღრმა ჩაწვდომისა, ასევე ანალიტიკური აზროვნების უნარის განვითარებისათვის. ამ ეტაპზე უფრო მეტად ინტეგრირებული ხდება სწავლება ისეთ დარგებთან, როგორცაა ისტორია, ფილოლოგია, კულტუროლოგია, სოციოლოგია, სამართალი, ფილოსოფია, აღმოსავლეთმცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა, თეოლოგია და ა.შ. დოქტორანტი შეისწავლიან განსხვავებულ მეთოდოლოგიურ მიდგომებს და მასთან დაკავშირებულ ორიენტირებს, კვლევის კომპარატივისტულ მეთოდებს, აგრეთვე სივრცით, ქრონოლოგიურ და თემატურ მიდგომებს.

დოქტორანტურის საფეხურზე დოქტორანტი მიიღებს მედიევსტიკის სფეროში სისტემური ცოდნას, შეიმუშავებს კვლევის ორიგინალურ, კრიტიკულ ანალიზის, შეფასებისა და სინთეზის უნარს. პროგრამის ფარგლებში იგი შეიმუშავებს ორიგინალურ წყაროებზე მუშაობის უნარს, ფართოდ დაეუფლება კვლევის თემატიკის გათვალისწინებით კლასიკურ, ასევე დასავლეთისა და აღმოსავლეთის შუა საუკუნეების ენებსა და ლიტერატურას. სწავლების ეს ეტაპი ორიენტირებულია როგორც სამეცნიერო კვლევის მიმართულებით, ასევე პროფესიონალი კადრის მომზადებაზე უმაღლესი სასწავლებლისათვის. ამდენად, სწავლების ამ ეტაპზე მოხდება საჯარო პრეზენტაციის, სამეცნიერო და სასწავლო მუშაობის პროცესში პროფესიული კომუნიკაციის უნარის განვითარება და დახვეწა. ასევე დოქტორანტს მიეცემა საშუალება ჩაერთოს ინტერდისციპლინარული პროექტების შედგენაში, როგორც ფაკულტეტის შიგნით არსებულ ინსტიტუტებთან ერთად, ასევე სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერებების და იურიდიული ფაკულტეტის ინსტიტუტებთან; შესაძლოა კონტაქტები როგორც ქვეყნის შიგნით შესაბამის



სამეცნიერო და სასწავლო ინსტიტუტებთან თუ ორგანიზაციებთან, ასევე ქვეყნის გარეთ ამ დარგის წამყვან სპეციალისტებთან და სამეცნიერო ინსტიტუტებთან.

პროგრამის თემატიკა დოქტორანტს საშუალებას აძლევს, მიიღოს თეორიული ცოდნა, განავითაროს და დახვეწოს ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი კონკრეტული ისტორიული პროცესების გათვალისწინებით. პროგრამა დოქტორანტს საშუალებას აძლევს თავისი ინდივიდუალური სამუშაო გეგმა შეადგინოს, როგორც რეგიონალური პრინციპით (დასავლეთ ევროპა, აღმოსავლეთ ქრისტიანული სამყარო, მახლობელი აღმოსავლეთი, კავკასია, საქართველო, ასევე სხვადასხვა დისციპლინებში (ისტორია, ლიტერატურა, სამართალი, ფილოსოფია, ხელოვნება, რელიგია...)). ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა შედარებითი კვლევების წარმოება. პროგრამა არ არის შეზღუდული რომელიმე ლოკალური რეგიონის შესწავლით, არამედ მის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ფართო არეალის შესწავლა და მათი შედარებითი ანალიზი.

### **სწავლის შედეგი:**

#### **ცოდნა და გაცნობიერება**

მას ექნება კონკრეტულ, ფართო და დეტალურ ცოდნა დასავლეთ ევროპის, აღმოსავლეთის ქრისტიანული სამყაროს, მახლობელი აღმოსავლეთისა და საქართველოს შუა საუკუნეებისა და ადრეული ახალი პერიოდის ისტორიის, ლიტერატურის, ფილოსოფიის და ხელოვნების და შუა საუკუნეების ეკლესიის და ისლამის შესახებ.

მას ეცოდინება როგორც რეგიონალური თავისებურებების გათვალისწინება ასევე კვლევისას ჰუმანიტარული მეცნიერებათა სხვადასხვა დისციპლინის (ისტორია, ფილოლოგია, ლიტერატურული კრიტიკა, ენის და ხელოვნების ისტორია, პალეოგრაფია, ანთროპოლოგია, ფილოსოფია, სამართალი, თეოლოგია და ა. შ.) სათანადოდ გამოყენება.

#### **პრაქტიკული უნარები**

დოქტორანტი იძენს:

- კრიტიკული აზრის გამოთქმისა და დისკუსიაში ჩართვის უნარს.
- ზეპირი პრეზენტაციისა და სისტემური ცოდნის გამოვლენის და პრობლემაში ღრმად და თავისუფლად ორიენტირების უნარს;
- სხვადასხვა მოსაზრებათა კონფესიათა განსხვავების და ამ კონფესიის დროსთან დაკავშირების უნარს.
- საანალიზო მასალის მოძიების, შერჩევის, შეფასებისა და კვლევითი შედეგების შეჯერების უნარს; სხვადასხვა წყაროებისა ურთიერთშეჯერებისა და კრიტიკული ანალიზის და ინტერპრეტაციის უნარს;
- სადოქტორო პროგრამით მომზადებულ სპეციალისტს უნდა შეეძლოს როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი პროცესის დაგეგმვა და განხორციელება.
- საკვლევი საკითხის მკაფიო იდენტიფიცირების, კვლევის მეთოდისა და თეორიული ჩარჩოს ადეკვატური განსაზღვრის და დასაბუთების უნარს.
- კვლევის შედეგების, როგორც ზეპირი ასევე წერილობითი ფორმით პრეზენტაციის უნარს

#### **ზოგად ტრანსფერული უნარები**

დოქტორანტი ითვისებს:

- ტექსტში გადმოცემული მასალის კრიტიკული გაცნობიერების, არგუმენტაციის, ანალიზისა და დასკვნის გამოტანის უნარს
- სხვადასხვა კულტურულ და ნაციონალურ, თუ კონფესიულ საფუძვლებზე წარმოქმნილი შედეგების გააზრების უნარს
- აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაპირისპირებათა ფონზე ორიენტირებს, როგორც ცივილიზაციათა დაჯახების, ასევე ცივილიზაციათა გზაჯვრედინების შესახებ;

- სხვადასხვა მედიევალური სივრცეთა ძირითადი მახასიათებლებისა განსაზღვრასთან ერთად მედიევალურ სამყაროში არსებული მულტიკულტურულობისა და სხვადასხვა კონფესიათა და ნაციონალურ ერთობათა თანაარსებობის თავისებურებებს.
- კრიტიკული შესწავლისა და ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნების განმარტებისა და ინტერპრეტაციის უნარს.
- სასწავლო პროცესში მონაწილეობის, პროფესორის ასისტენტობის, დოქტორანტის სემინარის ფარგლებში მუშაობის გზით განამტკიცებს დროის დაგეგმვისა, პრიორიტეტის გამოყოფის, აუდიტორიასთან ურთიერთობის უნარს

### ტექნოლოგიური უნარები

- აუმჯობესებენ ელექტრონული მედიის გამოყენების უნარს უნდა შეეძლოთ ელექტრონული ლიტერატურის მოძიება და გამოყენება.
- სხვადასხვა საუნივერსიტეტო, თუ სხვა სამეცნიერო ცენტრების მიერ შექმნილ ელექტრონული ლიტერატურის და ჩვენთვის ხელმძღვანელობელი წყაროების ელექტრონული ბაზის მოძიება და გამოყენება.
- პრეზენტაციის დროს აუდიტორიისათვის თვალსაჩინოდ მიწოდების მიზნით ტექნიკური საშუალებების გამოყენება.
- შუა საუკუნეების სპეციფიკის შესაბამისად წერილობით წყაროებზე მუშაობის თავისებურებებს და მისი კრიტიკული ინტერპრეტაციის უნარს.

### ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: 180 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერიტი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დოქტორანტურაში დასკვნითი სემესტრული გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

FX შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება, ხოლო F შეფასების შემთხვევაში სტუდენტმა კრედიტების მისაღებად კურსი თავიდან უნდა გაიაროს.

სადისერტაციო ნაშრომი ფასდება:

ა) (P) – დაიცვა;

ბ) (F) – ვერ დაიცვა.

დისერტაციის დაცვის შემთხვევაში, მისი საბოლოო შეფასება ხდება შემდეგი სისტემით:

summa cum laude – ფრიადი;

magna cum laude – ძალიან კარგი;

cum laude – კარგი;

bene – საშუალო;

rite – დამაკმაყოფილებელი.

**საკონტაქტო პირი:** სრული პროფესორი ბეჟან ჯავახია

**სადოქტორო პროგრამის სახელწოდება:** კულტურის მეცნიერებები

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია** - ისტორიის დოქტორი (კულტურის მეცნიერებები) - PhD in History (Cultural Studies)

**სადოქტორო პროგრამის მიზნები:** კულტურის მეცნიერებები/კულტურის კვლევები (Cultural Studies) ახალი და სწრაფად განვითარებადი სამეცნიერო მიმართულებაა. მისი მიზანია კულტურის გაგება მთელი თავისი სირთულითა და მრავალფეროვნებით, აგრეთვე იმ სოციალური და პოლიტიკური კონტექსტის ანალიზი, რომელშიც კულტურა ფუნქციონებს.

კულტურის მეცნიერებები მრავალი მეთოდოლოგიისა და თეორიის გადაკვეთაზე ჩამოყალიბდა როგორც ინტერდისციპლინური დარგი. მას არ გააჩნია მარტივი, ერთიანი წარმომავლობა, არამედ მრავალი დისკურსი და მრავალი ისტორია აქვს. სპეციალურ ლიტერატურაში საგანგებოდ აღინიშნება, რომ კროსკულტურული და ინტერდისციპლინური კვლევები კულტურის მეცნიერებათა განვითარების ერთადერთ პერსპექტივაა. კულტურის კვლევები ინტერდისციპლინურ საფუძველზე აღმოცენდა და მისი განვითარება სხვაგვარად, თუ არა ინტერდისციპლინურ ჭრილში, წარმოუდგენელია.

დღეს, როცა კულტურის ფენომენისადმი ინტერესი სულ უფრო იზრდება და მას საგანგებოდ ადგილი ეთმობა მსოფლიოს მომავალი განვითარების ყველა მეტ-ნაკლებად საყურადღებო ვერსიაში, ფრიად მნიშვნელოვანია კულტურის კვლევათა სპეციალისტების მომზადება საუნივერსიტეტო სივრცეში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კულტურის მეცნიერებათა სწავლება უნდა შეესაბამებოდეს და ემყარებოდეს დასავლეთის უნივერსიტეტებში არსებულ გამოცდილებას. ამავე დროს, საჭიროა გამოიკვეთოს პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებშიც სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შეძლებს წამყვანი პოზიციის დაკავებას რეგიონული და საერთაშორისო მასშტაბით.

საქართველოს კანონით "უმაღლესი განათლების შესახებ", დოქტორანტურა არის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პროფესიული მომზადების დამამთავრებელი საფეხური, სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევების ერთობლიობა, რომლის მიზანია სამეცნიერო კადრების მომზადება.

**სწავლის შედეგი:**

წარმოდგენილი პროგრამა მიზნად ისახავს კულტურის ფენომენის კვლევის საკვანძო მომენტების გამოკვეთასა და სპეციალისტების მომზადებას ჩვენი ქვეყნისა და რეგიონისათვის განსაკუთრებით აქტუალური საკითხების მეცნიერული კვლევისათვის; დარგში მიღებული ცოდნის გაღრმავებას; ძირითადი მეცნიერული უნარების განვითარებას; კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების შესწავლას. კურსდამთავრებულს უნდა შესწევდეს უნარი, კრიტიკულად გააანალიზოს დაგროვილი ცოდნა, შემოქმედებითად განავითაროს იგი და პასუხისმგებლობით მოეკიდოს სამეცნიერო ინფორმაციის ტრანსფორმაციასა და გავრცელებას პუბლიკაციების, სწავლებისა და პრაქტიკაში დანერგვის გზით.

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:** 180 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერიტი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დოქტორანტურაში დასკვნითი სემესტრული

გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

FX შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება, ხოლო F შეფასების შემთხვევაში სტუდენტმა კრედიტების მისაღებად კურსი თავიდან უნდა გაიაროს.

სადისერტაციო ნაშრომი ფასდება:

ა) (P) – დაიცვა;

ბ) (F) – ვერ დაიცვა.

დისერტაციის დაცვის შემთხვევაში, მისი საბოლოო შეფასება ხდება შემდეგი სისტემით:

summa cum laude – ფრიადი;

magna cum laude – ძალიან კარგი;

cum laude – კარგი;

bene – საშუალო;

rite – დამაკმაყოფილებელი.

**საკონტაქტო პირი:** სრული პროფესორი ნინო ჩიქოვანი

**სადოქტორო პროგრამის სახელწოდება:** ხელოვნებათმცოდნეობა

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია** - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი / PhD in Art History and Theory

**სადოქტორო პროგრამის მიზნები:** უკვე რამდენიმე ათწლეულია, რაც ინტერდისციპლინარული ხასიათის სამეცნიერო მიმართულებათა შორის ხელოვნებათმცოდნეობა ერთ-ერთ კომპლექსურ, მრავლისმომცველ დარგად ჩამოყალიბდა. ამასთანავე, მუდმივად იცვლებოდა და ახლაც იცვლება მიდგომა მისი მეთოდოლოგიური საფუძვლებისადმი. ყოველივე ამის მიზეზი ისაა, რომ ხელოვნებათმცოდნეობა ტრადიციულთან ერთად მუდმივად განვითარებადი სამეცნიერო მიმართულებაა. მისი მიზანი - მხატვრული შემოქმედების კანონზომიერებებისა და თავისებურებების გაცნობიერება-წარმოჩენა წარსულისა და თანამედროვეობის შემოქმედებითი ასპექტების კვლევის ფართო კონტექსტს გულისხმობს.

თანამედროვე მსოფლიოში ინტერესი ხელოვნებათმცოდნეობისადმი მუდამ დიდი იყო, თუმცა ბოლო ათწლეულების მანძილზე იგი განსაკუთრებით გაიზარდა, რამდენადაც მხატვრული აზროვნების ზოგად ასპექტებთან ერთად მან სხვა უამრავი სფეროც მოიცვა. მსოფლიოს მრავალი სახელოვნებათმცოდნეო სკოლა კვლევის ინტერდისციპლინარულ მეთოდებს მიმართავს, რაც არა მხოლოდ ჰუმანიტარული, არამედ საბუნებისმეტყველო, სოციალური, ტექნიკური, და არაერთი სხვა დარგის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობას გულისხმობს. სახელოვნებათმცოდნეო კვლევები საზოგადოების წარსულის, დღევანდელიობისა და, რაც მთავარია, მომავალი განვითარების ყველა მეტ-ნაკლებად კარდინალური ასპექტისათვის უაღრესად აქტუალურია.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, საუნივერსიტეტო წიაღში ხელოვნებათმცოდნე მკვლევართა მომზადების მნიშვნელობა სავსებით ნათელია. სწორედ ამიტომ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მისი დაარსების დღიდან მოყოლებული, ხელოვნებათმცოდნეობა და მისი სადოქტორო პროგრამები (შემდგომში ასპირანტურა) მუდამ გაიზარებოდა ერთ-ერთი პრიორიტეტულ მიმართულებად. ასეთად რჩება იგი დღესაც, რადგან მას ზოგადკულტურულთან ერთად მას ეროვნული იდენტობისათვის არსებითი მნიშვნელობა გააჩნია – მიზანმიმართული კვლევები როგორც კულტურული მემკვიდრეობის, ისე თანამედროვეობის ასპექტებით მრავალმხრივ პასუხობს დღევანდელიობის კარდინალური პრობლემებს.

თბილისის უნივერსიტეტში ხელოვნებათმცოდნეობის სწავლება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დონეზე დასავლური საუნივერსიტეტო განათლების პრაქტიკისა და გამოცდილების შეესაბამისადაა აგებული. წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით ასევეა გათვალისწინებული სწავლება დოქტორანტურაში. ხელოვნებათმცოდნეობა ერთ-ერთია იმ პრიორიტეტულ მიმართულებათაგან, რომლებშიც სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შეძლებს წამყვანი პოზიციის დაკავებას რეგიონული და საერთაშორისო მასშტაბით. ამ ტენდენციის შემდგომი გაძლიერება გაფართოება უთუოდ შეუწყობს ხელს ერთი მხრივ საერთო პროცესებში საქართველოს თანამიმდევრულ და ყოველმხრივ გააზრებულ ინტეგრაციას, მეორე მხრივ კი ეროვნული კულტურული თვითმყოფადობის მთელი თავისი სიღრმითა და მრავლისმომცველობით შეცნობას, შენარჩუნებასა და წარმოჩენას.

დოქტორანტურა ხელოვნებათმცოდნეობაში მოიაზრება სამეცნიერო-პროფესიული მომზადების დამამთავრებელ, უმნიშვნელოვანეს საფეხურად, სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების ერთობლიობად, რომლის საბოლოო მიზანი პროფესიული სამეცნიერო კადრების სრულყოფილი მომზადებაა. დოქტორანტურაში სწავლების ინდივიდუალური პროგრამა განისაზღვრება ერთი მხრივ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ხოლო მეორე მხრივ საქართველოსა თუ უცხოეთის ცალკეულ სასწავლო, სამეცნიერო, სამედიცინო და სხვა შესაბამისი პროფილის დაწესებულებებს შორის ურთიერთობის (ხელშეკრულების, საერთო პროექტების და სხვ.) მიხედვით/შესაბამისად.

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს სახელოვნებათმცოდნეო კვლევების პრიორიტეტული მიმართულებების გამოკვეთას და ამის საფუძველზე პროფესიული თვალსაზრისით სრულად ჩამოყალიბებული სპეციალისტების მომზადებას როგორც ქვეყნისა და რეგიონის მასშტაბით, ისე ზოგადი ხასიათის აქტუალური პრობლემების მეცნიერული კვლევისათვის; დარგში ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დონეზე მიღებული ცოდნის გაღრმავებას, სახელოვნებათმცოდნეო სფეროს სხვადასხვა მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი უნარებისა და მეთოდების ჩამოყალიბება-განვითარებას, სწავლების თანამედროვე მეთოდების დაუფლებას. ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს ფართო და ღრმა განათლება და პროფესიული ცოდნა მსოფლიო ხელოვნების მასშტაბით, ამასთანავე შესწევდეს უნარი, პრაქტიკულად გამოიყენოს სამწლიანი მომზადების პროცესში დაგროვილი ცოდნა, კრიტიკულად გააანალიზოს სხვადასხვა ხასიათის ფაქტობრივი მონაცემები, მეთოდოლოგიის სწორი შერჩევით შემოქმედებითად განავითაროს იგი, პასუხისმგებლობით მოეკიდოს სამეცნიერო ინფორმაციის დამუშავებასა და გავრცელებას პუბლიკაციების, სწავლებისა და პრაქტიკაში დანერგვის გზით.

### სწავლის შედეგი:

ხელოვნებათმცოდნეობაში დოქტორანტურის კურსის გავლის შედეგად მიღებული სამეცნიერო-კვლევითი უნარები, კვალიფიკაცია და კომპეტენცია კურსდამთავრებულებს შესაძლებლობას მისცემს დამოუკიდებლად წარმართოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო, აგრეთვე გაუძღვეს სალექციო კურსებს როგორც არჩეული სპეციალობით, ისე ბევრად უფრო ფართო ასპექტით; სახელდობრ:

- წარმართოს სასწავლო პროცესი დარგში, უმაღლეს სასწავლებელში სხვადასხვა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) დონეზე;
- როგორც მსოფლიო, ისე ქართული ხელოვნების განვითარების ძირითადი ტენდენციების გაცნობიერება-გააზრების საფუძველზე შექმნას მაღალკვალიფიციური გამოკვლევები;
- მრავალმხრივ ითანამშრომლოს მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებთან ინტერდისციპლინარული კვლევებისა და სწავლების პროცესში;
- უხელმძღვანელოს ხელოვნების სხვადასხვა სფეროში განსახორციელებელ თეორიული და პრაქტიკული ხასიათის როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მასშტაბის პროექტებს;
- როგორც მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, მონაწილეობდეს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო მასშტაბის სამეცნიერო-პრაქტიკულ პროექტებში, სიმპოზიუმებში;
- განახორციელოს ხელოვნების ნაწარმოებთა მრავალმხრივი, მაღალპროფესიული ექსპერტიზა;
- ხელმძღვანელობდეს ან მონაწილეობას იღებდეს სამუზეუმო, ტურისტული ინფრასტრუქტურის, ტურიზმის დაგეგმარების საკითხებში, მედიაში, საგამოფენო-საექსპოზიციო, ხელოვნების სფეროში, პუბლიკაციებს, პრეზენტაციების, აქციების ორგანიზებასა და განხორციელებაში;
- განახორციელოს უცხოელ პარტნიორებთან სხვადასხვა ხასიათის ფართო კონტაქტები.

ამასთანავე, დოქტორანტურაში მიღებული ცოდნა, უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია მას საშუალებას მისცემს იმუშაოს ფართო პროფილით, მათ შორის - მომიჯნავე დარგებშიც.

### ცოდნა და გაცნობიერება

- ხელოვნებათმცოდნეობის დარგის განვითარების ისტორიის მაღალკვალიფიციური ცოდნა და ამ ამ მიმართულებით მსოფლიო ხელოვნების სფეროში არსებული გამოცდილების, სპეციფიკური ამოცანებისა და მეთოდოლოგიის პრინციპების ფართო და ღრმა ცოდნა;
- დოქტორანტი კარგად იცნობს ხელოვნებათმცოდნეობის დარგის სპეციფიკას, მისი შეფასების კრიტერიუმების თავისებურებებს, კრიტიკულად აანალიზებს განსხვავებულ ფაქტობრივ მონაცემებს და ღრმად აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას ცოდნის

გავრცელებისა და დარგის შემდგომი შემოქმედებითი განვითარების საქმეში სწორად შერჩეული მეთოდისა და ინსტრუმენტალისტური მიდგომის მეშვეობით;

- დოქტორანტი ღრმად აცნობიერებს მხატვრული შემოქმედების თავისებურებების გაცნობიერება-წარმოჩენის მნიშვნელობას წარსულისა და თანამედროვეობის შემოქმედებითი ასპექტების კომპლექსური კვლევისათვის, რაც უშუალოდ უკავშირდება ქვეყნის კულტურის კვლევას, პოპულარიზაციას და შემდგომ განვითარებას.

#### **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/პრაქტიკული უნარები**

- ხელოვნებათმცოდნეობის მეთოდოლოგიის ცოდნასთან ერთად, დოქტორანტი კარგად იცნობს უმაღლეს სასწავლებელში სხვადასხვა დონეზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სასწავლო პროცესის დამოუკიდებლად წარმართვის სპეციფიკას და ფლობს შესაბამის მეთოდებს;
- დოქტორანტს შეუძლია შექმნას მაღალკვალიფიციური გამოკვლევები მსოფლიო და ქართული ხელოვნების ძირითადი ტენდენციებისა და მიმართულებების სწორად გაანალიზების საფუძველზე;
- ხელოვნების სფეროში პუბლიკაციების მომზადების გარდა, დოქტორანტს შეუძლია უხელმძღვანელოს და მონაწილეობა მიიღოს სამუზეუმო, ტურისტული ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის დაგეგმარების საკითხებში, მედია-პროექტების, საგამოფენო-საექსპოზიციო, აგრეთვე სხვადასხვა ხასიათის პრეზენტაციების, აქციების ორგანიზებასა და განხორციელებაში;
- დოქტორანტს გააჩნია მუზეუმის სპეციფიკისა და კოლექციების ტიპის გათვალისწინებით სხვადასხვა ხასიათის მუდმივი და დროებითი (შემეცნებითი, თემატური, სისტემური, ინტერაქტიული, გამოყენებითი და სხვა) გამოფენების კონცეფციისა და პროექტის შემუშავების, განხორციელებისა და ხელმძღვანელობის უნარი; აგრეთვე საზოგადოების ყველა სოციალური, ეთნიკური და ასაკობრივი ჯგუფისათვის სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროექტების შექმნის უნარი;
- დოქტორანტს შეუძლია განხორციელოს ხელოვნების ნაწარმოებისა და სამუზეუმო კოლექციის მრავალმხრივი და მაღალკვალიფიციური ექსპერტიზა;

#### **კოგნიტური უნარები:**

- ანალიზისა და შეფასების უნარი  
ხელოვნებათმცოდნეობის სფეროსთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხებისა (სამეცნიერო კვლევა, საგამოფენო პროექტები, ხელოვნების ნაწარმოების ექსპერტიზა, სამუზეუმო კოლექციების მართვა) და პრობლემების გადაწყვეტად;
- იდეისადმი შემოქმედებითი მიდგომისა და აქტივობის სინთეზი კვლევის, სამხატვრო გამოფენებისა და საგანმანათლებლო პროექტების შემუშავების, პრაქტიკულად განხორციელებისა და პრეზენტაციის პროცესში;

#### **გარემოთი მანიპულირების მეთოდოლოგიური უნარები:**

- დროის სწორად ორგანიზების უნარი სასწავლო პროგრამის ათვისებისა და კონკრეტული პროექტების შემუშავების პროცესში, რამაც სამომავლოდ, უნდა უზრუნველყოს მოთხოვნის შესაბამისი პროდუქტი – დოქტორანტის შემოქმედებითი აქტივობა სწორად გათვლილი და გაწერილი ეტაპების თანახმად.

#### **ტექნოლოგიური უნარები:**

- ინტერნეტ-რესურსების გამოყენება;
- Power-point-ში მუშაობის უნარი სამეცნიერო კონფერენციების, გამოფენების, საგანმანათლებლო პროექტების და სხვადასხვა ხასიათის აქციების პრეზენტაციის პროცესში;
- აუდიო და ფოტო ტექნოლოგიების გამოყენება სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების, საგამოფენო და სხვა პროექტების შექმნისა და პრეზენტაციის პროცესში.



**ლინგვისტური უნარები:**

- ზეპირი, წერილობითი და ვიზუალური კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე;
- მეორე ენის ცოდნა (ძირითადად ინგლისური), რაც ხელს შეუწყობს ინფორმაციის მიღებისა და პროექტების ხარისხის გაზრდას, კომუნიკაციას საზოგადოებასთან.

**სოციალური უნარები:**

- ინტერპერსონალური ურთიერთობების დამყარებისა და ინტერდისციპლინარულ ჯგუფში მუშაობის უნარი;
- სხვადასხვა სახის სამეცნიერო, საგამოფენო და საგანმანათლებლო პროექტების შექმნის უნარი ხელოვნებათმცოდნეობის სფეროში მოღვაწე მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა მოთხოვნებისა და ინტერესების გათვალისწინებით, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მასშტაბით.

**სისტემური უნარები:**

- დამოუკიდებლად მუშაობის უნარი; სიტუაციაში ადაპტაციისა და საკუთარი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის აუცილებელი დამატებითი სახსრების მოზიდვისათვის პროექტის შემუშავებისა და მართვის უნარი.

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: 180 ECTS კრედიტი**

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერიტი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დოქტორანტურაში დასკვნითი სემესტრული გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

FX შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება, ხოლო F შეფასების შემთხვევაში სტუდენტმა კრედიტების მისაღებად კურსი თავიდან უნდა გაიაროს.

სადისერტაციო ნაშრომი ფასდება:

ა) (P) – დაიცვა;

ბ) (F) – ვერ დაიცვა.

დისერტაციის დაცვის შემთხვევაში, მისი საბოლოო შეფასება ხდება შემდეგი სისტემით:

summa cum laude – ფრიადი;

magna cum laude – ძალიან კარგი;

cum laude – კარგი;

bene – საშუალო;

rite – დამაკმაყოფილებელი.

**საკონტაქტო პირი:** სრული პროფესორი ზაზა სხირტლაძე

**სადოქტორო პროგრამის სახელწოდება:** კავკასიოლოგია

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია** - ფილოლოგიის დოქტორი  
PhD in Philology/ისტორიის დოქტორი/ PhD in History

**სადოქტორო პროგრამის მიზნები:** სადოქტორო პროგრამა “კავკასიოლოგია” ძირითადად ორი მიმართულების კვლევებს ისახავს მიზნად: იბერიულ-კავკასიური, პალეოკავკასიური და არეალური ლინგვისტიკა და კავკასიის ხალხთა ისტორია. პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის მკვლევარი კავკასიოლოგი, რომელსაც შეეძლება, როგორც იბერიულ-კავკასიურ ენათა და კავკასიაში გავრცელებულ სხვა ენათა სისტემა-სტრუქტურისა და ენის ისტორიის დამოუკიდებელი ანალიზი, აგრეთვე კონკრეტული ენისა და მის კვლევასთან დაკავშირებული პრობლემებისა და პალეოკავკასიური და არეალური ლინგვისტიკის პრობლემატიკის კვლევა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხთა ანალიზი.

**სწავლის შედეგები:** იბერიულ-კავკასიური ენა B2 დონეზე, იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ჯგუფებს (აფხაზურ-ადიღურ-ქართველურ, ნახურ-ქართველურ, დაღესტნურ, ქართველურ, ადიღურ-ნახურ და ნახურ-დაღესტნურ) შორის ენობრივი ურთიერთობების საკითხები, კავკასიაში არსებული ენობრივი სიტუაციისა და ენათა ფუნქციონირების საკითხები ისტორიისა და ისტორიისა და თანამედროვეობის ჭრილში; კავკასიის ხალხთა ისტორიის საკვანძო საკითხები, გაცნობიერებული ექნება მთელი სისავსით სამეცნიერო ინფორმაცია კავკასიაში არსებული ინსტიტუტებისა და სოციალური ურთიერთობების შესახებ კავკასიაში მოდერნიზაციისა და გლობალიზაციის კონტექსტში.

**პრაქტიკული უნარები:**

დოქტორანტურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შესძლებს იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემა-სტრუქტურის, პალეოკავკასიური და არეალური ლინგვისტიკის პრობლემათა კვლევას. კავკასიაში არსებული ენობრივი სიტუაციისა და ენათა ფუნქციონირების საკითხთა კვლევას ისტორიისა და ისტორიისა და თანამედროვეობის ჭრილში; შესაბამისი კვალიფიკაციით სალექციო კურსების წაკითხვას. კავკასიის ხალხთა ისტორიის პრობლემური საკითხების დამოუკიდებელი ანალიზს, საკვლევი მასალის დამოუკიდებლად მოპოვებას, სისტემატიზებას და მეთოდოლოგიურად გამართულ ანალიზს.

**ტრანსფერული უნარები:**

**კოგნიტური უნარები:** ანალიზისა და სინთეზის, დისკუსიაში მონაწილეობის, აუდიტორიის კითხვებზე პასუხის გაცემის, კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით სამეცნიერო ნაშრომის წერის უნარი;

**ტექნოლოგიური უნარები:** ინტერნეტ რესურსების გამოყენება, პრეზენტაციის მომზადება; ლინგვისტური უნარები: ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მშობლიურ, კავკასიურ ენებზე; ლიტერატურის კითხვა და თარგმნა; სისტემური უნარები; სამეცნიერო კვლევის, ლექცია-სემინარების ჩატარების უნარი.

**დარგობრივი კვალიფიკაცია:**

მკვლევარი ლინგვისტი-კავკასიოლოგი, მკვლევარი ისტორიკოსი-კავკასიოლოგი, კავკასიის ენებისა და ისტორიის მასწავლებელი.

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:** 180 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ

ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერიტი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დოქტორანტურაში დასკვნითი სემესტრული გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუფროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

FX შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება, ხოლო F შეფასების შემთხვევაში სტუდენტმა კრედიტების მისაღებად კურსი თავიდან უნდა გაიაროს.

სადისერტაციო ნაშრომი ფასდება:

ა) (P) – დაიცვა;

ბ) (F) – ვერ დაიცვა.

დისერტაციის დაცვის შემთხვევაში, მისი საბოლოო შეფასება ხდება შემდეგი სისტემით:

summa cum laude – ფრიადი;

magna cum laude – ძალიან კარგი;

cum laude – კარგი;

bene – საშუალო;

rite – დამაკმაყოფილებელი.

**საკონტაქტო პირი:** სრული პროფ. ცირა ბარამიძე, ასოცირებული პროფესორი ჯონი კვიციანი.

**სადოქტორო პროგრამის სახელწოდება:** თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერება

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია:** ფილოლოგიის დოქტორი (ენათმეცნიერება)/Ph. D. in Philology (Linguistics)

**სადოქტორო პროგრამის მიზნები:** შედარებითი ენათმეცნიერების სფეროში. ამისათვის დოქტორანტს პროგრამის ფარგლებში უნდა მიეცეს საფუძვლანი ცოდნა და კვლევა-ძიების გამოცდილება ზოგადი და შედარებითი ლინგვისტიკის სფეროში. პროგრამა გულისხმობს საფუძვლიან მომზადებას ენათმეცნიერების თეორიულ და შედარებით ენათმეცნიერებაში.

პროგრამის ფარგლებში ივარაუდება კვლევითი სამუშაოს ჩატარება და სადოქტორო ნაშრომების მომზადება თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერების შემდეგ სფეროებში:

ენათმეცნიერების თეორია: ლინგვისტური სემიოტიკა, ენა და კულტურა, სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, ფონოლოგიის თეორია, სინტაქსის თეორია, სემანტიკის თეორია, ექსპერიმენტული ფონეტიკა

შედარებითი ენათმეცნიერება: ენათა ტიპოლოგია და უნივერსალიები ფონოლოგიის დონეზე, ენათა ტიპოლოგია და უნივერსალიები მორფოლოგიის დონეზე, ენათა ტიპოლოგია და უნივერსალიები სინტაქსის დონეზე, ენათა ტიპოლოგია და უნივერსალიები სემანტიკის დონეზე, დიაქრონიული ენათმეცნიერება, ენათა კონტაქტები და არეალური ტიპოლოგია

**სწავლის შედეგები:** სადოქტორო კურსის გავლის შედეგად დოქტორანტები შეიძენენ თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერების სფეროში სპეციალისტების სტატუსს. მათ ექნებათ თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერების სფეროში დამოუკიდებელი კვლევის უნარი, ექნებათ ენათმეცნიერების თანამედროვე პრობლემატიკისა და მეთოდოლოგიის საფუძვლიანი ცოდნა, რომელიც მათ მისცემს შესაძლებლობას მოახდინონ შესაბამის სფეროებში ადეკვატური ორიენტაცია, შესძლონ საკითხების ორიგინალური დასმა და მოსაზრებათა ორიგინალური განვითარება და კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენება. მათ შესაძლებლობა ექნებათ წაიყვანონ სასწავლო კურსები უმაღლეს სასწავლებლებში თეორიულ და შედარებით ენათმეცნიერების დარგში.

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:** 180 ECTS კრედიტი

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერიტი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმას წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დოქტორანტურაში დასკვნითი სემესტრული გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B

71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

FX შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება, ხოლო F შეფასების შემთხვევაში სტუდენტმა კრედიტების მისაღებად კურსი თავიდან უნდა გაიაროს.

სადისერტაციო ნაშრომი ფასდება:

ა) (P) – დაიცვა;

ბ) (F) – ვერ დაიცვა.

დისერტაციის დაცვის შემთხვევაში, მისი საბოლოო შეფასება ხდება შემდეგი სისტემით:

summa cum laude – ფრიადი;

magna cum laude – ძალიან კარგი;

cum laude – კარგი;

bene – საშუალო;

rite – დამაკმაყოფილებელი.

**საკონტაქტო პირი:** აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე

**სადოქტორო პროგრამის სახელწოდება:** შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია - ფილოლოგიის დოქტორი/PhD in Philology**

**სადოქტორო პროგრამის მიზნები:** რომლის ძირითად მიზანია ლიტერატურული ტექსტების შედარებითი ანალიზი ფართო ლიტერატურულ-თეორიულ და კულტუროლოგიურ ჭრილში. პროგრამის მიზანია თანამედროვე ლიტერატურის თეორიის, შედარებითი ლიტერატურისა და სალიტერატურო კრიტიკის აქტუალური პრობლემების კვლევა და სათანადო ანალიტიკურ-კონცეპტუალური დასკვნების გამოტანა, ქართული ლიტერატურული ტექსტების, როგორც საკვლევი მასალის ჩართვა სამეცნიერო კვლევის ინტერესში მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებთან ფასეული ინტეგრაციის მიზნით. პროგრამა მიზნად ისახავს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების ანალიზს, როგორცაა კულტურათაშორისი კომუნიკაციები, სტილისტიკური მოდიფიკაციები, ლიტერატურის თეორიისა და ესთეტიკის პრინციპები გარკვეული კულტურული მოდელების კონტექსტში. შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პროგრამა სთავაზობს სტუდენტს, ლიტერატურული ტექსტის ანალიზს ნაციონალური ჩარჩოებისა და ენობრივი ბარიერების გარეშე. პროგრამის მიზანია, ცალკეული ხალხების მიერ შექმნილი ლიტერატურული ტექსტების შედარებითი ანალიზი და ლიტერატურულ-თეორიული კონცეფციების ინტეგრირება სხვა დისციპლინებთან, როგორცაა, მაგალითად, ესთეტიკა, ფილოსოფია ან ფსიქოანალიზი. შესაბამისად, პროგრამა სთავაზობს სტუდენტს ინოვაციურ თეორიულ რეფლექსიას ენობრივი და დისციპლინური ბარიერების გადალახვისა და კონკრეტული თეორიული მეთოდოლოგიების გამოყენების მეშვეობით.

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პროგრამა ეფუძნება, ერთი მხრივ, ლიტერატურული ტექსტების საფუძვლიანად ცოდნას მეორე მხრივ კი – თანამედროვე ლიტერატურულ-თეორიული მეთოდოლოგიებით ოპერირებას (როგორცაა, მაგალითად, ნარატოლოგია, დიალოგური კრიტიკა, რეცეფციული ესთეტიკა, ჰერმენევტიკა და სხვა). პროგრამაზე მიღებულ სტუდენტს საშუალება ეძლევა, ჩამოაყალიბოს საკუთარი ინტერესი რამდენიმე მიმართულებით: ა) აირჩიოს განსხვავებული ნაციონალური ლიტერატურების წიაღში ფორმირებული ტექსტები, რომელთა შედარებითი ანალიზის განხორციელებასაც აპირებს; ბ) მონიშნოს ისტორიული ეპოქები, რომელთაც განეკუთვნებიან მისთვის საინტერესო ტექსტები; გ) შეარჩიოს კონცეპტი (პოეტიკური, კრიტიკული ისტორიული), რომლის ირგვლივაც აპირებს კვლევის წარმართვას; დ) აირჩიოს მეთოდოლოგია, რომლის მეშვეობითაც სურს ანალიზის წარმოება; ე) შეარჩიოს ანალიზის გაფართოების პერსპექტივა ინტერდისციპლინურ ჭრილში: ლიტერატურათმცოდნეობა და ფილოსოფია; ლიტერატურათმცოდნეობა და ანთროპოლოგია; ლიტერატურათმცოდნეობა და რელიგია; ლიტერატურათმცოდნეობა და კულტუროლოგია და სხვა. ამგვარი კვლევები ასახავს არა მარტო შედარებითი ლიტერატურის დარგის სპეციფიკას, არამედ გამოხატავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სამეცნიერო პოლიტიკას ინტერდისციპლინური კვლევების განვითარებისა და გაღრმავების მიმართულებით. პროგრამის მიზანია, მოახდინოს კონკრეტული ტექსტების იდენტიფიკაცია სხვა ტექსტებთან შედარებითი ანალიზის მეთოდის გამოყენებით. ამ ეტაპზე პროგრამის ინტერესის საგანს წარმოადგენს რომანის პრობლემა, კერძოდ კი რომანისტიკის ორი მნიშვნელოვანი მიმართულება: შუასაუკუნეების რომანი და მოდერნისტული რომანი. შესაბამისად, პროგრამაში გაერთიანებულია ორი საკვლევი პრობლემა: შუასაუკუნეების რომანი და რომანის ჟანრული მოდიფიკაციები მოდერნიზმის ეპოქაში.

**სწავლის შედეგები:** შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის დასრულების შედეგად, ახალგაზრდა მეცნიერი წარმოადგენს სადოქტორო ნაშრომს, რომელიც თავისი შინაარსითა და შესრულების მეთოდოლოგიით იქნება ახალი სიტყვა და ნოვატორული ნაბიჯი ქართულ მეცნიერებაში.

ამასთან, დოქტორანტი შეიძენს მნიშვნელოვან კომპეტენციებსა და უნარებს. მათ შორის:

### 1. ცოდნა და გაცნობიერება:

აქვს ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც დარგობრივ სფეროში საერთაშორისო პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე მუშაობის საშუალებას იძლევა. შეუძლია პრობლემის გააზრება და ანალიზი ინტერდისციპლინარულ (სხვადასხვა მეთოდების – კომპარატივისტული, ტიპოლოგიური, სემიოტიკური, სემიოტიკურ-ჰოლისტიკური, ჰოლისტიკური და სხვა – გამოყენებით) და ინტერკულტურულ კონტექსტში. სრულყოფილად ფლობს სამეცნიერო აპარატს. აქვს პრობლემის დასმისა და სინთეზირებული მეთოდების გამოყენებით მისი დამოუკიდებლად გადაჭრის უნარი. ახლებურად იკვლევს საანალიზო საკითხს. შეუძლია ეთიკური პოზიციის ჩამოყალიბება. სრულად ფლობს დარგისათვის სპეციფიკურ (თეორიულ და კვლევით) მეთოდებს.

### 2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

შეუძლია პრობლემის გადაჭრა დამოუკიდებლად ორიგინალური გზით; შეუძლია პროფესიულ დონეზე ამოცანათა დაგეგმვა და პრაქტიკულად განხორციელება; შეუძლია მოქმედება რთულ და მოულოდნელ, სპეციალიზებულ კონტექსტში. ფლობს დარგისათვის სპეციფიკურ მეთოდებს ექსპერტის დონეზე, მუშაობს ზუსტად და ეფექტურად; შეუძლია უნარების ადაპტირება ან ახალი უნარების განვითარება ახალი სიტუაციებში. ქმნის ახალ ცოდნას, შეიმუშავებს კვლევის ახალ მეთოდებსა და მიდგომებს.

### 3. ზოგადი / ტრანსფერული უნარები:

**კოგნიტური უნარები:** კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით შეუძლია რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემებისადმი სისტემური მიდგომა და ანალიზი. შეუძლია ახალი მიდგომების სინთეზი, რითაც დარგობრივ სფეროში ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება-განვითარებას უწყობს ხელს.

**მეთოდოლოგიური უნარები:** შეუძლია პროფესიული და კომპლექსური პრობლემების განსაზღვრა, მათი გადაჭრისათვის ახალი იდეებისა და მეთოდების შემუშავება და გამოყენება. იცნობს და საჭიროების შემთხვევაში ეფექტურად იყენებს დამატებით რესურსებს. დამოუკიდებლად გეგმავს და ხელმძღვანელობს ჯგუფის მუშაობას.

**ტექნოლოგიური უნარები:** იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT), ფლობს მულტიმედია კომპეტენციას, რომელიც ხელს უწყობს მათ შემოქმედებით და კრიტიკულ გამოყენებას დარგისათვის სპეციფიკურ კონტექსტში.

**ლინგვისტური უნარები:** შეუძლია რთული და სადავო ინფორმაციის მკაფიო და ეფექტური გადაცემა სპეცილისტებისა და არასპეციალისტებისათვის ამ უკანასკნელთა მომზადების გათვალისწინებით .

**კომუნიკაცია** – შეუძლია რთული, ვრცელი ტექსტების გაგება და მათში არაპირდაპირ გადმოცემული ინფორმაციის ამოცნობა. თავისუფლად იყენებს ენას სოციალურ, აკადემიურ და პროფესიულ თემებზე სასაუბროდ.

**კითხვა** – შეუძლია ვრცელი, კომპლექსური ტექსტების გაგება ყველა დეტალის ჩათვლით, იმის მიუხედავად, ეხება ის მის პროფესიულ თუ სხვა თემას. შესაძლოა დასჭირდეს განსაკუთრებით რთული ადგილების გადაკითხვა.

**წერა** – შეუძლია მკაფიოდ სტრუქტურირებული ტექსტის დაწერა კომპლექსურ თემებზე თხზულების, წერილის ან ანგარიშის ფორმატში; მთავარი საკითხების გამოყოფა და შესაბამისი სტილის შერჩევა.

**სოციალური უნარები:** შეუძლია ჯგუფის ეფექტური ხელმძღვანელობა, ამოცანების მკაფიო ფორმულირება და ჯგუფის წევრთა შესაძლებლობების ადეკვატური გამოყენება. შეუძლია კონფლიქტური სიტუაციების მოგვარება.

**სისტემური უნარები:** იყენებს სასწავლო რესურსების სრულ სპექტრს. დამოუკიდებლად გეგმავს, ახორციელებს და ზედამხედველობს ინოვაციურ კვლევას, იყენებს და თავად შეიმუშავებს კვლევის უახლეს მეთოდებსა და მიდგომებს. დამოუკიდებლად შეიმუშავებს ახალ პროექტებს და მართავს განხორციელების პროცესს. დამოუკიდებელი და თვით-კრიტიკულია სწავლისა და მუშაობის დროს; ხელს უწყობს სხვების სწავლას; აქვს პასუხისმგებლობის



გამოკვეთილი გრძნობა და სრულიად ავტონომიურია რთულ და მოულოდნელ სიტუაციებში ინიციატივის გამოჩენისას.

**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: 180 ECTS კრედიტი**

**შეფასების წესი:** სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არა ნაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური წერიტი შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დოქტორანტურაში დასკვნითი სემესტრული გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

FX შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება, ხოლო F შეფასების შემთხვევაში სტუდენტმა კრედიტების მისაღებად კურსი თავიდან უნდა გაიაროს.

სადისერტაციო ნაშრომი ფასდება:

ა) (P) – დაიცვა;

ბ) (F) – ვერ დაიცვა.

დისერტაციის დაცვის შემთხვევაში, მისი საბოლოო შეფასება ხდება შემდეგი სისტემით:

summa cum laude – ფრიადი;

magna cum laude – ძალიან კარგი;

cum laude – კარგი;

bene – საშუალო;

rite – დამაკმაყოფილებელი.

**საკონტაქტო პირი:** სრული პროფესორი ირმა რატიანი

**სადოქტორო პროგრამის სახელწოდება:** ქართული ლიტერატურა

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია - ფილოლოგიის დოქტორი/PhD in Philology**

**სადოქტორო პროგრამის მიზნები:** სადოქტორო პროგრამა არის სუბდისციპლინარული – მოიცავს ერთი დისციპლინის – ქართული ლიტერატურის ფარგლებში შემავალ დიდ პრობლემურ სფეროს – ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებს.

ქართული ლიტერატურის ძალზე ხანგრძლივი და ძალზე მდიდარი პერიოდის – ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კვლევა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ყველაზე მეტად ტრადიციული, ხოლო საერთაშორისო ფილოლოგიის დონეზე ყველაზე მეტად პოპულარულია. ამის გამო გასული ათწლეულების მანძილზე ძველი ქართული ლიტერატურის მიმართულებით მრავალი ახალგაზრდა ფილოლოგი ამზადებდა თავის საკვალიფიკაციო ნაშრომს. ზოგიერთი მათგანი – თსუ ყოფილი ასპირანტები და მაძიებლები, რომლებიც ამ მიმართულებით იმაღლებდნენ თავიანთ კვალიფიკაციას, საქართველოს რესპუბლიკაში მიმდინარე განათლების სისტემის რეფორმის გამო, ელოდებიან მათ მიერ ჩატარებულ სამეცნიერო მუშაობის დასრულებას და ოფიციალურ განხილვას. წინამდებარე ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამა განკუთვნილია სწორედ ამ კატეგორიის მაძიებლების სამეცნიერო პრობლემატიკაზე მუშაობის გასაგრძელებლად.

პროგრამა მოიცავს ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის სხვადასხვა სფეროს პროგრამებს: ძველი ქართული მწერლობის ძეგლების მეცნიერულ კვლევას, ცალკეული ჟანრების და ლიტერატურული სკოლების ახალი კუთხით და ასპექტით შესწავლას, ქართული ლიტერატურის ცალკეული ნიმუშების შუასაუკუნეების ევროპულ და აღმოსავლურ მწერლობასთან ტიპოლოგიური მიმართებების გამოვლენას და სხვ.

სადოქტორო პროგრამა არის სუბდისციპლინარული – მოიცავს ერთი დისციპლინის – ქართული ლიტერატურის – ფარგლებში შემავალ დიდ პრობლემურ სფეროს – ახალი (XIX ს.) ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებს. XIX საუკუნე უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივ-კულტურული ისტორიის, ბუმბერაზ მწერალთა საუკუნეა, ვინც ჩვენი სულიერების საყრდენებს წარმოადგენდნენ და ამჟამად წარმოადგენენ. ამ საუკუნეში ხდება ქართული კულტურულ-ლიტერატურული სამყაროს ინტეგრირება ევროპულ სამყაროსთან, იკვეთება თვისობრივად ახალი ხედვა, რომელიც ილიას განსაზღვრებით ევროპეიზმის სახით მკვიდრდება ქართულ ლიტერატურასა და საერთოდ კულტურაში. ამის გამოც დიდია მეცნიერული ინტერესი ამ საუკუნის მწერლობისადმი. გასაგებია, რომ გასული ათწლეულების მანძილზე ახალი ქართული ლიტერატურის მიმართულებით ბევრი ახალგაზრდა ფილოლოგი ამზადებდა თავის საკვალიფიკაციო ნაშრომს. ზოგი მათგანი – თსუ ყოფილი ასპირანტები და მაძიებლები, რომლებიც ამ მიმართულებით იმაღლებდნენ კვალიფიკაციას, საქართველოს რესპუბლიკაში მიმდინარე განათლების სისტემის რეფორმის გამო, ელოდებიან მათ მიერ ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის დასრულებას და ოფიციალურ განხილვას. წინამდებარე ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამა განკუთვნილია სწორედ ამ კატეგორიის მაძიებლების სამეცნიერო პრობლემატიკაზე მუშაობის გასაგრძელებლად.

პროგრამა მოიცავს ახალი (XIX ს.) ქართული ლიტერატურის ისტორიის სხვადასხვა სფეროს პრობლემებს: XIX საუკუნის ქართველ მწერალთა მდიდარი მემკვიდრეობის კვლევას, ცალკეული ლიტერატურული მიმართულებისა და ლიტერატურული ჟანრის ახალი კუთხით და ასპექტით შესწავლას. XIX საუკუნის ქართული ლიტერატურულ-თეორიული პრობლემების სიღრმისეულ კვლევას და ა.შ.

სადოქტორო პროგრამა არის სუბდისციპლინარული – მოიცავს ერთი დისციპლინის – ქართული ლიტერატურის – ფარგლებში შემავალ დიდ პრობლემურ სფეროს – უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებს. უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კვლევა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში დღევანდელ დღეს მეტად პოპულარულია. ამის გამო გასული ათწლეულების მანძილზე ძველი ქართული ლიტერატურის

